F75/1759

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 1 ოქტომბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 222 (1967)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გაიხსნა მონღოლეთის სახალხო - რევოლუციონური პარტიის ყრილობა.
— ჩინეთის რევოლუციის მოღალატე ჩან-კაი-ში იაპონიაში გაემგზავრა.
— სვატოუში ჩავიდა ინგლისის სამხედრო გემები.
— რიგაში ჩავიდენ საბჭოთა მოტოციკლისტები.
— საფრანგეთში გრძელდება კომპარტიის წევრების დევნა.
— ყირიმში ადგილი ჰქონდა ახალ მიწისძვრას.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კვირას, 2 ოქტომბერს
კანტორა ღია იქნება
ხელისმოწერის მისაღებათ
დილის 9 საათიდან 2 საათამდე
რუსთაველის პრ. № 34 ტელეფ. 8—81 2—1

კვირას ა/წ. ოქტომბრის 2-ს, დილის 10 საათზე
სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება
სრულიად საქ. საბჭოს წევრ მუშა და გლეხი ქალების
დელეგატთა ყრილობა
კომისია

მშრომელნი თავის წვლილს გაიღებენ

ოქტომბრის პირველი სამი დღე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დღეებია. მუშა-გლეხურ საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, წითელ ჯვარს უეჭველად თვალსაჩინო ადგილი უკავია. ის უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას ისახავს—მშრომელი ხალხის ფიზიკურ გაჯანსაღებას.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა სახელმწიფო თავის ბიუჯეტიდან შესაძლებლობის ფარგლებში ამ მიზნით დიდძალ თანხებს იღებს, თანდათან აფართოებს საავადმყოფოების ქსელს, ატარებს მოსახლეობის ღარიბ ნაწილის უფასო საექიმო დახმარებას, ავრცელებს სანიტარულ განათლებას. ზედმეტია იმის განმეორება, რომ ხალხის მკურნალობის საქმე არასოდეს არ ყოფილა ისეთ მაღალ დონეზე დაყენებული, როგორც ეს არის საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენი სახელმწიფოს რესურსები განსაზღვრულია და მარტო მთავრობა სახელმწიფო სალარის საშუალებებით ჯერ-ჯერობით ვერ შესძლებს ყველა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომლებიც არსებობს მოსახლეობის მკურნალობის დარგში. აქაც, ისე როგორც სხვა ბევრ რამეშიაც საჭიროა მშრომელთა საზოგადოებრივობის ამოძრავება, მისი ინიციატივის გაშლა. წითელი ჯვარიც სწორედ ასეთი საზოგადოებრივობის ორგანიზაციაა, რომელიც სახელმწიფოს ეხმარება ხალხის ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში.

დიდია ამ საზოგადოების ამოცანები და ფართეა მისი სამუშაო ასპარეზი. ჩვენს გლეხობას მრავალი სხვადასხვა სოციალური სნეულებები მოდევნია, რომლებიც ღრღნიან მის ჯანმრთელობას. გავიხსენოთ, თუგინდ მარტო მალარია, რომლითაც სულ მცირე ნახევარი მილიონ კაციამდეა ჩვენში დაავადებული. ეს სენი საშინლად აუძლურებს ხალხს, სცემს შრომის უნარს, ადუნებს სულიერ ცხოვრებას, უდროოდ სპობს მრავალთა სიცოცხლეს და აგრეთვე ხდება ბევრ სხვა სნეულებათა წყაროდ.

ამ სენის მასიური გავრცელება აიხსნება არა მარტო მავნე კლიმატიური პირობებით, არამედ ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით გადმოცემული სილატაკით და კულტურული ჩამორჩენილობით, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჩვენი ხალხისათვის.

და აი, წითელი ჯვრის საზოგადოება ამ სოციალურ ბოროტებას უცხადებს ულმობელ ბრძოლას. მის აღმოსაფხვრელად ხსნის საექიმო სადგურებს, აწყობს მოსახლეობის მკურნალობას, გზავნის სოფლებში საექიმო ექსპედიციებს, შეაქვს მასაში სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ჩვენში ხშირია სტიქიური უბედურებანი, რომელნიც აყენებენ მოსახლეობას არა მარტო ქონებრივ ზარალს, არამედ დიდად ვნებს მის ჯანმრთელობას. ასეთია, მაგალითად მიწისძვრები. წითელი ჯვრის საზოგადოება აქაც დახმარების ხელს უწვდის გაჭირვებაში ჩავარდნილთ და ცდილობს მათი ხვედრის შემსუბუქებას.

მაგრამ ამ საზოგადოების მიღწევები არ განისაზღვრება მარტო მშვიდობიანი დროით. მას დიდი მოვალეობა აწევს ომის შემთხვევაშიაც. ეს მოვალეობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეხლა, როცა ომის საფრთხე წამოიჭრილია, როცა [illegible] ნიადაგს ამზადებენ საბჭოთა კავშირზე გამოსალაშქრებლად. ომის დროს წითელ ჯვრის საზოგადოების მუშაობას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. მისი ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ფრონტზე დაჭრილ-დასახიჩრებულთ აღმოუჩინოს სათანადო საექიმო დახმარება. არა ნაკლებ საყურადღებო იქნება ომის ზურგის მშვიდობიან მოსახლეობის მკურნალობა. საქმე ის არის, რომ მომავალ ომში ცნებებს „ზურგი" და „მშვიდობიანი მოსახლეობას" ეკარგებათ წინანდელი აზრი, ვინაიდან ომის ტეხნიკა იმდენად განვითარდა, რომ შეუძლებელი იქნება ფრონტსა და ზურგს შორის ძველებურად განსხვავების ხაზის გავლება. „ზურგი" წინანდებურად არ იქნება დაცული მტრის თავდასხმისაგან. ამიტომ საჭირო გახდება ზურგის მოსახლეობაზე ზრუნვა. ამგვარად, წითელ ჯვრის მუშაობა რთულდება. მის წინაშე ომის დროს მდგარ ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროა ამ თავითვე მომზადება, დახმარების რაზმების შედგენა და სხვა.

ასეთი ამოცანების გადაჭრა, ცხადია, დიდ საშუალებებს თხოულობს. საიდან უნდა გამოძებნოს ეს საშუალებები წითელმა ჯვარმა? აშკარაა, მშრომელ მასებმა უნდა გაიღონ ამ საქმისათვის თავისი წვლილი. წითელი ჯვრის საზოგადოება სწორედ მასების დახმარების იმედით სულდგმულობს.

წითელი ჯვრის საზოგადოება აწყობს სამდღიურს თავის ამოცანების პოპულარიზაციისა და საჭირო თანხების შეგროვების მიზნით. ეჭვი არ არის, რომ მუშები და გლეხები, ყოველი პატიოსანი მოქალაქე, რომლებისათვის ძვირფასია ხალხის ჯანმრთელობა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა, მხურვალედ გამოეხმაურებიან წითელ ჯვრის მოწოდებას და არ დაიშურებენ თავის ნაფლარ კაპეიკების გაღებას, რათა ზურგი გაუმაგრონ წითელ ჯვარს იმ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც მას დაკისრებული აქვს.

ჩინეთის რევოლუციის ამოცანები

მას შემდეგ, რაც სამხრეთის რევოლუციურმა არმიამ მიაღწია დიდ გამარჯვებებს, ნათელი გახდა, რომ ჩინეთში დაიწყო რევოლუციის ახალი გაშლა. რევოლუციის განვითარების ეს გაშლა, წინანდლებისაგან განირჩევა იმით, რომ ის უშუალოდ ეყრდნობა არა ქალაქებს და სამრეწველო პროლეტარიატის ცენტრებს, სადაც დროებით გაიმარჯვა კონტრ - რევოლუციამ, არამედ გლეხთა პარტიზანულ მოძრაობას და ყოფილი კანტონის არმიის იმ რევოლუციონურ ნაწილებს, რომლებიც იმარჯვებენ, ეყრდნობიან რა ჩინეთის ერის მჩაგვრელების წინააღმდეგ აჯანყებულ გლეხებს.

სამხრეთის რევოლუციონურ არმიის ტერიტორიაზე ძალა - უფლება ამჟამად რევოლუციონურ კომიტეტის ხელშია. ეს რევოლუციონური კომიტეტი, რომელიც დეპეშების ცნობით შესდგება 5 კაცისაგან, წარმოადგენს მუშების, გლეხების და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის რევოლუციონური ნაწილის სახალხო ხელისუფლების პირველ რევოლუციონურ ორგანიზაციას. ამ ხელისუფლების კლასობრივი შინაარსი, როგორიც არ უნდა იყოს მისი ფორმები, რომლებიც მომავალში შესაძლებელია შეიცვალოს და შეიცვლება კიდეც, სწორედ ასეთია. ჩვენ, როგორც მარქსისტები - ლენინელები, სხვაზე უფრო ადრე უნდა ვხედავდეთ ამ კლასობრივ შინაარსს.

რევოლუციონური ხელისუფლების ფორმები იქმნება არა განყენებული აზროვნებით, არა „გამოგონებით", არამედ ბრძოლის პროცესში, ახალი ხელისუფლების გაჩენის კონკრეტიულ მომენტში არსებულ რევოლუციონურ ამოცანების თანახმად. ამჟამად ბრძოლის ამოცანებს უპირველესად ყოვლისა შეადგენენ: რევოლუციონური სამხედრო გალაშქრების გაგრძელება, კონტრ - რევოლუციის წინააღმდეგობის ძლევა სამხრეთის რევოლუციონურ არმიის ტერიტორიაზე. ფეოდალური ჩაგვრის ყველა ნაშთის ულმობელი აღმოფხვრა რევოლუციის ტერიტორიაზე და აგრარული გადატრიალების გადაჭრით ჩატარება. ამ ამოცანების განხორციელებისათვის რევოლუციონური კომიტეტი ხელისუფლების ყველაზე უფრო სასურველი ფორმაა.

გომინდანის ორგანიზაცია, როგორც რევოლუციონური ხელისუფლების ფორმა, წარმოადგენდა მხოლოდ კლასთა ძალების ურთიერთობის გამოხატულებას ნაციონალურ რევოლუციის განვითარების პირველ ხანაში, როდესაც მუშები და გლეხები ჯერ კიდევ იბრძოდენ ეროვნულ ბურჟუაზიასთან ერთიანი ფრონტით. რევოლუციის განვითარების ეს ხანა აუცილებელი იყო და ეს ხანა უეჭველად უნდა გაევლო მუშათა და გლეხთა მასებს მანამ, სანამ ისინი შეიგნებდენ თავის განსაკუთრებულ კლასობრივ ამოცანებს და შესწყვეტდენ კავშირს ბურჟუაზიასთან.

საკმარისი არ იყო, რომ ბურჟუაზიის მომავალ ღალატს თავიდანვე წინასწარ ითვალისწინებდენ მოწინავე კომუნისტები. ეს მომავალი ღალატი შეგნებული არ ჰქონდათ რევოლუციის მასიურ ძალებს, რევოლუციის რეზერვებს, რომლებიც რევოლუციონურ კლასობრივ შეგნებას იძენენ მხოლოდ ბრძოლაში მიღებულ გამოცდილების საშუალებით.

მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ გასცა მუშები და გლეხები და გამოამჟღავნა თავისი ჯალათური სახე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა. მას ბურჟუაზიის წინააღმდეგ უნდა აემხედრებია მთელი ის გულწრფელად რევოლუციონური ნაწილი, რომელიც-კი მოიპოვებოდა გომინდანის ორგანიზაციის რიგებში. ჩინეთის კომპარტიას რევოლუციის განვითარების ამ ხანაში არ შეეძლო აღნიშნული ამოცანების განხორციელება საბჭოების დაარსების გზით, ვინაიდან ეს ხანა იყო არა შეტევის ხანა, არამედ რევოლუციის უკან დახევის ხანა, ეს იყო არა რევოლუციის განვითარების და გამარჯვების ხანა, არამედ რევოლუციის დროებითი მოდუნების და რევოლუციონური მოძრაობის დამარცხების ხანა. ასეთ დროს არ შეიძლებოდა ისეთი ამოცანების წამოყენება, რომლებიც მიზნათ ისახავდენ ახალი ორგანიზაციების — საბჭოების შექმნას, არამედ საჭირო იყო მასების დასაპყრობათ ბრძოლის წარმოება ძველ ორგანიზაციებში, კერძოთ გომინდანში, პროფესიონალურ და გლეხთა კავშირებში, არმიაში და სხვა მასიურ ორგანიზაციებში, ამასთან ერთად საჭირო იყო საბჭოების ლოზუნგის პროპაგანდა ისე, რომ რევოლუციის ახალ აღტყინების დროს შესაძლებელი ყოფილიყო უკვე მათი შექმნა. კომპარტიის ამოცანას შეადგენდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც გომინდანის მასების რევოლუციონურ ნაწილს ჩამოაშორებდენ ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულ კონტრ რევოლუციის წინააღმდეგ აამხედრებდენ გლეხთა კავშირებს, კონტრ - რევოლუციის წინააღმდეგ მუშათა პროფესიონალურ კავშირებს და სხვა. ეს ამოცანა შეძლების და გვარად შესრულებულია კომპარტიის მიერ.

ამჟამად ჩინეთის რევოლუცია გადადის განვითარების ახალ ფაზაში, რომლის არც მსვლელობის და არც შედეგების წინასწარ გათვალისწინება არ შეიძლება. მაგრამ რევოლუციის ამ ახალ აღტყინების დასაწყისშივე უკვე ირკვევა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია ერთად ერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს რევოლუციონურ მოძრაობას. მემარცხენე რევოლუციონური გომინდანი, როგორც დამოუკიდებელი მასიურ რევოლუციონური ძალა, არ შეიქმნა და მისი მთელი ჭეშმარიტად რევოლუციონური ნაწილი უშუალოდ გაჰყვა კომპარტიას.

ის ფაქტი, რომ ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის განვითარების ახალ ფაზაში მასები ირაზმებიან არა რომელიმე ახალ გომინდანის ხელმძღვანელობით, არამედ პროლეტარული კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, ერთის მხრივ მეტყველებს ჩინეთის პროლეტარიატის ძლიერებაზე და მეორე მხრივ ჩინეთის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მიმდინარეობათა სისუსტეზე მიმდინარე მომენტში.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ გომინდანის მემარცხენე რევოლუციონური ელემენტები კიდევ ჩამოყალიბდენ ჩინეთის კომპარტიისაგან დამოუკიდებელ ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებად. რასაკვირველია, ჩინეთის კომპარტია ეცდება დაიცვას მათთან კავშირი და ბლოკი, არ ჰკრას მათ გულზე ხელი, მაგრამ მათთან საერთო ორგანიზაციას იმ საფუძვლებზე, როგორც ეს იყო გომინდანში, ჩინეთის კომპარტია არ შექმნის. გომინდანისებური ფორმა პროლეტარიატის და ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ ელემენტების ბლოკისა ჩინეთის რევოლუციაში დრომოჭმული აღმოჩნდა. მან ისტორიულად ამოსწურა თავისი თავი. ეხლა შეიძლება კიდევ განსაზღვრულ პირობებში „გარეშე" ბლოკი, მაგრამ „შინაური" ბლოკი კი არ შეიძლება.

რამდენადაც რევოლუციის ტერიტორია ვრცელდება სამრეწველო ცენტრებზე, ამჟამად შესაძლებელი ხდება ამ ცენტრებში მუშათა, ჯარისკაცთა და ხელოსანთა დეპუტატების შექმნა, რომლებიც პირველ ყოვლისა დაეყრდნობიან ახალ რევოლუციონურ მთავრობას, ან ახალ რევოლუციონურ მთავრობებს, თუ ისინი შეიქმნებიან პირველად სამხრეთ ჩინეთის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პუნქტებში. საბჭოების ლოზუნგი პროპაგანდის ლოზუნგიდან უნდა იქცეს მოქმედების ლოზუნგად. რაც შეეხება ჩინეთის სოფელს, იქ დღემდე ეგრეთ წოდებული გლეხთა კავშირები ამართლებენ თავის თავს, როგორც რევოლუციონური ორგანიზაციები, — იქ მათ ხელში უნდა გადავიდეს ძალაუფლება, რასაკვირველია, რევოლუციონური კომიტეტების ხელმძღვანელობით. ეს გლეხთა კავშირები და კომიტეტები უნდა იქცენ გლეხთა დეპუტატების საბჭოებად, მათ უნდა დასძრან რევოლუციისაკენ ჩინეთის გლეხობის რაც შეიძლება ფართო ფენები.

ახალი ხელისუფლების ამოცანები განისაზღვრებიან, როგორც ანტი - იმპერიალისტური და რევოლუციონურ - დემოკრატიული დიქტატურის ამოცანები. სოციალისტური ამოცანები უშუალოდ ჯერ კიდევ არ წამოიჭრებიან ამ ხელისუფლების წინაშე. რასაკვირველია, ყველაზე მეტად სახიფათო იქნება რევოლუციის ამოცანების ამოკითხვა მარტო კარგი წიგნებიდან, რომელთაც სწერდენ სოციალიზმის მქადაგებლები და ბელადები სხვა წინანდელ რევოლუციების დროს. როცა 1917 წელს ჩინეთის დიდმა რევოლუციამ გამოაღვიძა მშრომელთა მრავალ მილიონიანი მასები პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, ლენინს კი არ დაუწყია რევოლუციის ამოცანების ამოკითხვა მხოლოდ ძველი წიგნებიდან, იმიდან, რაც იწერებოდა ბოლშევიკების მიერ 1905 წლის რევოლუციაზე ან მარქსის მიერ, საფრანგეთის რევოლუციებზე. მოთხოვნა, რომელსაც ის პირველ ყოვლისა აყენებდა პარტიის შეგნების წინაშე, მდგომარეობდა იმაში, რომ საჭიროა კონკრეტიულ სინამდვილის უფრო სწორად და უკეთესად გათვალისწინება და რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის რთულ პრაქტიკულ პირობებში გარკვევა. „თეორია, მეგობარო, უფერულია, მაგრამ ამწვანებულია ცხოვრების მარადიული ხე" — უმეორებდა ის ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ ძველ ბოლშევიკებს, რომლებიც რევოლუციის კუდში მისჩანჩალებდენ.

ამიტომ სამხრეთ ჩინეთში წარმოშობილმა რევოლუციონურმა მთავრობამ უნდა უარჰყოს ყოველგვარი სქოლასტიკა, ყოველგვარი „თეორიული ტალმუდიზმი" და სახელმძღვანელოდ უნდა მიიჩნიოს შემდეგი პრინციპი: უნდა გაკეთდეს ის, რასაც გამარჯვებისაკენ მიჰყავს რევოლუცია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა პირველ ყოვლისა მასების ამოძრავება, მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივაზე დანდობა, გადატრიალების მოხდენა აგრარულ ურთიერთობაში, მიწების კონფისკაცია, ყოველგვარი ფეოდალური პრივილეგიების მოსპობა, რაც უზრუნველჰყოფს გლეხების ფართო ფენების შენარჩუნებას, კონტრ - რევოლუციონერების დაუზოგავად ჩახშობა, ქალაქებში კონტრ-რევოლუციის ხელისშემწყობ პირთა ქონების კონფისკაცია, მსხვილი ბურჟუაზიის დაბეგვრა გადასახადებით, არმიის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და სხვ.

რევოლუციის მსვლელობაში ყოველთვის მოსალოდნელია სხვადასხვა ხვეულები, შესაძლებელია დამარცხებები. შესაძლებელია ეს სამხრეთის რევოლუციონური არმიისათვისაც. მაგრამ ეს არმია განირჩევა ჩინეთის ყველა ახლანდელ და წინანდელ არმიებისაგან მით, რომ ის დაკავშირებულია გლეხთა მასებთან, რომ მან შესძლო გლეხთა რაზმების შემოკრება, რომ ის ამოცანად ისახავს აგრარული რევოლუციის განვითარებას და გადაჭრით გატარებას. ამაშია სამხრეთის რევოლუციონური არმიის უდიდესი ძლიერება და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. მართალია, არმიაში კიდევ არიან მცირე რაოდენობით სხვადასხვა ჯურის ელემენტები, რომლებიც საკმაოდ ვერ არიან გამსჭვალული მშრომელთა ინტერესებით და მისწრაფებებით და რომელთაც სათანადო პირობებში შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მოძრაობას. ამიტომ არმიის სწორი ხელმძღვანელობის ამოცანას წარმოადგენს მისი შემადგენლობის სრული დემოკრატიზაცია, მუშების და გლეხების ხვედრი წონისა და როლის გაძლიერება მასში და არმიის მჭიდროთ დაკავშირება მშრომელთა ფართო მასებთან. არმიის ხელმძღვანელობის და მმართველობის სისტემა გარდაქმნილი უნდა იქნეს ისე, რომ მასში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდეთ რევოლუციონურ მუშებს და გლეხებს, რათა არმია დაზღვეულ იქნეს ყოველგვარ მოულოდნელობათაგან, რომელიც ასე ხშირია ჩინეთის პირობებში.

თუ იქნა სწორი ხელმძღვანელობა, თუ იქნა აღებული გაბედული კურსი აგრარული რევოლუციის განვითარებაზე, სამხრეთის რევოლუციონური არმია გააკეთებს დიდ ისტორიულ საქმეს, როგორც პირველი არმია ჩინეთის მუშებისა და გლეხების, რომლებმაც, როგორც შინაურ, ისე გარეშე მჩაგვრელების და ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანეს თავიანთი ძალები.

„პრავდა", 30 სექტემბერი.

გამწვავდა უთანხმოება გომინდანის შიგნით

სვატოუში დაარსებულია სამხედრო-რევოლუციონური საბჭო

საფრანგეთის სოციალ. პარტიის პროტესტი ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

გერმანიის ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი იბრძვიან რესპუბლიკის წინააღმდეგ

უთანხმოება გომინდანში

განხეთქილება გომინდანში

შანხაი, 29 სექტემბერი. გომინდანის უხანის პოლიტიკურმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მიმართულია ნანკინში შექმნილი საგანგებო კომიტეტის წინააღმდეგ (ეს კომიტეტი მხარს უჭერს ვან-ცზინ-ვეის). (ადს).

სამხედრო - რევოლუციონური საბჭო

შანხაი, 29 სექტემბერი. ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ სვატოუში მოეწყო რევოლუციონური სამხედრო საბჭო, რომელშიაც შედიან: ი-ე-ტინი, ხოლუნი, დენ - ინდი, ჩუე - ი-ლაი და ლეუ ტენ - ჩი.

რევოლუციონურმა სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს, რომ ითანამშრომლონ კომპარტიასთან და იბრძოლონ მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვისათვის.

მოწოდება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ შემდეგ ლოზუნგს აყენებს: „კონტრ-რევოლუციონერები არიან ყველა ისინი, ვინც ბრძოლას აწარმოებს კომუნიზმის წინააღმდეგ".

ყველა მემარჯვენე ორგანიზაციები სვატოუში დახურულია. გაზეთების სიტყვით, კომუნისტები აქტიურ მუშაობას აწარმოებენ მმართველობის ახალი სისტემის შექმნისათვის.

25 სექტემბერს სვატოუში დახვრიტეს მძარცველები. (ადს).

ჩან - კაი-შის გამგზავრება

შანხაი, 29 სექტემბერი. ჩან - კაი-ში გაემგზავრა იაპონიაში რამოდენიმე დაახლოვებულ პირის თანხლებით. (ადს).

უცხოელები

შანხაი, 29 სექტემბერი. სვატოუში ჩავიდა ინგლისის სამხედრო გემი. (ადს).

როგორ აიღეს სვატოუ

შანხაი, 29 სექტემბერი. გონკონგის გაზეთები აქვეყნებენ დაწვრილებითი ცნობებს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა სვატოუში რევოლუციონური ჯარების შემოსვლის წინ. სვატოუს დიდი თანამდებობის პირებმა და მოსახლეობის მდიდარმა ნაწილმა ჯერ კიდევ ადრევე დასტოვა ქალაქი. სვატოუს დაცემის წინადღეებში **წვრილი და საშუალო მოხელეები ბრძოლით იჭერდენ გონკონგში და შანხაიში მიმავალ გემებს.** ერთი დღით წინ რევოლუციონური ჯარების შემოსვლამდე, სარდლობის წარმომადგენლებმა ვაჭრებს მოსთხოვეს 50.000 დოლარი არმიის საჭიროებისათვის. ვაჭრებმა უარი განაცხადეს ამ თანხის გადახდაზე. **23 სექტემბერს დაიწყო ჯარების და პოლიციის ევაკუცია სვატოუდან.** როგორც კი ჯარები და პოლიცია გავიდა ქალაქიდან, **ქუჩებში გამოჩნდენ მუშათა პიკეტები**, რომელნიც არალეგალურ მუშაობას აწარმოებდენ. **ქალაქის მახლობელი ადგილებიდან ჩამოვიდა გლეხთა რაზმები. 24 სექტემბერს დილით სვატოუ მუშათა პიკეტებისა და გლეხთა რაზმების ხელში იყო. ქუჩებში ვრცელდებოდა ფურცლები, რომელნიც მოუწოდებდენ მუშურ - გლეხური მთავრობის შექმნისაკენ.** წინააღმდეგ გონკონგის პრესის ცნობისა, რომ თითქოს პოლიტიკური პატიმრები გემებით წაიყვანეს, ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ **რევოლუციონურმა ჯარებმა ქალაქის დაჭერის შემდეგ გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმრები.** (ადს).

გენერალ იან-ხუს სიკვდილით დასჯა

შანხაი, 29 სექტემბერი. მიღებულია ცნობები, რომ გენერალი იან-ხუ, რომელიც (ცნობილია მასიური დასჯებით და რეპრესიებით, ჩან-კაი-შის წასვლის შემდეგ, დააპატიმრეს, წაიყვანეს ნანკინში და იქ დასაჯეს სიკვდილით. მისი თანამებრძოლი სამხედრო ტრიბუნალის ყოფილი თავმჯდომარე და ამავე დროს ყვითელი პროფკავშირთა კომისიის თავმჯდომარე **ჩენ-ჩი-ენი** გაიქცა იაპონიაში. ნანკინის ჩინური პრესა ადასტურებს ცნობებს იან-ხუს სიკვდილის დასჯის შესახებ, რომელიც მოხდა 11 სექტემბერს ბაი-ცზუნ-ჩის განკარგულებით. (ადს).

სასურსათო კრიზისი

შანხაი, 29 სექტემბერი. ჩანშადან (ხუნანის მთავარი ქალაქი) იტყობინებიან ფულის კურსის კატასტროფიულად დაცემის და ფასების ზრდის შესახებ. სავაჭროებთან გრძელი „კუდები" დგანან პირველი მოთხოვნილების საგნების გამო. სამხედრო წესები, რომელიც გამოცხადებული იყო ჩანშაში, კიდევ ძალაში დარჩა. შეწყდა სარკინიგზო კავშირი ხანკოუსთან და აგრეთვე სამხრეთთან. ტელეგრაფი არ მუშაობს. ყოველდღე ადგილი აქვს სიკვდილით დასჯას. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის მომხრის გადადგომა

შანხაი, 29 სექტემბერი. გადადგა ჩჟანცზიანის პროვინციალურ მთავრობისა და ჩჟანცზიანის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ჩჟოუ - ფინ-ჩი. უცხოეთის პრესა ყოველთვის სწერდა ჩჟოუ-ფინ - ჩის შესახებ, რომ ის უცდიდა მოხერხებულ მომენტს სუნ - ჩუან-ფანის მხარეზე გადასასვლელად. (ადს).

კრიზისი ხანკოუში

შანხაი, 29 სექტემბერი. საფინანსო კრიზისმა ხანკოუში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. გომინდანის ადგილობრივმა პოლიტბიურომ დაადგინა დაწესოს იძულებითი კურსი ცენტრალურ ბანკის, ჩინეთის ბანკის და გზათა მიმოსვლის ბანკის ბანკნოტებზე. ამას გარდა სამივე ბანკს მიეცა სამი თვის მორატორიუმი, დაწყებული 12 ოქტომბრიდან. ფიქრობენ, რომ მორატორიუმი გამოიწვევს ჩინეთის მთელ რიგ ბანკების გაკოტრებას. ხანკოუში ხდება მაღაზიების და სურსათის დუქნების მასიური დახურვა. (ადს).

ტან-შენ - ჩი გაემგზავრა დასარბევად

შანხაი, 29 სექტემბერი. ტან-შენ-ჩი უხანიდან გაემგზავრა ჩანშაში (უხანის პროვინციის მთავარი ქალაქი).

ტოხოს სააგენტოს ცნობით, **ტან-შენ-ჩის მოგზაურობის მიზანია ხუნანის პროვინციალურ მთავრობის გაწმენდა, ვინაიდან ამ პროვინციაში შეიქმნა მეტისმეტად საშიში მდგომარეობა.** (ადს).

მილიტარისტების უთანხმოება

შანხაი, 29 სექტემბერი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ **ნანკინის მე-7 არმიისა და ლიუ-სინის ჯარებს** (რომელიც ტან-შენ-ჩის მომხრედ ითვლება) **შორის მოხდა შეტაკება 15 მილის მანძილზე** ვუხანიდან, ანხუეის პროვინციის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში.

სააგენტოს ცნობით, **ნანკინის ჯარები დამარცხდენ.** ტან-შე-ჩის ჯარები, რომელნიც უხანში იმყოფებიან, თავდაცვითი ზომებს იღებენ. (ადს).

პარტიზანული ომი

შანხაი, 29 სექტემბერი. **პარტიზანული ომი ხაინანის კუნძულზე გრძელდება.** „შანხაი მორნინგ პოსტი"-ს ცნობით, **ქალაქ ხაიხოუში მოელიან კომუნისტების გამოსვლას. გლეხების რაზმები გაფანტულია მთელ კუნძულზე, რაც ართულებს მათთან ბრძოლას.** ამას წინეთ კანტონიდან ჩამოსული ლექტორი, რომელსაც უნდა წაეკითხა მოხსენება კომუნიზმის შესახებ, დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. დაპატიმრებულია აგრეთვე 5 სტუდენტი. (ადს).

სტუდენტური პროპაგანდისთვის

პეკინი, 29 სექტემბერი. გოვენის სააგენტო იუწყება, რომ **ჩინეთის პოლიციამ დააპატიმრა კიდევ 14 სტუდენტი.** სულ უკანასკნელ დღეების განმავლობაში დაპატიმრებულია 50 სტუდენტი. განათლების მინისტრმა მოიწონა „სტუდენტების პროპაგანდისტული მოღვაწეობის წინააღმდეგ გამოყენებული სასტიკი ზომები" და გამოსცა განკარგულება, რათა სტუდენტებმა წარმოადგინონ წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ არ ეკუთვნიან არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. იმ სკოლების დირექტორებს, რომლებიც შედიან პეკინის გაერთიანებულ უნივერსიტეტში, უბრძანეს გამოიკვლიონ სტუდენტთა ორგანიზაციების მოქმედება, ჩამოართვან მათ ბეჭდები და ოქმები და აუკრძალონ მუშაობა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცეკა

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 29 სექტემბერი. სოციალისტური პარტიის ცეკამ მიიღო რეზოლიუცია საფრანგეთ - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ამჟამად, როცა ზოგიერთი კაპიტალისტური გაზეთები საბჭოთა კავშირის საელჩოს წინააღმდეგ აწარმოებენ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, სოციალისტური პარტიის ცეკას პლენუმი აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა თავის დროზე აღდგენილ იქნას საზოგადოებრივი აზრის ნება - სურვილის გამო.

სოციალისტური პარტიის ცეკას პლენუმი ენერგიულ პროტესტს აცხადებს რეაქციონერების კამპანიის წინააღმდეგ, რომლის კულისებს იქით სულ უფრო და უფრო ნათლად აშკარავდება ფინანსისტების ცინიკური ზრახვები. სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოსთქვამს რწმენას, რომ პარლამენტის სოციალისტური ფრაქცია ზომებს მიიღებს ამ კამპანიის ჩაშლისათვის. (ადს).

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

ახალი განაჩენი

პარიზი, 29 სექტემბერი. გამასწორებელმა ტრიბუნალმა ბეზანსონში, საკოსა და ვანცეტის დასაცავად გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის, კომპარტიის ცენტრალურ - აღმოსავლეთ საოლქო კომიტეტის მდივანს ტრეანს მიუსაჯა 6 თვით დაპატიმრება და 100 ფრანკი ჯარიმა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ნიკოს, რომელიც ჩვიდმეტი წლისაა, — 4 თვის ციხე და 100 ფრანკი ჯარიმა და მუშათა მოძრაობის სხვა აქტიურ მოღვაწეებს საერთოდ 25 თვის ციხე და 400 ფრანკი ჯარიმა.

სასამართლომ კაენში ლეფებრს საკოსა და ვანცეტის დაცვის მიზნით შერბურგში გამართულ მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის მიუსაჯა ორი წლის ციხე.

პარიზში გაზეთების გამყიდველს ინტერნაციონალის მღერისათვის მიუსაჯეს ორი თვის ციხე. (ადს).

კაპიტალის ტყვეების წერილი

პარიზი, 29 სექტემბერი. სატუსალოში მყოფ საფრანგეთის პალატის დეპუტატებმა **კაშენმა, დორიომ, მარტიმ და დიუკლომ** აცნობეს მთავრობას, რომ მათ განზრახვა აქვთ შეიტანონ პალატაში შეკითხვა კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიების პოლიტიკის შესახებ.

„ჩვენ გვინდა შევეკითხოთ მემარცხენე ბლოკის დეპუტატებს — ნათქვამია მთავრობისადმი გაგზავნილ კომუნისტ—დეპუტატების წერილში — ეთანხმებიან ისინი თუ არა იმას, რომ მუშათა კლასის აქტიურ მოღვაწეებს უსჯიან 30 წლის ციხეს იმ წერილებისათვის, რომლებშიაც არის მხოლოდ მოწოდება მშვიდობიანობისა და ძმობისაკენ. ეთანხმებიან ისინი თუ არა იმას, რომ ციხეში ჰყრიან ქალაქისა და სოფლის ასეულ მუშებს, რომლებიც დამნაშავენი არიან მხოლოდ ომის წინააღმდეგ კამპანიის წარმოებაში". (ადს).

მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 29 სექტემბერი. **მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პარასკევს განხილული იქნება პალატის საფინანსო კომისიის სურვილი კაშენის განთავისუფლების შესახებ.** საკითხი სავაჭრო ურთიერთობის შესახებ საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, საკითხი პალატების მოწვევის შესახებ, რომელთა გახსნა, როგორც ფიქრობენ, დანიშნული იქნება 18 ოქტომბრისათვის. (ადს).

ტრიანონის სასახლის საიდუმლოება

რისთვის ემზადებოდენ

ვენა, 29 სექტემბერი. ჰუნგრეთის საზოგადოებრივ აზრზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაზეთ „მადიარშაგ"-ის მიერ იმ ნოტის გამოქვეყნებამ, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ჰუნგრეთს 1920 წ. 15 აპრილს; ამ ნოტაში საფრანგეთის მთავრობა თანახმა იყო დაბრუნებოდა ჰუნგრეთს რუმინეთისა და სამხერთ-სლავიისათვის მიკუთვნებული ყველა ის ოლქები, რომლებშიაც მცხოვრებლებს შორის ჰუნგრელები სჭარბობენ, და მისცემოდა ჰუნგრეთს მთელი რიგი მნიშვნელოვან ეკონომიური დათმობები. ნოტას გაცხოველებით იხილავს მთელი ჰუნგრეთის პრესა. ვინაიდან გაზეთ „მადიარშაგ"-მა ეს ნოტა გამოაქვეყნა ლორდ როტერმირის მიერ ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვის სასარგებლოდ დაწყებულ კამპანიის გამო, მთელი ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დაუმტკიცოს საზოგადოებრივ აზრს, რომ **იყო მომენტი, როცა საფრანგეთი დათანხმდა რუსეთის რევოლუციის ჩაქრობის საქმეში დახმარების მიღების სანაცვლოდ გაედიდებია ომის შემდგომი დროის ჰუნგრეთის ტერიტორია.** გაზეთები აცხადებენ, რომ ეს გარემოება წარმოადგენს მხოლოდ არგუმენტს როტერმირის კამპანიის გაგრძელების სასარგებლოდ.

ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჰუნგრეთის მთავრობას არ მიუღია საფრანგეთისაგან იმ შინაარსის ნოტა, რომელიც გაზეთ „მადიარშაგს" აქვს მოყვანილი. ცნობა აღნიშნავს, რომ ასეთი ნოტის აღმოჩენა შეუძლებელი გახდა გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივში. გრაფი აპონიი, ჰუნგრეთის იმ დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც 1920 წელს შემოდგომაზე საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, აცხადებს, რომ დელეგაცამ არაფერი იცოდა ასეთი ნოტის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამ უარყოფისა, პოლიტიკურ წრეებში უდავოდ მიაჩნიათ „მადიარშაგ"-ის მიერ გამოქვეყნებულ პალეოლოგის ნოტის სინამდვილე. ჰუნგრეთის ყოფილი პრემიერი **სიმენიი-სემოდდომი ამტკიცებს, რომ მისმა მთავრობამ მიიღო პალეოლოგის ნოტა და დათანხმდა საფრანგეთის წინადადებას.**

„თუ მოლაპარაკება ამის გამო არ გაგრძელდა— სთქვა სიმენიი-სემოდამმა—ამაში ჰუნგრეთის მაშინდელ მთავრობას ბრალი არ მიუძღვის".

ამას გარდა, ამ დროს დიდი პერსონალური ცვლილება მოხდა საფრანგეთის დიპლომატიურ უწყებაში. პალეოლოგი გადადგა და გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივნად დაინიშნა **ბარტელო.**

ჰუნგრეთის დიპლომატმა გრაფმა **სემსეიმ**, რომელმაც 1920 წელს მიიღო პალეოლოგის ნოტა უნგრეთის მთავრობისათვის ჩასაბარებლად, გაზეთ „ენტი კურირ"-ის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა:

„ეს საქმე იმდენათ სახიფათო და საიდუმლოა, რომ სათანადო რწმუნების მიუღებლათ მე ვერაფერს ვიტყვი".

„პესტერ ლოიდი" აღნიშნავს ამას წინეთ უნგრეთის ყოფილ სამხედრო მინისტრის გენერალ შრეტერის მიერ გამოქვეყნებულ ბროშურას, სადაც ნათქვამია, რომ იმ შეტევასთან დაკავშირებით, რომელსაც 1920 წელს წითელი არმია აწარმოებდა პოლონეთის წინააღმდეგ, **ბუდაპეშტში მყოფი მოკავშირეების სამხედრო წარმომადგენელი აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას, რომლის საშუალებით ცდილობდა იმის გამორკვევას, თუ რა პირობებზე გაუწევდა უნგრეთი პოლონეთს დახმარებას სათანადო სამხედრო ძალებით წითელ არმიასთან ბრძოლაში.** როგორც იუწყება შრეტერი, მან აცნობა მოკავშირეების სამხედრო წარმომადგენელს უნგრეთის პირობები. სამხედრო წარმომადგენელს ეს ცნობები უნდა გადაეცა იმ დროს პრალაში არსებულ მოკავშირეების სამხედრო საბჭოსათვის და საბჭოს დადგენილება ეცნობებია უნგრეთისათვის. მაგრამ მთელი ეს საქმე, შრეტერის გადმოცემით, უშედეგოთ დასრულდა, ვინაიდან **პოლონელებმა ფრანგების დახმარებით** მალე შეაჩერეს წითელი არმიის შემოტევა.

„პესტერ ლოიდი" ფიქრობს, რომ შრეტერის ბროშურა ადასტურებს პალეოლოგის ნოტის სინამდვილეს. (ადს).

მილიერანის ნოტა

ვენა, 29 სექტემბერი. უნგრეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **სიმენი-სემადამმა** ახალი განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს, რომელშიაც ადასტურებს პალეოლოგის ნოტის მიღებას უნგრეთის მთავრობის მიერ. პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე—ირჩეოდა თუ არა პალეოლოგი სნოტა ტრიანონში საზავო მოლაპარაკების წარმოების დროს, სიმენი-სემადამმა უპასუხა:

„უნგრეთი აწარმოებდა საფრანგეთთან საიდუმლო მოლაპარაკებას, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ საზავო ხელშეკრულებას დაერთო მილიერანის ნოტა, რომელშიც მოკავშირეები შესაძლებლათ სცნობენ პალეოლოგის ნოტის მიხედვით ტრიანონის ხელშეკრულების იმ მუხლების შეცვლას, რომლებიც ეხებიან უნგრეთის ტერიტორიალურ და ეკონომიურ მდგომარეობას".

სიმენი-სემადამმა უარი სთქვა დაწვრილებითი ცნობების მოცემაზე იმ საბაბით, რომ ეს ცნობები შეადგენენ საუწყებო საიდუმლოებას.

საბჭოთა მოტოციკლისტები

რიგაში

რიგა, 29 სექტემბერი. რიგაში ჩამოვიდენ საბჭოთა მოტოციკლისტები, რომელთაც მოახდინეს გადარბენა მოსკოვი—პარიზი — მოსკოვი. 30 სექტემბერს გადარბენის მონაწილენი გაემგზავრებიან მოსკოვში, პსკოვსა და ნოვგოროდზე გავლით.

გადარბენის მონაწილეთ შეხვდენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები. ჟურნალისტები და სოციალ-დემოკრატიული მუშათა სასპორტო კავშირის დელეგაცია. (ადს).

ფინეთის მოხალისე არმია

ელსინგფორსი, 29 სექტემბერი. 111 ხმის უმრავლესობით 70-ის წინააღმდეგ ფინეთის სეიმმა მიიღო კანონპროექტი შიუცკორის ორგანიზაციის შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ შიუცკორი, რომელიც დღემდე იყო სამოქალაქო თავდაცვის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ახლა გარდაიქმნება ფინეთის რესპუბლიკის სამხედრო ძალების შემადგენელ ნაწილად, რომელიც ეწყობა მოსახლეობის პრინციპებზე. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 29 სექტემბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას მე-6-ე პარტია 39 სვლის შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. რიკოვის დაბრუნება

მოსკოვი, 30 სექტემბ. დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი (ადს).

კომუნისტების დახვრეტა ხანკოუში

შანხაი, 29 სექტემბ. უხანის გაზეთების ცნობით, ხანკოუში გრძელდება კომუნისტების დახვრეტა. გაზეთი „უხანმინ-ბაო" ათავსებს დახვრეტილების სიებს (ადს).

ჩან-კაი-ში იაპონიაში

ტოკიო, 29 სექტემბ. ჩან-კაი-ში ჩავიდა იაპონიაში, სადაც ამჟამად იმყოფება უხანის მთავრობის ყოფილი მინისტრი სუ-ცე-ვენი (ადს).

პოლონეთის სესხი ამერიკაში

ვარშავა, 29 სექტემბ. მიუხედავათ ოფიციალური ცნობებისა, პოლონეთისათვის ამერიკის შორის სესხის მიცემის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ, მოლაპარაკება ფაქტიურად გრძელდებოდა 29 და 30 სექტემბერს. ფიქრობენ, რომ უახლოეს ორ დღეში მოლაპარაკება დამთავრდება (ადს).

პეტლიუროველების თათბირი

ვარშავა, 29 სექტემბ. გაზეთების ცნობით, დანციგში შესდგა პეტლიუროველების თათბირი, რომელსაც დაესწრო 50 კაცი პეტლიუროველთა დირექტორიის თავმჯდომარის ლევიცკის მეთაურობით (ადს).

ბულგარეთის რევოლუციონერები სალონიკში

ათინა, 29 სექტემბ. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სალონიკში დააპატიმრეს ბულგარეთის რევოლუციონერები, რომლებსაც თითქოს განზრახული ქონდათ მთელი რიგი თავდასხმების მოხდენა, სამხრეთ - სლავიის საკონსულოს და საფრანგეთ - სერბიის ბანკის შენობათა აფეთქება და სხვა. მთავრობამ დაავალა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს სოფიაში წარსდგეს ბულგარეთის მთავრობის წინაშე სათანადო მოხსენებით და მიუთითოს მას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს რევოლუციონერების მოქმედებას (ადს).

გემის ავარია

სოხუმი, 30 სექტემბ. სოხუმიდან ბათომში მიმავალი გემი „ტრუჟენიკი მორია" 30 სექტემბერს ღამე გაირიყა კოდორის კონცხის რაიონში. შემდეგ გამოსულმა გემმა „სევასტოპოლმა" დახმარება გაუწია გარიყულ გემს და მოხსნა ის რიყიდან (ადს).

მუშათა დელეგაციები

მოსკოვი, 30 სექტემბერი. **14 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ოქტომბრის დღესასწაულზე დასასწრებლად** უცხოელ მუშათა პირველი დელეგაციები, კერძოდ შვეიცარიის, გერმანიის და ბელგიის დელეგაციები. (ადს).

ჰინდენბურგის რესპუბლიკაში

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 29 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს მუშებს მოახერხონ კომუნისტური დემონსტრაციის აკრძალვის მოხსნა; დემონსტრაცია უნდა გამართულიყო ამნისტიის სასარგებლოდ 2 ოქტომბერს, როცა ბურჟუაზიული პარტიები აწყობენ პროცესიებს ჰინდენბურგის დაბადების დღის აღსანიშნავად. **ამის გამო გაიმართა მთელი რიგი საპროტესტო მიტინგები.** (ადს).

ნაციონალისტების განცხადება

ბერლინი, 30 სექტემბერი. სახალხო პარტიის და ცენტრალური პრესა აღნიშნავს, რომ ნაციონალისტური პარტიის ყრილობამ, რომელიც შესდგა 21 და 22 სექტემბერს, ცხადყო, რომ პარტია მზად არის გაატაროს ამჟამად მმართველ ბურჟუაზიულ ბლოკის პოლიტიკა. მაგრამ, როგორც პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ, ნაციონალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა დიდის ვაი-ვაგლახით მოახერხეს ზეგავლენის მოხდენა მემარცხენე ფრთაზე იმ მხრივ, რომ მას თავი შეეკავებია მკაცრ გამოსვლებისაგან ყრილობაზე. პარტიის ბელადმა გრაფმა ვესტარპმა **თავის საბოლოო სიტყვაში გაილაშქრა მთავრობის ბლოკის ოფიციალური პროგრამის წინააღმდეგ; მან ხაზგასმით განაცხადა, რომ ნაციონალისტები წინანდებურად ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკანურ წესწყობილებას და ემხრობიან მის მოსპობას.** (ადს).

ჩემბერლენი—პრიმო დე-რივერა

პარიზი, 29 სექტემბერი. „ჟურნალ" აქვეყნებს თავის მადრიდელ კორესპონდენტის დეპეშას, დეპეშა შეეხება ჩემბერლენის და პრიმო - დე-რივერას შეხვედრას, რომელიც დღეს უნდა მოხდეს ბარსელონაში. კორესპონდენტის სიტყვით, შეხვედრის დროს განხილული იქნება ტანჟერის საკითხი.

როგორც ტელეგრაფი იტყობინება, პრიმო - დე-რივერამ ბარსელონაში გამგზავრების წინ ესპანეთის კაბინეტის წევრებს განუცხადა, რომ **ესპანეთის მოთხოვნილებებს მხედველობაში მიიღებენ ის მთავრობები, რომელთაც ეს მოთხოვნილებები ეცნობათ;** როცა განახლდება მოლაპარაკება ტანჟერის საკითხის შესახებ, უცხოელი დელეგატები ნაკლებ მოუთმენლობას გამოიჩენენ ესპანეთის თვალსაზრისისადმი. (ადს).

ახალი ანტი-საბჭოთა კამპანია

პარიზი, 29 სექტემბერი. „ჟურნალ დე-დება" მოწინავეში აცხადებს, რომ საბჭოთა წინადადებები მიუღებელია, რომ საფრანგეთის დელეგაცია მიუხედავათ თავისი გადაწყვეტილებისა მიაღწიოს შეთანხმებას, ამ წინადადებების მიღებაზე ვერ დასთანხმდება. გაზეთი დასძენს, რომ საბჭოები რაკი კრედიტებს ამოსწურავენ, აღარ გაანაღდებენ თავიანთ ვალდებულებას. „პარი-მატინალი" ეკამათება რა „ჟურნალ დე-დება"-ს, აცხადებს, რომ გაზეთის ასეთ [illegible] ნიადაგი [illegible], რადგან იგი აგებულია ყალბ შეხედულებაზე, თითქოს საბჭოები კეთილსინდისიერნი არ იყვნენ. მემარჯვენე ბურჟუაზიული გაზ. „ვოლონტე" სწერს: „ჩვენ გვაკვირვებს, როგორ შეიძლება საბჭოთა წინადადებები ჩაითვალოს მიუღებლად, როცა თვით საფრანგეთის დელეგაცია რამოდენიმე თვის წინად დასთანხმდა, რომ ჩამოწერილი ყოფილიყო ვალების 80 პროც. და ვალების საკითხი დაკავშირებოდა კრედიტების საკითხს.

კომპარტიის ორგანო „ჰიუმანიტე", [illegible] ახალი ანტისაბჭოთა კამპანია, რომელიც მიზნათ ისახავს საბჭოთა კავშირთან განხეთქილების ჩამოგდებას, ამზადებს უამრავ საერთაშორისო გართულებათა დასაწყისს". (ადს).

მონღოლეთის სახალხო რევოლუც. პარტიის ყრილობა

ულან - ბატორი, 29 სექტემბერი. მონღოლეთის სახალხო - რევოლუციონურ პარტიის ყრილობის გახსნის დროს ცეკას თავმჯდომარემ **დომბა დორჟიმ** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა მონღოლეთის პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცება და აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ზრდა.

კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელი ყრილობის სახით მიესალმა მონღოლეთის ხალხს, რომელმაც პირველად ისტორიაში აგო მონღოლეთის თავისუფალ დამოუკიდებელ არატების ე. ი. ღარიბ გლეხების, სახელმწიფო. აღნიშნა რა კავშირი ოქტომბრის რევოლუციასა და მონღოლეთის განთავისუფლების შორის, ორატორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას არ შეუძლია ნაიტრალური დარჩეს მსოფლიო ბრძოლაში და მან აქტიურად უნდა იბრძოლოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლუციონურ მოძრაობის მხარეზე.**

დასასრულ კომინტერნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პარტიამ უნდა დაამყაროს მჭიდრო კავშირი არატებსა და მის მონათესავე მოსახლეობის შორის ჩინეთში, ტანუში, ტუვინის ბურიატების და კალმიკების რესპუბლიკებში და აგრეთვე ძველებურად უნდა ანვითაროს მსოფლიო რევოლუციონურ მოძრაობასთან და კომინტერნთან კავშირის განმტკიცების პოლიტიკა. (ადს).

გენსაბჭოს არ სცალია

მუშების მოთხოვნილების განსახილველად

ლონდონი, 29 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ განიხილა სრულიად ინდოეთის რკინისგზელთა ფედერაციის დეპეშა, რომელშიაც ის ითხოვს, რომ **გენერალური საბჭო ჩაერიოს ბენგალია - ნაგპურის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტში**. გენერალურმა საბჭომ დაადგინა მოახდინოს გამოძიება. (ადს).

გაფიცვა ინდოეთში

ლონდონი, 29 სექტემბერი. **ბენგალია - ნაგპურის** (ინდოეთი) **რკინისგზის მუშათა კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა მთელ გზაზე**, თუ რკინის გზის ადმინისტრაცია არ დათანხმდა უკან მიიღოს ლოკაუტგამოცხადებული რკინისგზელები და თანხმობა არ განაცხადა კომისიის დანიშვნაზე მუშათა პრეტენზიების გამოსაკვლევად. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

ოდესის მანევრების გამო

ოდესა, 30 სექტემბ. ოდესის მანევრების დასრულების გამო სამხედრო - საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა და რესპუბლიკის სამხედრო - რევოლუციონურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვოროშილოვმა** გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია:

„უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების მანევრები ოდესასთან, წითელი არმიის ყველაზე უფრო დიდი მანევრები იყო. ამ მანევრებმა, ჩვენთვის ნათელი გახადეს, როგორც წითელი არმიის მიღწევები სამხედრო და პოლიტიკურ მომზადების დარგში, ისე ის ამოცანები, რომელიც ჩვენ უნდა დავისახოთ მომავალ სამოსწავლო წლისათვის. მანევრებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენ დამაკმაყოფილებლად განვახორციელეთ ყველა ჩვენ წინ დასმული ამოცანები.

მომზადებულია, როგორც საზღვაო ფლოტი დამოუკიდებელ საზღვაო ოპერაციებისათვის, ისე ხმელეთის ძალები სხვადასხვა სახის ბრძოლებისათვის და ავიაციაც დაზვერვისა და საჰაერო ბრძოლისათვის, აგრეთვე სხვა სამხედრო ძალებთან შეთანხმებულ მოქმედებისათვის. ჯარებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ მანევრებში, ცხადჰყვეს თავიანთი უნაკლო პოლიტიკურ - მორალური მდგომარეობა, რაც გამოიხატა რევოლუციონურ მტკიცე დისციპლინაში, მანევრებისადმი ინტერესსა, წითელ არმიელთა კარგ სულიერ განწყობილებასა და მათ დიდ პოლიტიკურ შეგნებაში.

მანევრებში მონაწილე სამხედრო ნაწილების ურთიერთობა მოსახლეობასთან მშვენიერი იყო: წითელი არმიის ნაწილებს მოსახლეობა ეპყრობოდა ყურადღებით და ეს ნაწილები სოციალისტურ მშენებლობის და მუშების და გლეხების მშვიდობიან შრომის ნამდვილ დამცველებათ მიაჩნდა.

მანევრებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს პარტიულმა, პროფესიონალურმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მშვენივრად მუშაობდენ ოდესის მუშათა კოოპერაცია და წითელი ჯვარი.

მაგრამ დღევანდელი მიღწევებით დაკმაყოფილება შეცდომა იქნებოდა. არმიის სამხედრო მომზადება მოითხოვს დიდ შრომას. უნდა მივაღწიოთ სწორ დაუბრკოლებელ მუშაობას. საჭირო შედეგებს ჩვენ ამჟამად ვღებულობთ მხოლოდ მთელი ძალ-ღონის დაჭიმვით, მაშინ, როდესაც ამ შედეგებს უნდა ვღებულობდეთ ყოველდღიურ მუშაობით.

ჩვენ მიზნათ უნდა დავისახოთ აგრეთვე ჩვენი უფროსთა შემადგენლობის აქტივობის და ინიციატივის გაძლიერება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო - სარევოლიუციო საბჭო მუშურ - გლეხურ წითელი არმიის სახით ულრმეს მადლობას უცხადებს მოლდავიის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის, ოდეშჩინის და პერვომაისკის მშრომელთ იმ ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინეს მათ მანევრებში მონაწილე ჯარების მიმართ.

სამხედრო-რევოლუციონური საბჭო ესალმება მანევრებში მონაწილე ყველა წითელარმიელებს, უფროსებს და პოლიტმუშაკებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ მომავალი წლის განმავლობაში უფრო გამოიწაფება და უკეთესად შეისწავლის სამხედრო საქმის ყველა წვრილმანებს" (ადს).

საქართველოს [illegible]

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. იურენევის გამგზავრება ავსტრიაში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. 29 სექტემბერს ვენაში. გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავსტრიაში ამხ. იურენევი. ამხ. იურენევი სადგურზე გააცილეს ავსტრიის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ხუდიჩეკმა, ავსტრიის მისიის მდივანმა და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. (ადს).

4.200.000 მანეთი ამიერ-კავკასიის მრეწველობას

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საკავშირო ს. ზ. ტ. ხ. პრეზიდიუმის 1927—28 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის პროექტის დასკვნით საჭიროდ მიიჩნია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის გადასდოს 4.200.000 მანეთი. (ადს).

მებამბეობის მთავარ კომიტეტში

მოსკოვი, 30 სექტემბერი. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა მიმართა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თხოვნით, რათა უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს შრომისა და თავდაცვის საბჭოში ამიერ-კავკასიის ორგანოების წინადადებას ბამბის მავნებლებთან საბრძოლველად თანხების გადადების შესახებ. ამიერ-კავკასიისათვის მოცემული 250.000 მანეთი მავნებლებთან საბრძოლველად არა თუ არ აკმაყოფილებს მებამბეობის მოთხოვნილებებს, არამედ გაჭირვებით ფარავს მევენახეობისა და მებაღეობის საჭიროებებს. (ადს).

კონცესიონერები და ინდუსტრიალიზაციის სესხი

მოსკოვი, 30 სექტემბერი. კონცესიონერ ზარუნსკიმ, რომელსაც კონცესიათ აქვს მიცემული ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობათა ქარხანა, ხელი მოაწერა ინდუსტრიალიზაციის სესხს 40.000 მანეთის რაოდენობით. (ადს).

უკრაინა

ხალხური ეპოსი ლენინზე

კიევი, 30 სექტემბერი. უკრაინის სამეცნიერო აკადემიის ეთნოგრაფიულმა კომისიამ მიიღო მეტად საინტერესო მასალა, რომელიც შესდგება ხალხური სიმღერებისა, ზღაპრებისა და ლეგენდებისაგან ლენინის შესახებ.

მასალა შეგროვებულია ბოგოდუხოვის რაიონში, ხარკოვის ოლქში.

ყველა მასალებში ხაზგასმითაა გატარებული გლეხების სიყვარული ლენინისადმი, როგორც ღარიბთა და დაჩაგრულთა დამცველისადმი. (ადს).

„ინკერმანის“ საქმის შესახებ

ოდესა, 20 სექტემბერი. მიღებულია ცნობები, რომ ეგვიპტეს ეროვნულმა კომპანიამ, რომელსაც ეკუთვნის გემი „ინკერმანი“, გერმანიის მთავრობას სთხოვა, რომ დაიცვას მისი ინტერესები გემის დაბრუნების საკითხში. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ იგი კისრულობს გემზე მყოფ ეგვიპტელ მოქალაქეთა დაცვას. ხოლო გემის დაბრუნების საკითხში, რომლის შესახებ ოდესის სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, გერმანიის მთავრობას არ შეუძლია იკისროს კომპანიის ინტერესების დაცვა (ადს).

მანევრები ოდესასთან

საჰაერო ბრძოლა

ოდესა, 30 სექტემბერი. გუშინ დილით ბუალიკისა და სერბსკის სადგურებს შორის მინდვრებში მოხდა საცდელი საჰაერო სროლა. ყუმბარები „დაუშინეს“ რკინის გზის სადგურსა და მის მიდამოებს. მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, ჰაეროპლანებმა კარგად შეასრულეს თავისი ამოცანა და საჰაერო სროლის შედეგები მეტად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრების მიერ (ადს).

საჩუქარი წითელ არმიელებს

ოდესა, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველომ და უკრაინის სამხედრო ოლქის სარდლობამ ოდესის მანევრებში მონაწილე არმიის ყველა ნაწილებს დაურიგეს საჩუქრები: საათი, საველე აბგები, პორტსიგარები და სხ. საჩუქრები დაურიგდება იმ წითელ არმიელებს, რომელთაც განსაკუთრებული მომზადება გამოიჩინეს მანევრებში. ასეთივე საჩუქრები დაურიგდება უფროსებს და პოლიტმუშაკებს (ადს).

ახალი მიწისძვრა ყირიმში

ბიძგები ყირიმში

სიმფეროპოლი, 30 სექტემბერი. 29 სექტემბრის ღამით, ყირიმში ისევ განმეორდა მიწის ქვეშა გუგუნი. სიმფეროპოლში შენიშნულ იქნა მთელი რიგი ბიძგები, ღამის 2 საათზე სევასტოპოლში მოხდა მიწისძვრა, რომლის ბიძგის ძალა აღწევდა 5 ბალამდე. მეორე და მესამე ბიძგი განმეორდა დილით. მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა.

ბიძგები იყო აგრეთვე იალტაში, ევპატორიაში და სხვა ადგილებში. ახალ დაზიანებების შესახებ ცნობები არ მოდის. მსხვერპლი არ ყოფილა.

28 სექტემბერს, ბალაკლავის მეთევზეები ზღვაზე შეხვდენ გამოურკვეველ ნივთიერების მელნისფერ ნაჭერს, რომელიც ძალიან დიდ სივრცეს იჭერდა ზღვაში. როგორც სჩანს ეს ნივთიერება ამოსულია ზღვის ფსკერიდან. მისი ნიმუში წაღებულია სევასტოპოლში ანალიზის გასაკეთებლად. შავი ზღვის ფლოტის მეთაურმა გაგზავნა სპეციალური გემი გამოკვლევის მოსახდენად. (ადს).

დახმარება ყირიმს

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცეკამ წინადადება მისცა კავშირის ცენტრალურ გამგეობას ყირიმში, წარმოადგინოს სია იმ მუშაკებისა, რომლებმაც განსაკუთრებული თავგანწირული მუშაობა გასწიეს მიწისძვრის დროს. სიის წარმოდგენის მიზანია — მათი პრემიალური დაჯილდოვება.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ყირიმში დაზარალებულ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებს აღმოუჩინა დახმარება ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით თვითეულს. (ადს).

პური ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წარუდგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასამტკიცებლად მოხსენება ამიერ-კავკასიისათვის პურის მიწოდების შესახებ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი აღნიშნავს, რომ წარსულ წელში ამიერ-კავკასიისათვის პურის მიწოდების წლიური გეგმა განისაზღვრებოდა 12 ნახევარ მილიონ ფუთით. ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული, რომ ამ პურის გარდა ამიერ-კავკასია მიიღებდა პურს გეგმის გარეშეც. საკონტროლო პუნქტების ცნობებით, 1926—27 წლის კამპანიის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შეზიდულია სულ 16 მილიონი ფუთი პურის ტვირთები. ვინაიდან ამიერ-კავკასიისათვის გეგმის გარეშე პურის მიწოდება მომავალ წელში შემცირდება, ვაჭრობის სახ. კომისარიატი განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებას პურზე 16 მილიონ ფუთით, მაგრამ, რათა ამიერ-კავკასიას პური მიეწოდოს დაუბრკოლებლად და დიდი მოთხოვნილების პერიოდებში ბაზარი სავსებით იქნეს უზრუნველყოფილი პურით, ვაჭრობის სახ. კომისარიატს შესაძლებლად მიაჩნია ამიერ-კავკასიისათვის პურის მიწოდების გეგმა აიყვანოს 16,8 მილიონ ფუთამდე. ამას გარდა, ვაჭრ. სახ. კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მებამბეობის რაიონებს განსაკუთრებით მიაწოდოს 1,2 მილიონი ფ. პური. ამრიგად, საერთო გეგმა ამიერ-კავკასიაში პურის შემოზიდვისა 1927—28 წელში გამოიხატება 18 მილიონ ფუთ ხორბლის ერთეულებით. მებამბეობის რაიონებს პური მიეწოდება დაუფქვავად. მებამბეობის რაიონებისა და მებამბეობის ორგანიზაციებისათვის მიწოდებული პური ეღირება 1 მან. და 50 კაპ.—მომხმარებლამდე მიტანით. პურის გზავნა იწარმოებს გადმოტვირთვის თვიურ გეგმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საბინაო აღმშენებლობა

განჯა, 29 სექტემბერი. დაიწყო დამატებით 6 ორ-ორსართულიანი სახლის აგება მუშებისათვის. თვითეულ სახლში იქნება 8 ბინა. (ადს).

მემაღაროელთა კავშირის ყრილობა

ბაქო, 30 სექტემბერი. გაიხსნა აზერბეიჯანის მემაღაროელთა კავშირის მე-11 ყრილობა. ყრილობას ესწრება 2.000 მეტი კაცი. დღის წესრიგშია: მემაღაროელთა კავშირის ცეკას მოხსენება, აზერბეიჯანის ცენტრალურ გამგეობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში და მოხსენებები „აზნავთის“, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს, ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და სხ. ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია: ამხ. სტალინი, ტომსკი, ბუხარინი, რიკოვი, შვარცი, მუსაბეკოვი და სხ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საკავშირო მემაღაროელთა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. შვარცი, მან თავის სიტყვაში აღნიშნა მთელი ის მიღწევები, რომლებიც აზერბეიჯანის მემაღაროელთა აქვთ ნავთის ამოღების საქმეში, საბინაო პირობების გაუმჯობესებაში და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობაში. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ყველამ მივიღოთ მონაწილეობა

ახლოვდება დიდი ოქტომბრის ათი წლის თავი. ერთხელ კიდევ თვალს გადავავლებთ განვლილ ბრძოლების ისტორიას, ავღნიშნავთ უტყუარ მიღწევებს და გავითვალისწინებთ დიდი მუშაობის დროს არსებულ და აუცილებელ ნაკლებს მათი მომავალში თავიდან აცილების მიზნით.

კოლექტიური შრომა, კოლექტიური ბრძოლა მტრების დასამარცხებლად, ქვეყნის ასაყვავებლად, შრომის სამეფოს დასამყარებლად — აი თავდები ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამუდმებული შრომა და მისი შედეგები ძილს უფრთხობს ბურჟუაზიულ სამყაროს, რომელიც ლამობს საბჭოთა კავშირის განადგურებას.

ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ მზად ვართ სამხედრო თავდაცვისათვის, ვახდენთ ჩვენი ფინანსიურ საშუალებათა მობილიზაციას, ვაძლიერებთ სამეურნეო აღმშენებლობას.

დღეს ხელისუფლებას მთავარ საკითხად ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია აქვს წამოყენებული. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას, გააძლიერებს სოციალისტურ აღმშენებლობას, შეამცირებს უმუშევრობას და სხვ.

ეს იქნება სასიკვდილო ლახვარი ჩვენი მტრებისათვის. მაგრამ ქვეყნის მრეწველობის განვითარებას დიდი ფინანსიური საშუალებები სჭირია, ხოლო მათი მიღება ხელისუფლებას მხოლოდ ჩვენგანვე შეუძლია. **მშრომელთა უშუალო აქტიური მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის მომგებიანი სესხის გასაღებაში** — აი მორიგი საკითხი ჩვენთვის.

აქეთკენ მოგვიწოდებს ხელისუფლება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით ჩატარებისათვის აქვს საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიურად ჩაბმას ამ საქმეში. პროფკავშირებმა, კოოპერაციამ საერთოდ და განსაკუთრებით საკრედიტო ამხანაგობებმა, გლეხკომებმა, საბჭოებმა და ყველა დანარჩენ საბჭოთა ორგანიზაცია - საზოგადოებებმა, ყველა მუშა-მოსამსახურემ და მშრომელმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს სესხის რეალიზაციის საქმეში უდიდესი და უახლოესი მონაწილეობა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის შეძენით ის არა მარტო დიდ მოვალეობას იხდის სახელმწიფოს წინაშე, უწევს რა მას დახმარებას ეკონომიურ თავდაცვის საქმეში, არამედ ამით თავის თავსაც ნივთიერ სარგებლობას აძლევს. ობლიგაციის შემძენი მიიღებს მოგებას გაღებულ თანხაზე 6 პროცენტს ყოველ წლიურად; ამას გარდა სესხი არის მომგებიანი და მოგებათა რიცხვი იმდენია, რომ მოგების შანსები მეტად დიდია (ყოველ 325 ობლიგაციაზე ხვდება ერთი მოგება); ამასთანავე, რომ მშრომელთა ფართე მასებს გაუადვილდეს სესხის განაღდებაში მონაწილეობის მიღება, დაწესებულია მრავალი სახის შეღავათები, რომლებიც უზრუნველყოფენ სესხის წარმატებით რეალიზაციას.

ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით განაღდებაში უახლოეს და აქტიურ მონაწილეობის მიღებისაკენ, — რაც იქნება საბჭოთა კავშირის ნივთიერი საფუძვლის მტკიცე გამაგრების თავდები, — მოუწოდებთ საქართველოს მშრომელ ხალხს და პირველ რიგში მის ავანგარდს —ქალაქ თბილისის პროლეტარიატს.

ლ. სუხიშვილი.

მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობა

ინდუსტრიალიზაციის სესხზე კოლექტიური ხელმოწერის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორის საფონდო განყოფილებასთან მიმაგრებულია ათი თანამშრომლისაგან შემდგარი სპეციალური შტატი, რომლებიც კოლექტივებში ატარებენ მოხსენებებს.

ამ მოხსენებებში ბანკის თანამშრომლები ინდუსტრიალიზაციის სესხის საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის გამორკვევასთან ერთად, სვამენ საკითხს მუშა-მოსამსახურეების მონაწილეობის შესახებ სესხის რეალიზაციის საქმეში. მუშა-მოსამსახურეების საშუალებით იბმება ცოცხალი კავშირი კოლექტივებსა და ბანკის შორის, რომელიც ხელმომწერლებს აძლევს ყოველგვარ ცნობებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თანამშრომლების ასეთ ინტენსიურ მუშაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ მათ მიერ უკვე დაკავშირებულია ბანკთან 100-ზე მეტი ადგილკომი, სადაც შექმნილია სესხის რეალიზაციის ხელშემწყობი კომიტეტები და სწარმოებს ხელმოწერა.

ასეთ ადგილკომების რიცხვი დღითი-დღე იზრდება და მუშაობა ფართოვდება იმ მხრივ, რომ ბანკს უკავშირდებიან ახალ-ახალი პროფგაერთიანებები.

ღირსშესანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ დღეებში სწარმოებს 1927 წ. 10 პროცენტიან სესხის ობლიგაციების გაძლიერებული დაგირავება და აქედან აღებული ფულით ხელს აწერენ ინდუსტრიალიზაციის სესხს.

მუშაობის ასეთი ტემპით მიმდინარეობა იმედს იძლევა, რომ ამ.-კავკასიაში სესხი გასაღებული იქნება სრული ასი პროცენტით.

საფონდო ბირჟაზე

თუმცა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერა ფაქტიურად მხოლოდ დღეს იწყება, მაგრამ; მიუხედავად ამისა, როგორც გვაცნობებს საქონლისა და საფონდო ბირჟაზე, საქმიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ამ სესხისადმი.

სამეურნეო ორგანოებისა და კერძო პირების მიერ წინასწარმა ხელმოწერამ ბირჟის მეშვეობით გადააჭარბა 10.000 მან.

საერთოდ ბირჟის მუშაობა სახელმწიფო სესხების რეალიზაციის საქმეში ფართოდ განვითარდა ამ უკანასკნელ დროს. ბირჟის კლიენტურას სესხების ობლიგაციები მიაჩნია აბსოლიუტურად საიმედო და შემოსავლიან ქაღალდებად. მეტად წარმატებით მიდის, მაგალითად, ხელმოწერა 1927 წ. სესხზე, რომელიც დღემდე 100.000 მან. გაიყიდა, ასე რომ ობლიგაციები ბირჟაზე საკმარისი არ აღმოჩნდა და საჭირო გახდა მათი გამოთხოვნა მოსკოვიდან ხელისმომწერთა დასაკმაყოფილებლად.

დიდი მოთხოვნილებაა მე-3 საგლეხო სესხზე, მაგრამ ამ სესხის ობლიგაციები ბაზარზე გამოვა ბირჟის მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან ის უმთავრესად გლეხებში უნდა გავრცელდეს.

რაც შეეხება იმ ქაღალდებს, რომლებიც უკვე ბირჟაზეა, მათმა კურსმა მნიშვნელოვნად აიწია.

სესხის ქრონიკა

ტელეფონით № 15—14

იმ კოლექტივებმა, რომელთაც სურთ მოიწვიონ მომხსენებლები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ ქართულ ენაზე, უნდა დარეკონ საქართველოს ფინსახკომში ტელეფონით № 15—14.

წინასწარი მუშაობა

საქართველოს ფინსახკომი კამპანიას ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ შეუდგა 24 სექტემბერს.

არსებულ ცნობების თანახმად, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე წინასწარი მუშაობა უკვე ჩატარებულია.

ცნობები კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

საქ. ფინსახკომმა ადგილებს მისცა წინადადება 1 ოქტომბრიდან ყოველკვირეულად უგზავნოს მას ინფორმაციები, კამპანიის მიმდინარეობის და მიღწეულ შედეგების შესახებ.

ინსტრუქტორები ადგილებზე

გუშინ საქ. ფინსახკომის ინსტრუქტორები გაემგზავრენ პროვინციაში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ წარმოებულ მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ძირითად - საჩვენებელი პუნქტები

აჭარისტანის და ბორჩალოს მაზრა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის საქმეში გამოცხადებულნი არიან ძირითად - საჩვენებელ პუნქტებად. გუშინ მათ გაეგზავნათ დაწვრილებითი ინსტრუქციები.

სააგიტაციო მასალები

გუშინ საქართველოს ფინსახკომმა მოსკოვიდან მიიღო სააგიტაციო მასალები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ რუსულ ენაზე.

ეს მასალები თბილისში გავრცელდება დღეს. ადგილებისათვის მასალები ითარგმნება ქართულ ენაზე.

წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიურისათვის

ცაკის მოწოდება

მოქალაქენო!

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება თავის სახსრების გასაძლიერებლად ა.-წ. ოქტომბრის 1, 2 და 3-ს აწყობს სამდღიურს.

როგორც ცნობილია, საქართველოს წითელი ჯვარი სხვა მნიშვნელოვან მუშაობასთან ერთად, როგორიცაა საექიმო დახმარება და სხვა, აწარმოებს დიდ ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ, რომლითაც დაავადებულია საქართველოს მოსახლეობის თითქმის 75 პროც. მალარიასთან ბრძოლის მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წითელი ჯვრის მიერ მოწყობილია სამალარიო სადგურები, სადაც მოწვეული არიან სპეციალისტ ექიმები და უწევენ მოსახლეობას უფასო მკურნალობას და სხვა საექიმო დახმარებას.

მარტო ამ მუშაობით არ ამოიწურება წითელი ჯვრის საზოგადოების მოქმედება. მისი მოღვაწეობის ასპარეზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ომიანობის დროს. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს ყოველმხრით ემუქრებიან იმპერიალისტური სახელმწიფოები და ყოველთვის მოსალოდნელია მათი შემოტევა მუშა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში-კი წითელი ჯვრის საზოგადოება მოწოდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ომში დაჭრილ - დასახიჩრებულთ და შეუმსუბუქოს ხვედრი ომის საშიშროებით დაზარალებულთ.

ამ მიზნების განსახორციელებლად წითელი ჯვრის საზოგადოებას ფართო მასების მხრივ ესაჭიროება უმთავრესად ნივთიერი დახმარების გაწევა, რომ მან შესძლოს ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა მშრომელთა წინაშე.

ამის გამო სრულიად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს მუშებსა, გლეხებსა და მოქალაქეთ წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ა.-წ. ოქტომბრის 1, 2 და 3-ს სამდღიურის ჩატარების საქმეში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და თავისი წვლილის გაღებით გაუადვილონ წითელი ჯვრის საზოგადოებას თავისი ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობის ასრულება სოციალისტურ სამშობლოს წინაშე.

სრ. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

წითელი ჯვრის საზოგადოების ამოცანები

1, 2,3 ოქტომბერი წითელი ჯვრის დღეებია. ამ დღეებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ერთხელ კიდევ მოაგონებს ჩვენს მშრომელ მოსახლეობას და ყველა პატიოსან მოქალაქეთ, რომ ის დიდი მიზნები, რომლებიც დააწერა ხალხმა წითელი ჯვრის დროშაზე, ტარდება ცხოვრებაში ხალხის საკეთილდღეოთ, მის გასაჯანსაღებლად და დასახმარებლად. როგორ ეხმარება საქართველოს წითელი ჯვარი ხალხის გაჯანსაღების და მის დახმარების საქმეს?

ვინ არ იცნობს ჩვენში ისეთ დიდ სოციალურ სნეულებას, როგორიც არის ციებ-ცხელება—მალარია. იგი აავადებს ჩვენს მუშა-გლეხს, მთელს მოსახლეობას და ართმევს უნარს საღ აღმშენებლობით მუშაობისას, იგი აძაბუნებს და აძალტყავებს ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზმს. ნახევარი მილიონი ჩვენი მოსახლეობისა შეპყრობილია დღეს მის ვერაგ ზხამით. აი სწორედ ამ სნეულებას გამოუცხადა საქ. წითელმა ჯვარმა ომი. იგი დაუღალავად ებრძვის მალარიას, საექიმო პუნქტების გახსნით, მოსახლეობის მკურნალობით და მისი სანიტარული გათვითცნობიერებით.

არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ დრო გამოშვებით ჩვენს ქვეყანას ესტუმრება ხოლმე რაიმე სტიქიური უბედურება, მაგალითად—მიწის ძვრა. ამ შემთხვევაშიაც წითელი ჯვარი ყოველთვის მთელ თავის ძალასა და უნარს მიაშურებს დაზარალებულთა დასახმარებლად. იგი ასეთ უბედურების დროს გაუწვდის თავის ძმურ ხელს ყველას, ვინც კი მოელის საერთოდ დახმარებას და შველას. ამრიგად, საქართველოს წითელი ჯვარი ყოველთვის ფხიზლად სდგას მშვიდობიანობის დროს ხალხის ჯანმრთელობის და მის შველის საგუშაგოზე.

მაგრამ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას და აღმშენებლობით მუშაობას შურის თვალით უთვალთვალებენ ჩვენი მტრები—კაპიტალისტური სახელმწიფოები. ისინი ემზადებიან ზურგში ლახვარი ჩაგვცენ და ჩაგვითრიონ ომში. საქართველოს წითელი ჯვარი გრძნობს ამ საფრთხეს. იგი იკრეფავს თავის ძალღონეს და მარაგს, რომ დროულად დაეხმაროს ომის მსხვერპლთ, დაჭრილ-დასახიჩრებულთ. იგი ამ შემთხვევისათვის წინასწარ ამზადებს სათანადო ძმურ რაზმებს პირველი დახმარებისას, აკავშირებს მათ მომავალი ომის საჭიროებისათვის.

ყველასათვის აშკარაა, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ღვიძლი შვილია მშრომელი ხალხის, იგი სულდგმულობს ამ ხალხის ფართე მასების თანაგრძნობით. ამიტომ, თავის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საშუალებათა გამოსაძებნათ, საქ. წითელი ჯვრის საზოგადოება მართავს სამდღიურს ა. წ. 1, 2, 3 ოქტომბერს. იგი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ მშრომელი მასები ეხლაც მოიხდიან თავის მოვალეობას, საჭირო თანაგრძნობით შეეგებებიან წითელი ჯვრის სამდღიურს და თავის წვლილის გაღებით გააცხოველებენ მის სასარგებლო მოღვაწეობას.

ექ. ვ. ჩოხელი.

„საქ. მარგანეცი-“ს წარმომადგენელი თბილისში

ლონდონიდან თბილისში ჩამოვიდა სააქციო საზ-ბის „საქართველოს მარგანეცის“ მთავარი კონსულტანტი ბ. მ. შენფელდტი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს შენფელდტმა განაცხადა:

„ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც სწარმოებდა საბჭოთა კავშირის მთავრობასა და სააქციო საზ-ბას „საქართველოს მარგანეც“-ს შორის, ამიერ - კავკასიის წარმომადგენლების თანდასწრებით და რომელიც დასრულდა დამატებითი ხელშეკრულების დადებით, მხარეთა ურთიერთობის, ცენტრიდან დაწყებული და ა.-კ. ფედერაციით გათავებული, ახასიათებს კონცესიონერის მუშაობისადმი ყურადღებით მოპყრობა. ჰარიმანი თავის მხრივ სცდილობს დანიშნულ დროზე შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი და კონცესიის მუშაობის მსვლელობა ეტყობა საგრძნობი პროგრესი.

გაძლიერებული ტემპით სწარმოებს მუშაობა ხელშეკრულების იმ ნაწილის განსახორციელებლად, რომელიც ეხება კონცესიის კაპიტალურ მშენებლობას. 1927—28 წელს ჩვენ ვიწყებთ დიდი მადნის სარეცხი ქარხნის აგებას და ფოთის ნავთსადგურის მოწყობას. ნავთსადგურის გადაკეთება გამოიწვევს გემებისათვის მადნის მიწოდების მაქსიმალურ რაციონალიზაციას.

თანხა, რომელიც გადადებულია 1927—28 წლის კაპიტალურ მშენებლობისათვის, რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს“.

პარტიული ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული პასუხი გამთიშველებს

ცენტრ. საკონტრ. კომისია არალეგალურ-რი სტამბის ორგანიზატორების შესახებ

მოსკოვი, 30 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ, საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ოპოზიციის განცხადებათა 1926 წ. 1 ოქტომბრის და 1927 წ. 8 აგვისტოს თარიღით, რომლებშიაც ოპოზიცია კისრულობდა შეეწყვიტა ფრაქციული მუშაობა, მიუხედავად ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებისა, რომელიც „ავალებს ოპოზიციას დაუყოვნებლივ დაშალოს ფრაქცია და მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს და ჩვენი პარტიის ყველა წევრებს მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ფრაქციულობა, ფრაქციული გამოსვლები და ფრაქციული ჯგუფები უეჭველად მოისპოს“, პარტიის წევრებმა: **გერდოვსკიმ, ვორობიევმა, ოხოტნიკოვმა, რაბინოვიჩმა, დვორესმა, კარინმა, კაპლინსკაიამ ვლადიმიროვმა, ზეიდმანმა, პევზნერმა, გუტმანმა, მაქსიმოვმა, მრაჩკოვსკიმ და ზვერევმა**, რომელნიც ტროცკისტულ ოპოზიციას ეკუთვნიან, უხეშად დაარღვიეს პარტიული ყრილობებისა, კონფერენციებისა და ცეკას პლენუმების დადგენილება პარტიის მთლიანობის და ფრაქციული მუშაობის შესახებ.

ცენტრ. საკონტრ. კომისია აღიარებს, რომ ყველა ბრალდებანი, (ფრაქციული მუშაობა, მიმართული პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ და ახალი პარტიის შექმნისაკენ), რომელნიც მოსკოვის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა წარუდგინა პარტიის ზემოხსენებულ წევრებს, სავსებით დადასტურდა. ამიტომ ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს: ა) დამტკიცებულ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება (1927 წ.) 26 და 28 სექტემბრის თარიღით) გერდოვსკის, ვორობიევის, რაბინოვიჩის, დვორესის, კარინის, კაპლინსკაიას, ზეიდმანის, პევზნერის, გუტმანის, მაქსიმოვის, მრაჩკოვსკის და ზვერევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ; ბ) სწორედ იქნას ცნობილი მოსკოვის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილება ოხოტნიკოვს პარტიიდან გამორიცხვის შესახებ; მაგრამ ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში ის ახსნა-განმარტებანი, რომელნიც ოხოტნიკოვმა მისცა ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე, დაადგინა დასტოვოს ის საკავშირო კომპარტიის რიგებში, ამასთანავე გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, რომ თუ იგი კვლავ განაგრძობს ფრაქციულ მუშაობას, დაუყოვნებლივ იქნება გამორიცხული პარტიიდან; გ) ცენტრ საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში იმას, რომ ვლადიმიროვმა ცენტრ საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე განაცხადა, რომ საიდუმლო პარტიული დოკუმენტების ბეჭდვა ჰექტოგრაფზე მის ბინაში სწარმოებდა მისი ცოლის—ზეიდმანის ნებართვით, მის სახლში არ ყოფნის დროს,—ადგენს: შეიცვალოს მოსკოვის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილება და ვლადიმიროვი აღდგენილ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრად, მასთანავე გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური იმის გამო, რომ მან ფარი განაცხადა ცნობები ცენტრ. საკონტრ. კომისიისათვის თუ ვინ იყენებდა მის ბინას პარტიის საზიანოდ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი.

ვგმობთ ოპოზიციას

(მილიციის კომუჯრედში)

გუშინ, 30 სექტემბერს, საღამოს, შესდგა თბილისის მილიციის კომუჯრედთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც საკავ. კომპარტიის მოსკოვის საკონტროლო კომისიის დადგენილების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ლეჟავამ.

მოხსენების შემდეგ გამოვიდენ მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც მოითხოვდენ სასტიკი ზომების მიღებას პარტიული დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

კრებაზე გამოვიდა სხვა უჯრედიდან მოსული სამი გასტროლიორი - ოპოზიციონერი, რომელთა ქცევამ აღშფოთება გამოიწვია ამხანაგებში.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა ერთხმად (წინააღმდეგ ხმა მისცა სამმა გასტროლიორმა) შემდეგი

რეზოლიუცია

„მოვისმინეთ რა ამხ. ნოე ლეჟავას მოხსენება ოპოზიციონერების გამთიშველი მოქმედების შესახებ და აგრეთვე დადგენილება საკავშირო კომპარტიის მოსკოვის საკონტროლო კომიტეტისა — სრულიად და სავსებით ვეთანხმებით ამ დადგენილებას და გამოვსთქვამთ აღშფოთებას ოპოზიციონერთა ამ ჯგუფის მოქმედებით.

კრება აღიარებს, რომ ოპოზიციამ დაარღვია თავისი განცხადება 1927 წ. 8 აგვისტოს თარიღით, მიცემული ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის სახელზე. ოპოზიციამ მოაწყო საიდუმლო სტამბა და თავისი ფრაქციული მუშაობისათვის გამოიყენა ბურჟუაზიული უპარტიო ინტელიგენცია. თავისი მოქმედებით ოპოზიცია აშკარად დადგა ტროცკისტული იდეოლოგიით გამსჭვალულ ლენინიზმის საწინააღმდეგო მეორე პარტიის შექმნის გზაზე.

კრება საკონტროლო კომისიის ყურადღებას მიაქცევს პარტიის მეათე ყრილობის დადგენილებაზე და მოითხოვს ოპოზიციონერების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას, რადგან ისინი აშკარად აწარმოებენ ანტიპარტიულ პოლიტიკას და საფრთხეს უმზადებენ პარტიის მთლიანობას.

კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი ცეკა და ცენტ. საკ. კომისია მიიღებს გადამჭრელ ზომას ამ მთლიანობის დასაცავად.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას, გაუმარჯოს ცეკას და ცენტ. საკ. კომისიას — ლენინის ანდერძის სწორ განმხორციელებელთ“.

როგორ ჩატარდა არჩევნები

23 სექტემბერს შესდგა ნავთლუღის სადგურის კომუჯრედის საარჩევნო კრება.

ვრცელი მოხსენებით ერთი წლის მუშაობის შესახებ გამოვიდა უჯრედის მდივანი ამხ. ლომთათიძე. მომხსენებელმა სავსებით დაახასიათა უჯრედის მუშაობის მდგომარეობა.

უპარტიო მუშებს ეტყობათ პარტიაში შესვლის გაძლიერებული სურვილი. ამ ხნის განმავლობაში მიღებულია პარტიაში 24 კაცი—უმეტესად მუშები. უჯრედის კომისიების მუშაობა მოგვარებულია.

ბიუროში მიღებულია ზომები ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად. პარტორგანიზატორების გამოყოფამ საუკეთესო შედეგები მოიტანა; უპარტიო მუშებთან კავშირის გაბმის საქმეში მუშაობის სიმძიმის ცენტრი უმეტესად მათზე არის გადატანილი.

ამ ხნის განმავლობაში გამართულ იქნა 13 ღია სხდომა, რომელზედაც განხილული იყო მუშებისათვის საინტერესო საკითხები. ამავე დროს უპარტიო მუშათა მასა ჩაბმულია სხვადასხვა თავისუფალ ორგანიზაციების მუშაობაში.

კომკავშირის უჯრედის მუშაობის ხელმძღვანელობა უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა. პროფესიონალურ და საკლუბო მუშაობის ხელმძღვანელობაც დამაკმაყოფილებელია.

ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. პირველი ადგილი უჭირავს ქიმიური მრეწველობის და თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების უჯრედს.

ბიურო არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადმინისტრატიულ - სამეურნეო მუშაობას; რეგულიარულად ხდება სამეურნეო მუშაკების ანგარიშების მოსმენა მათი მუშაობის შესახებ.

დასასრულ მომხსენებელი ეხება წევრების დისციპლინას და აღნიშნავს, რომ ეს დისციპლინა რკინისებურია და ვერავითარი ოპოზიციონერები მას ვერ შეარყევენ, ხოლო თუ ვინმე მოინდომებს დეზორგანიზაციის შეტანას ლენინურ რიგებში, მას სასტიკი წინააღმდეგობა გაეწევა, როგორც ყოველთვის.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გამოიმუშავა პრაქტიკული წინადადებები და აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა 11 წევრისა 4 კანდიდატისაგან. ბიურო განახლებულ იქნა 5 კაცით შემდეგ კრებამ აირჩია 20 დელეგატი რაიონულ პარტიულ კონფერენციისათვის.

ომაროვი.

კომკავშირში

თბ. მაზ. კომკავ. თემკომების მდივანთა თათბირი

გუშინ, დასრულდა თბილისის მაზრის კომკავშირის თემკომების მდივანთა თათბირი, რომელმაც ბევრი საგულისხმო და საჭირბოროტო საკითხი განიხილა.

ადგილების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში თემკომების მუშაობა როგორც საკავშირო, ისე კულტურულ -, საზოგადოებრივ დარგში დიდი წარმატებებით ხასიათდება.

განსაკუთრებით კარგი შედეგები გამოიღო მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლამ. რაც შეეხება ახალ დირექტივებს, მაგ. ომის საშიშროებასთან დაკავშირებულ საყოველთაო გასამხედროების ჩატარების შესახებ, პოლიტ - განათლების მთლიან სისტემის წარმოების შესახებ და სხვ. — ეს საკითხები ყოველმხრივ იქნა გაშუქებული თათბირის მიერ.

კერძოთ გასამხედროების საკითხის გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ სოფლად, გლეხური ახალგაზრდობა მეტად დაინტერესებულია სამხედრო ცოდნის მიღებაში; ზოგი ერთმა თემკომის მდივანმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს დიდი სურვილი აქვთ თბილისის რაიონების მაგალითის მიხედვით მოაწყონ სამხედრო ლაშქრობა, გააფართოვონ მსროლელთა წრეები, შეისწავლონ ქიმიურ ბრძოლის საშუალებანი და სხვა.

გასამხედროების გარშემო გაკეთებულ მოხსენების მიხედვით გამომუშავებულ თეზისებში აღნიშნულია ყველა თემებში სპეციალური სამხედრო ლიტერატურის შეძენის და გაზეთის საშუალებით ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საჭიროება.

თათბირმა აღნიშნა აგრეთვე ორგანიზაციის დიდი ზრდა; 1927 წლის 1 იანვრამდე თბილისის მაზრაში ორგანიზაციაში მიღებულია 825 ახალგაზრდა, ამათში 66,9 პროცენტს უღარიბესი გლეხობა შეადგენს.

შედარებით სუსტად მიმდინარეობს ორგანიზაციაში ქალების ჩაბმის საქმე.

უჯრედებში მუშაობის გაცხოველებისათვის და მათი თემთან დაახლოვებისათვის თათბირმა საჭიროდ სცნო შტატგარეშე ინსტრუქტორთა გამოყოფა და საუბნო ორგანიზატორების დანიშვნა.

თათბირმა აღნიშნა ნაწილობრივად სუსტი პარტ - ხელმძღვანელობა და ამიტომ გადასწყვიტა ეს საკითხი პარტიის თბილისის კომიტეტის წინაშე დაისვას.

დიდი ყურადღება მიაქცია თათბირმა აგრეთვე პიონერთა შორის მუშაობის საკითხს, თემკომის მდივნებმა საჭიროდ ჩასთვალეს პიონერწინამძღოლთა მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსების მოწყობა.

ყველა ამ საკითხების განხილვის შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო ვრცელი რეზოლიუცია მომავალ მუშაობის შესახებ.

დამსწრე.

უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელებს

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო შვებულებებით განთავისუფლებულ წითელარმიელთა ამოცანები იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი ერთის მხრივ გარშემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით და მეორე მხრივ კი ის ეწევა შეუჩერებლივ მუშაობას ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები, განთავისუფლებულნი კაპიტალისტების და მემამულეთა ბატონობისაგან, აშენებენ მთელ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ საზოგადოებას.

ეს ხდება მხოლოდ ჩვენში, დედა - მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. სხვა ქვეყნებში კი ბურჟუაზია ჯერ კიდევ განაგრძობს მშრომელთა ყვლეფას, ამ მიზნისათვის ის, როგორც ბრმა იარაღს იყენებს კაპიტალისტურ არმიას, შევსებულს, უმთავრესად ისევ მუშებისა და გლეხებისაგან.

დღეს, მსოფლიო ბურჟუაზია, დამფრთხალი ჩვენი წინმსვლელობით ემზადება საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ჩვენს წინაშე აშკარად წამოჭრილია ომის საფრთხე. საერთაშორისო იმპერიალიზმი ათასგვარი პროვოკაციით სცდილობს ჩვენს ჩათრევას ახალ სისხლის ღვრაში.

საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ განუცხადებია, რომ მას არ სურს ომი. მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობის დაცვისაკენ.

მაგრამ თუ კი ვინმე მოისურვებს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრას, ის ყოველთვის იგრძნობს ფოლადისებურ ხელს წითელარმიისას, რომელიც ურყევ დარაჯად უდგას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიან შრომას.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია თავის რიგებში ზრდის არა მარტო მებრძოლს, არამედ შეგნებულ მოქალაქესაც, რომელიც ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ უბრუნდება ქალაქს, ან სოფელს, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი.

შვებულებაში მიმავალმა თვითეულმა წითელარმიელმა ორი წლის სამსახურით ჯარში პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა მუშურ გლეხურ ხელისუფლების წინაშე.

ჯარიდან დაბრუნებულ წითელარმიელთა ეხლა ეხსნებათ მოღვაწეობის მეორე ფრონტი—გავრცელება და გამოყენება იმ ცოდნის, რომელიც მან შეიძინა ჯარში ყოფნის დროს.

თქვენ ძვირფასო ამხანაგებო, უბრუნდებით რა თქვენს სოფელსა და წარმოებას არ უნდა დაივიწყოთ შემდეგი:

ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აყვავების საქმეში თავისი წვლილის შეტანა, ჩვენი მრეწველობის ინდუსტრიალიზაციაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ჩამოყალიბებას, სოფლად მეურნეობის დამუშავების ახალ წესების შეტანას, კოოპერატიული ქსელის გაფართოებას, ქოხ - სამკითხველოების მუშაობის გამოცოცხლებას, საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებას და სხვა.

უვადო შვებულებაში დაბრუნებულო წითელ არმიელო!

აუხსენი მოსახლეობას, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია, ყველა ჯურის გამცემლებთან ერთად სცდილობს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს ხელიდან გამოგლიჯოს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი — პროლეტარიატის დიქტატურა.

აუხსენი მუშებს და გლეხებს, რომ ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ მტრის მოსაგერიებლად.

ენერგიულად ჩაებით მოსახლეობის გასამხედროების საქმეში, აიღეთ ინიციატივა სამხედრო წრეების დაარსებისათვის, მიაწოდეთ ახალგაზრდობას ის სამხედრო ცოდნა, რომელიც თქვენ გაქვთ.

ასეთი მუშაობით თქვენ გადაიხდით მებრძოლი — მოქალაქის ვალს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე.

საქართველოს კომკავშირის ცეკა მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ და გისურვებთ ზემოდ დასახულ ამოცანების ბრწყინვალედ შესრულებას.

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი.

შემთხვევები რკინისგზაზე და მასთან ბრძოლა

ის დიდი ყურადღება, რომელსაც ამ.-კავკასიის მთავრობა აქცევდა წარსულში და ეხლაც აქცევს ამიერ-კავკასიის რკინისგზის ტრანსპორტს, მისი მუშაობის დაუბრკოლებლად და შეუფერხებლად წარმოებას, გამოიხატა იმ ღონისძიებებში, რომელნიც ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო ამ.-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით. ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმა საკონფლიქტო ორგანოები, განიხილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ხასიათის შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1926 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში და რომელნიც ინახება სპეციალურ „შემთხვევათა საგზაო კომისიაში“. ამ მუშაობის შედეგები, რომელნიც წინასწარ შეთანხმებულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სპეციალურ ავტორიტეტულ კომისიაში და რომელნიც პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1927 წ. 18 ივლისს, სავსებით არკვევენ და სწორ ანალიზს უკეთებენ მატარებლების დამტვრევის შემთხვევათა ძირითად მიზეზებს 1926 წლის განმავლობაში.

რკინისგზის ტრანსპორტის მძაფრი მუშაობა მოითხოვს ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობის და მთელი ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებას ამ გზის ყველა ელემენტების წესიერად მოვლის საქმეში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის კონკრეტიულ დასკვნებს და წინადადებებს სხვადასხვა ღონისძიებათა მიღების შესახებ. ეს ღონისძიებანი უმთავრესად ტექნიკური ხასიათისაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმ მიზნების მიღწევაში, რომელთაც ამიერ-კავკასიის მთავრობა და რკინისგზების გამგეობა ისახავს ამ.-კავკასიის ტრანსპორტის წარმატებით მუშაობისათვის; ამასთანავე ეს ღონისძიებანი მინიმალურად ამცირებენ კატასტროფის შესაძლებლობას რკინისგზებზე.

ყველა ამ საორგანიზაციო - ტექნიკური ხასიათის ღონისძიებათა თავის დროზე გატარების აუცილებლობა გამომდინარეობს დასკვნათა პირველივე პუნქტიდან, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „მომხდარ შემთხვევათა აქტების ყველა მასალების, წინასწარ მოხსენებათა, მოწმეთა ჩვენებების, შემთხვევათა სქემატიური გამოხატვის და ნახაზების ზედმიწევნით განხილვამ და იმ ადგილების ტექნიკურმა შემოწმებამ, სადაც მოხდა შემთხვევები, დაამტკიცა, რომ მატარებლების დამტვრევათა და სხვადასხვაგვარი ხასიათის შემთხვევათა ძირითადი მიზეზები უნდა ვეძიოთ, როგორც გზის და მოძრავი შემადგენლობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში (გზების შეუკეთებლობა, უყურადღებობა და სხ.), ისე იმაში, რომ გზის აგენტები გულგრილად და უყურადღებოდ ეკიდებიან იმ მოვალეობას, რომელიც მათ ეკისრება მატარებელთა მოძრაობის დარგში. ყველა ამ მიზეზებთან ერთად საქმიდან ნათლად სჩანს ბევრი მუშაკის გამოუცდელობა და სუსტი კვალიფიკაცია, გზის ადმინისტრაციის მუშაობის საორგანიზაციო მეთოდების ნაკლოვანებანი და შრომის დისციპლინის სისუსტე“.

ეს ღონისძიებანი შემდეგია:

გზის გამგეობამ ენერგიულად უნდა დაიცვას გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის წინაშე გზის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება.

სწრაფად იქნას ცნობილი ის სისტემა, რომლის მიხედვითაც ტექნიკურად კომპეტენტური კომისია შემთხვევათა მიზეზების ტექნიკურ გამოკვლევას და ანალიზს აწარმოებს იმ ადგილას, სადაც მოხდა შემთხვევა.

ამასთან ერთად აუცილებლად იქნას ცნობილი მთელი რიგი დეფექტების აცილება ადგილობრივ და საგზაო კომისიის მუშაობაში. განსაზღვრულ უნდა იქნას შემთხვევათა გამოძიების წესი: იმ შემთხვევათა გამოძიება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა არ აქვთ (ზარალის რაოდენობისა და მის გამოსასწორებლად საჭირო მუშაობის მიხედვით: მოძრავი შემადგენლობის გაქანება ქარისაგან, საქონლის გასრესა, სამანევრო ორთქლმავლების აცდენა ლიანდაგიდან სადგურის გზებში, ხანძრები სადგურებში, მატარებლების შემადგენლობის გაწყვეტა სადგურებზე საგრძნობი ზარალის მიუყენებლად და სხ.) უნდა მოხდეს ადგილობრივ და საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნას დაუყოვნებლივ ადგილობრივი ტექნიკური კომისიის მიერ, რის შესახებაც უნდა ეცნობოს რკ.-გზების გამგეობას. ძირითადი მნიშვნელოვანი ხასიათის შემთხვევები და მატარებლის საქმე განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნას საგზაო კომისიის მიერ რომელიც ამ საქმეს სათანადო შემთხვევაში გადასცემს სასამართლოს. ამასთანავე; იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება საქმის სასამართლოში გადაცემის შესახებ, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილ უნდა იქნას გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულის და რკინისგზის პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარის შეთანხმებით.

მოხდეს ადგილობრივი ტექნიკური კომისიის რეორგანიზაცია იმგვარად, რომ მის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას რკინისგზის გამგეობის საუბნო რწმუნებული.

ვინაიდან არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი კომისიების აქტივში საკმაოდ არაა გაშუქებული მომხდარ შემთხვევათა პირობები, წინადადება მიეცეს რკინისგზების გამგეობას დაუგზავნოს ადგილობრივ კომისიებს დირექტივები იმის შესახებ, რომ მკაცრად იქნეს შესრულებული ყველა წესები და ინსტრუქციები, რომელნიც გამოცემულია ამ საკითხზე. შემოღებულ იქნას ადგილობრივ რკინისგზის იმ აგენტების შრომითი დახასიათების შესწავლის სისტემა, რომელთაც საქმე აქვთ მატარებლის მოძრაობასთან.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობამ და რკინისგზის პროფკავშირთა საბჭომ უნდა განიხილონ აუცილებლობა და საჭიროება იმისა, რომ შემუშავებულ იქნას წახალისების ზომები რკინისგზის იმ აგენტებისათვის, რომელნიც განსაკუთრებულ ერთგულებას გამოიჩენენ რკინის გზის ტრანსპორტის საერთო საქმისადმი მატარებელთა დამტვრევის, ხანძარის და სხ. შემთხვევის დროს, რომ შემუშავებულ იქნას აგრეთვე სასჯელის ზომები უყურადღებობის, გულგრილობის და იმ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც გამოიწვია კატასტროფა ან სხვა შემთხვევა. ამასთან ერთად აუცილებელია სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული ტექნიკური ექსპლოატაციის წესები. დასჯილ უნდა იქნენ აგრეთვე მომხდარი შემთხვევის არაპირდაპირი დამნაშავენი.

წარმოებულ უნდა იქნას ყოველი კატასტროფით ან შემთხვევით გამოწვეული ზარალის სრული აღრიცხვა: აღრიცხულ უნდა იქნას როგორც დაზიანებათა ღირებულება, ისე მის შესაკეთებლად საჭირო მასალებისა და მუშა-ხელის ღირებულება.

გზათა სამმართველომ უნდა გააძლიეროს კონტროლი იმისათვის, რომ თავის დროზე იქნას ცხოვრებაში გატარებული როგორც საგზაო, ისე ადგილობრივ ტექნიკურ კომისიების გადაწყვეტილებანი. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ დეფექტებს, რომელნიც აღნიშნული იქნება ამ კომისიების აქტებსა და დადგენილებებში.

შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ შემთხვევებს, როცა მატარებელთა შემადგენლობა იგზავნება ისეთი რაოდენობით, რომელიც ვერ ეტევა ზოგიერთი სადგურის სივრცეზე.

წინადადება მიეცეს რკინისგზის სამმართველოს შეიმუშაოს სპეციალური წესები გრძელი შემადგენლობის მატარებლის მიმოსვლის შესახებ და აღძრას შუამდგომლობა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა გადადებულ იქნას საჭირო თანხები იმისათვის, რომ ეს გზები გადაკეთდეს გრძელ შემადგენლობის მატარებლისა და ტექნიკური ექსპლოატაციის მომქმედი წესების მიხედვით.

წინადადება მიეცეს რკინისგზის გამგეობას გამოარკვიოს, თუ როგორ შეკეთებას საჭიროებენ ლიანდაგები, სადგურები და სიგნალები ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე და მიიღოს ზომები ყველა დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საგზაო ტექნიკური ინსპექციის ყველა მოსაზრებანი. თუ მთელი სამუშაოს შესრულება შეუძლებელია საკუთარი თანხებით, სთხოვოს გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატს დამატებითი თანხების გაღება.

მომავალში შემოღებულ იქნას წესად, რომ პერიოდულად, მოულოდნელად იქნას შემოწმებული, თუ როგორ არის მოვლილი ლიანდაგი, სადგურები და სიგნალები.

გაძლიერდეს საუბნო ადმინისტრაციების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მოძრავი მატარებლის შემადგენლობაში ადგილი არ ჰქონდეს ტექნიკურ დეფექტებს.

მძიმე წონის და სამარშრუტო მატარებლის შემადგენლობაში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი ვაგონები, რომელთა გადასაბმელი ნაწილი არ არის შემოწმებული.

დაწესდეს თვალყურის დევნება, რომ ეს გადასაბმელი ნაწილები სათანადოდ იქნან დაცული.

დაიბარონ ვაგონების შემმოწმებელთ, შეადგინონ აქტები მზეთავებზე და ვაგონის გამყოლებზე, რომლებსაც აღმოუჩნდებათ მათი ვაგონის დაზიანება და ეს აქტები წარუდგინონ წევის დარგის სათანადო უბნის უფროსს, დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად. თუ—კი ერთი და იგივე მზეთავზე ან გამყოლზე აქტი სამჯერ იქნა შედგენილი, საკითხი მათ შესახებ, როგორც თავიანთ თანამდებობისათვის უვარგის პირთა შესახებ, დაისვას შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

რათა აღმოფხვრილი იქნეს თანამდებობისადმი გულგრილობა და უყურადღებობა ყველა სამ ძირითად დარგის—მოძრაობის, წევის და გზის დარგის გზის აგენტებს შორის შემოღებული იქნეს ხაზზე მუდმივად მოქმედი ინსტრუქტაჟი. აღნიშნული მუშაობის ჩატარება დაევალოს დარგის ინსტრუქტორებს, რისთვისაც ისინი განთავისუფლებული უნდა იქნენ ისეთ მოვალეობისაგან, რომელიც არ არის აღნიშნული მათ შესახებ გამოცემულ დებულებაში.

გზის გამგეობას დაევალოს, ყურადღება მიაქციოს ასრულებენ თუ არა გზაზე ბრძანებას, რომელიც რკინისგზის ტრანსპორტზე ყველა მომუშავეებს ავალებს დროზე შეატყობინონ უახლოეს სადგურებს ყველა მათ მიერ შემჩნეული სტიქიური მოვალეობის ნიშნები, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ რკინისგზის ხაზის ნორმალურ მდგომარეობას.

მტკიცეთ უნდა იქნეს შესრულებული ინსტრუქციები მემანქანის და საკონდუქტორო ბრიგადის მიერ მატარებლების მიღების შესახებ.

დეპოს ადმინისტრაციას დაევალოს გააძლიეროს თვალყურის დევნება წესიერად აწარმოებენ თუ არა ორთქლმავლების გარეცხვას, ყველა საზომი მოწყობილობის და არმატურის შემოწმებას და ყველა ონკანების და დგუშების და დაზეთვას.

პასუხისგებაში იქნენ მიცემული ის მემანქანეები, რომლებიც თავის რეგულიატორს მიანდობენ მემანქანეთა თანაშემწეებს ან სხვა პირთ, და ის მემანქანეთა თანაშემწეები, რომლებიც იკისრებენ ორთქლმავლების მართვას მაშინაც—კი, როდესაც ამას არ მოჰყვება უბედური შემთხვევები. გამონაკლისს შეადგენენ ის შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია ინსტრუქციაში.

მემანქანეებს ევალება თავის მარშრუტში აღნიშნონ ყველა მათ მიერ შენიშნული დეფექტები, აგრეთვე ისართან. მეისრეს ან მის მაგიერი პირის არყოფნის გამო, მატარებლის შეჩერების შემთხვევები.

წევის ადგილობრივ ადმინისტრაციას ევალება, დაუგვიანებლად გადაგზავნონ მემანქანეთა ცნობები სათანადო ადგილობრივ უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველ კომისიაში.

პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევებისათვის დაეკისროს აგრეთვე რევიზორებს. და ინსტრუქტორებს, როგორც უბედურ შემთხვევათა არაპირდაპირ დამნაშავეთ, თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია მათ მხრივ სუსტად გატარებული კონტროლის გამო.

გზათა გაეროვნების კომისიას ევალება სასწრაფოდ გადათარგმნოს ეროვნულ ენებზე და დაურიგოს გზის აგენტებს ყველა მოქმედი განკარგულებები და ინსტრუქციები.

გამგეობას ევალება იხელმძღვანელოს ცენტრის განკარგულებით საგზაო პროფგანათლების სამმართველოს კურსებზე გაგზავნის შესახებ და სასტიკად შეამოწმოს კურსებზე მივლენილთა სტაჟი, განსაკუთრებით—კი მემანქანეთა კურსებზე მივლენილთა სტაჟი.

დაჩქარებულ იქნეს შრომის სიების შემოღება ა.-კ. რკინისგზებზე, პირველ რიგში გზის აგენტების სიები, რომლებიც დაკავშირებულია მატარებლების მოძრაობასთან და სასტიკად იქნეს დაცული ამ სიების, როგორც შევსების, ისე დასჯის და დაჯილდოვების შემთხვევებში გამოყენებული წესი.

რკინისგზელთა პროფკავშირს ევალება გზების ადმინისტრაციასთან ერთად გააძლიეროს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად და სამუშაო დროს გაცდენისა და რკინისგზის აგენტების ლოთობის წინააღმდეგ.

გაძლიერებული იქნეს მუშაობა საწარმოო და ეკონომიურ თათბირებში და ამ თათბირებზე განხილული უნდა იქნეს არა მარტო დეპოს და სახელოსნოების, არამედ გზების და სადგურების ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის მუშაობის მოწესრიგების საკითხები. აღნიშნული საკითხების შესასწავლად—კი გამოყენებულ იქნეს მემანქანეთა სამარშრუტო. ცნობები და სხვა.

გზის გამგეობას და რკინისგზელთა პროფკავშირს ევალება წესების შემუშავება საწარმოო და ეკონომ თათბირების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად და ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ არ განმეორდეს მაგალითები, რომელსაც ადგილი ქონდა განჯის დეპოში, სადაც საწარმოო კომისია 1926 წლის 14 ივლისის თარიღით, ხოლო საწარმოო თათბირი 14 ოქტომბრის თარიღით აღნიშნავენ, რომ წყალსაზომი მინები ორთქმავალთათვის მიღებული არ იქნა შვიდი თვის განმავლობაში, რაც საშიშროებას უმზადებს ორთქლმავალთა მუშაობას.

აღნიშნული დასკვნები და დადგენილებები მაქსიმალურ ობიექტივობით ნათელყოფენ ტრანსპორტის ყველა ნაკლოვანებათ და უეჭველად საყურადღებო იქნება ტრანსპორტის ყველა გულწრფელ მუშაკებისათვის—როგორც მუშების და მოსამსახურეებისათვის, ისე ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალისთვისაც. აღნიშნული დასკვნები და დადგენილებები შეაგნებინებენ ტრანსპორტზე მომუშავეებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების და ტრანსპორტის სამმართველო ორგანოები სათანადო ყურადღებას აქცევენ ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეების მუშაობის და სამსახურის, როგორც დადებით, ისე უარყოფით ხასიათის ყოველივე წვრილმანს.

უეჭველია ისიც, რომ თუ მუშა-მოსამსახურეებმა გამოიჩინეს სათანადო ენერგია, ინიციატივა, ნიჭი და გამოცდილება, ისინი მაქსიმალურ დახმარებას მიიღებენ, როგორც მთავრობის სათანადო ორგანოებისაგან, ისე პროფკავშირთა ორგანოებისაგანაც, რომლებიც ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის დისციპლინის და ნაყოფიერების გაძლიერებას ტრანსპორტზე.

ნ. ლეჟავა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისთვის

ფოთი, 28 სექტემბ. შექმნილია კომისია ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად. ოქტომბრის ათი წლისთავის დღეს გაიხსნება ახალი საავადმყოფო (ადს).

ქალაქის ალმასკომის 1927—28 წ. ბიუჯეტი

ფოთი, 28 სექტემბ. დამტკიცებულია ქალაქის საბჭოს 1927—28 წ. ბიუჯეტი 496.403 მან. რაოდენობით. წარსულ წელთან შედარებით ბიუჯეტი შემცირებულია 117.022 მანეთით.

თხილის მოსავალი

ოზურგეთი, 28 სექტემბერი. ყველგან დამთავრდა თხილის მოკრეფა. წელს თხილის კარგი მოსავალია. თხილის მზეზე გახმობას ხელს უშლის ცუდი ამინდები. თხილის ღირსება წარსულ წელთან შედარებით უფრო მაღალია. თხილის დამზადების ყველა ოპერაციები საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერაციისა და აგრეთვე გლეხების ურთიერთ-დამხმარე ორგანოების ხელშია. (ადს).

აჭარისტანი

ამხ. ფლორინსკის ჩამოსვლა

ბათომი, 29 სექტემბერი. ბათომში ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სკანდინავიის ქვეყნების და საოქმო განყოფილებათა გამგე ამხ. ფლორინსკი და იმავე კომისარიატის კოლეგიის უფროსი მდივანი ამხ. კონტოროვიჩი. (ადს).

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურზე

ბათომი, 29 სექტემბერი. ამჟამად სწარმოებს ჯებირების აგება მდინარის მარჯვენა ტოტზე. ჯებირის სიმაღლე უკვე აღწევს 3 მეტრს. უნდა იყოს-კი 5 მეტრის სიმაღლისა, რაც უზრუნველყოფს წყლის გატარებას გვირაბში დიდ წყალდიდობის დროსაც. კატასტროფიულ წყალდიდობის დროს წყალი გატარებული იქნება მარჯვენა ტოტის უკვე დამთავრებულ ჯებირზე, რომელსაც შეუძლია წამში 150 კუბ. მეტრი წყლის გატარება. უახლოეს ამოცანას შეადგენს მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრება მთავარი ჯებირის ასაგებათ. ახლო ხანში დამთავრდება გვირაბის გაფართოვება. მდინარის მარცხენა ნაპირზე გაჰყავთ ვერტიკალიური მაღარო. იქვე ამთავრებენ ნიადაგის მომზადებას საგენერატორო შენობისათვის. ამ დღეებში დაიწყებენ ორი გვირაბის გაყვანას ტურბინებისათვის წყლის მისაწოდებლად. თვითეული გვირაბი იქნება 45 მეტრის სიგრძისა. დამხმარე სადგურზე ამჟამად აწყობენ მესამე ტურბოაგრეგატს, რომლის საშუალებით სადგურის სიძლიერე გაიზრდება 70 ცხ. ძალით. (ადს).

წერილები

პრესის მნიშვნელობა მშრომელთათვის

საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის, და კერძოდ ჟურნალ-გაზეთებს მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება პრესის სარგებლიანობა. ის ემსახურება აგრეთვე იმ კლასის ბატონობის განმტკიცებას, რომელსაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავე უპყრია ხელთ.

სწორედ ამიტომ არის, რომ გაბატონებული კლასები მუდამ ცდილობდნენ ამ ბასრი იარაღის თავის ხელში შენარჩუნებას და მოწინააღმდეგეთ არ აძლევდნენ პრესით სარგებლობის საშუალებას.

ძველი რეჟიმის დროს პრესა ემსახურებოდა მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს და ცდილობდა თვითმპყრობელობის ტახტის გამაგრებას. იმ დროს მუშათა კლასს არ აძლევდნენ ნებას საკუთარი გაზეთის გამოსაცემად და თუ მაინც რომელიმე მუშური გაზეთის გამოცემა მოხერხდებოდა, მისი დღეები წინასწარ დათვლილი იყო.

ოქტომბრის რევოლუციამ გაბატონებულ კლასებს სხვა უპირატესობებთან ერთად ხელიდან გამოგლიჯა ეს ბასრი იარაღიც და ის მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურს დაუკავშირა.

დღევანდელი საბჭოთა პრესა მთლიანად ემსახურება მშრომელი ხალხის ინტერესებს. მას დღის სინათლეზე გამოაქვს როგორც ხელისუფლების ყოველგვარი დადებითი ნამუშევარი, აგრეთვე მიუთითებს წარმოება-დაწესებულებების საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

საბჭოთა პრესის დახმარება აგრეთვე იმაში გამოიხატება, რომ მან ხელი შეუწყო და თავის ირგვლივ შემოიკრიბა მრავალი ათასი მუშა და გლეხი კორესპონდენტები, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მუშაობის პროცესში შემჩნეულ დადებით და უარყოფით მოვლენებს და პრესის საშუალებით მიუთითებენ ამის შესახებ სათანადო ორგანოებს.

საბჭოთა რესპუბლიკებში, გარდა ყოველდღიურ, ცენტრალური გაზეთებისა, თითქმის ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან წარმოება-დაწესებულებებსა და მრავალ სოფლებში გამოდის კედლის გაზეთები.

ამ გაზეთების უმთავრესი დანიშნულებაა ერთის მხრივ ხელი შეუწყოს ადგილობრივ შემჩნეული ნაკლულოვანებათა აღმოფხვრას და აგრეთვე მოამზადოს ახალი კადრები მუშა და გლეხკორესპონდენტებისა ცენტრალური გაზეთებისათვის.

როგორც ვხედავთ, მიზანი ფრიად დიდმნიშვნელოვანია.

კედლის გაზეთების გამოცემის სათანადო დონეზე დაყენებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის პირობებში, სადაც ყოველთვის უფრო მეტია უარყოფითი მოვლენები, ვინემ ქალაქად.

ამიტომ, უმთავრესად მადლობის ღირსნია საგარეჯოს ის გლეხკორები, რომლებმაც ამ ორი წლის წინად საფუძველი ჩაუყარეს კედლის გაზეთ „სინათლეს" გამოცემას და ხვალ ზეიმობენ მისი მეასე ნომრის გამოშვებას.

დანარჩენი სოფლების გლეხკორთათვის ამ ამხანაგების საქმიანობა მისაბაძ მაგალითად უნდა გადაიქცეს.

გლეხკორი.

კედლის გაზეთ „სინათლეს" მე-100 ნომერი

საგარეჯო-გარე-კახეთი

სოფელ საგარეჯოში კედლის გაზეთ „სინათლეს" გამოცემას საფუძველი ჩაეყარა ადგ. გლეხკორთა მიერ 1925 წლის ივნისში. დღევანდლამდე კედ-გაზეთი „სინათლე" გამოდის ყოველ კვირა სისტემატიურად, რომლის ირგვლივ შემოკრებილია გლეხობის ფართე მასები. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, „სინათლე"-მ თავისი ნაყოფიერი მუშაობით გლეხობის უდიდესი სახელი და ნდობა დაიმსახურა. ზოგიერთ ჩამორჩენილ სოფლებში, სადაც წინეთ გლეხობამ რიგიანად სკოლის სახელიც კი არ იცოდა, დღეს „სინათლეს" მიერ გამოსწორებულ ნაკლზე ლაპარაკობენ. ფინანსიური შესაძლებლობების მიხედვით „სინათლე" გამოდის რამოდენიმე ცალად და ეგზავნება რაიონის ცხრა სოფელს.

კედგაზეთ „სინათლეს" სიდიდე, ნაწერი და მხატვრული მხარე აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამჟამად მასში შემოღებულია რამოდენიმე განყოფილება: პარტიული, პოლიტ-განათლება სოფლად, სამეურნეო, თემის ნაკლ-მიღწევანი და სხვა. „სინათლეს" მუშაობას თან სდევს ნაკლიც, რომლის გამოსწორებასაც ცდილობს სარედაქციო კოლეგია.

სასიხარულოა ის სურათი, როდესაც კვირაობით კედ-გაზეთის წასაკითხად სპეციალურად გამართულ ჩარჩოს წინ იმართება გლეხობის გრძელი რიგები.

„სინათლემ" ხელი შეუწყო გლეხკორთა რიგების გაფართოებას.

დღიდან „სინათლეს" დაარსებისა საკმაო შრომა და ამაგი მიუძღვით ყოფ. პარტკომის მდივნებს—ექ. კობახიძეს და იერ. იმნაიშვილს, გაზეთის დამაარსებლებს: გ. გარსიაშვილს, ბედიაშვილს, ძაბილაშვილს, ლ. ზუკაკიშვილს და ივ. დრიძეს.

2 ოქტომბერს გამოდის „სინათლეს" მე-100 საიუბილეო ნომერი, რომლის აღსანიშნავად საგარეჯოში გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

ვუსურვებ ჩვენს კედლის გაზეთს უფრო ნაყოფიერ საქმიანობას მშრომელი გლეხობის კეთილდღეობისათვის.

ალ. ბ—ლი.



კედლის გაზეთ „სინათლე"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრები: 1) ალ. ბედიაშვილი, 2) გ. ძაბილაშვილი, 3) ივ. დრიძე, 4) გ. გარსიაშვილი, 5) ნ. ყორღანაშვილი.

წერილებიდან

სოფ. მახუნცეთი, აჭარისტანი

ძვირად ჯდიან

სოფ. მახუნცეთში, სადაც შენდება აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგური, მუშებისათვის გახსნილია კოოპერატივი, რომელიც აწვდის მათ პირველ მოთხოვნილების საგნებს. ამავე კოოპერატივს აქვს გახსნილი სამზარეულო, საიდანაც მუშებს მიაქვთ სადილი და ვახშამი, მაგრამ იქ დამზადებული საჭმელები უსუფთაოა და ძვირადაც იყიდება. მაგალითად ნახევარი პორცია (კატლეტი, ან ბიტკი), ღირს 24 კაპ. ასეთი ფასები კი დიდი ქალაქების დიდ რესტორანებშიაც არ არის.

საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება კოოპერატივის გამგეობამ და მოაწესრიგოს ფასების საქმე.

თ—ე. გ.

ს. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა

რატომ გააუქმეთ?

სოფ. კაკაბეთში წარსულ წლებში არსებობდა გლეხკომი, შემდეგ შესწყვიტა მოქმედება. ამ სოფელში საკმაო რიცხვი მოიპოვება დაზარალებულები, ქვრივ-ობლები და ღარიბები, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარების გაწევა, რისთვისაც აუცილებელია გლეხკომის არსებობა.

საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები გლეხკომის დასაარსებლად.

გ. გარსიაშვილი.

სოფ. მუხრანი, დუშეთის მაზრა

უცოდინარი მებაღე

მუხრანში არის უნივერსიტეტის გამგებლობაში არსებული მამული, რომელშიაც მებაღეობის დარგის გამგეთ ითვლება მიხ. ჯორჯიკია. ამ მოქალაქეს ძალიან ნაკლებად ესმის თავისი სპეციალობა და მუშებსაც უდიერად ეპყრობა. ამას წინად გვეწვია საგამომძიებლო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია მამულში მებაღეობის საქმის მდგომარეობა. გამოკვლევა ჩატარდა, შესაფერი ოქმიც შეადგინეს, მაგრამ ჯორჯიკია ისევ თავის ალაგასაა.

საჭიროა დროზე ზომების მიღება, სანამ მამული გაოხრდებოდეს.

გულშემატკივარი.

თელავი

სამკითხველოში წესრიგი არაა

თელავში, სახალხო თეატრის გვერდით მოთავსებულია სამკითხველო. უნდა ითქვას, რომ ხსენებული სამკითხველო ისეთ მოხერხებულ ალაგას არის, რომ თელავის ყველა უბნის მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომია. მკითხველებიც ბლომად ეტანება, მაგრამ დადიან ისეთი პირებიც, რომლებიც ხელს უშლიან სამკითხველოში წესრიგის დამყარებას. ზოგიერთი უსაქმურები დაიწყებენ ხმა მაღლა ლაპარაკს, სიმღერას და ზოგჯერ ჩხუბსაც არ ერიდებიან. რაც შეეხება სამკითხველოს გამგეს, არც ის იღებს ზომებს ასეთ პირების წინააღმდეგ.

რაშია საქმე? სამკითხველო მშრომელთა გათვითცნობიერების კერაა თუ საქეიფო ადგილი?

მუშკორი ლადო.

სენაკი

1905 წელში დაბადებულთა გაწვევა

5 სექტემბერს დაიწყო 1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევა.

წვევამდელები დიდი ხალისით ცხადდებიან. სხვადასხვა მიზეზების გამო გამწვევ სიაში გამორჩენილნი მოდიან, მოაქვთ მეტრიკული ამონაწერი და წინადადებას იძლევიან გაწვეულ იქნენ. არ ისმის ტირილი, გოდება, როგორც ეს იყო ნიკოლოზის დროს, როდესაც ჯარისკაცებს მეფის მოხელეები უხეშად ეპყრობოდნენ.

წვევამდელებმა იციან, თუ რას უნდა ემსახურონ. ვერ ნახავთ მთვრალ, უდიერ და უმგვანო მომქმედ წვევამდელს, ისინი მოდიან გუნდობით, მწკრივად, ინტერნაციონალის სიმღერით.

ა. დ—ძე.

—:—

სოფლის ქრონიკა

— **გლეხკომების პლენუმი.** დღეს, ბათომში გაიხსნება გლეხკომების პლენუმი.

— **ხიდი.** სოფ. ვაზიანში (აჭარისტანში) ხიდის ასაგებად გადაიდო 6.000 მანეთი.

— **წყალსადენი.** სოხუმში შეუდგენ ახალი წყალსადენის გაყვანას.

— **გზა.** ნეძვიდან ახალდაბამდე გლეხებმა გაიყვანეს საურმე გზა.

— ჯვარა - რუქის შორის განახლდა საუღელტეხილო გზის გაყვანის საქმე.

— **ახალი საავადმყოფო.** სოხუმში ამ დღეებში შეუდგებიან ახალ საავადმყოფოს აგებას.

— **თელავის აბრეშუმის ქარხანასთან** ეწყობა ამბულატორია, ამ მიზნით გადადებულია 3.000 მან.

— **მოსავლის დღე.** ახალქალაქის ალმასკომი 7 ნოემბერს მაზრაში ჩაატარებს „მოსავლის დღის" კამპანიას.

— **მებაღეთა არტელი.** სოფ. თიანეთში (გურია) დაარსდა მებაღე გლეხების არტელი.

მუშათა ცხოვრება

უნდა შეერთდნენ

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

თბილისის სავაჭრო სამრეწველო სადგურების საექსპლოატაციო და საიჯარო საქმეებს განაგებს თბილისის ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს ორი ქვე-განყოფილება: საიჯარო და საღრიცხო-საინსპექტორო.

პირველი მათგანი აწარმოებს სადგომების გაცემა-შეფასებას, ხოლო მეორე კი საიჯარო განყოფილებას აწვდის შეფასებისათვის საჭირო ცნობებს, სისრულეში მოჰყავს ჩასახლება გამოსახლების გადაწყვეტილებები და აწარმოებს აღრიცხვას სადგომებისა და შიგ მდებარე კომუნალურ ინვენტარისას.

აშკარაა, რომ ამ 2 ქვე-განყოფ. მუშაობა გამომდინარეობს ერთი მეორისაგან, ისინი ერთმანეთის დამოუკიდებლად ვერაფერს გააკეთებენ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მეზობელ ოთახიდან ერთ განყოფილებაში მისდის ოფიციალური ცნობა, ან მიმართვა მეორე ქვე-განყოფილებას. შემდეგ კი ჟღარებელი რეზოლუციები და სხვა ამისთანები, რაც საქმიანობას აფერხებს და აჭიანურებს.

დებულების თანახმად, ამ ქვე-განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ თავთავიანთ-მუშაობის გეზი, მაგრამ სინამდვილეში ადგილი აქვს პარალელიზმს, ხშირად კი ერთიმეორის საწინააღმდეგო განკარგულებებს.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება რაციონალიზაციაზეა მიპყრობილი, უნდა აშკარად ვსთქვათ, რომ ამ ორ ქვე-განყოფილების ცალცალკე მუშაობა არ არის მიზანშეწონილი. ისინი უნდა გაერთიანდნენ. ამით მოისპობა მუშაობის პარალელიზმი და საქმის გაჭიანურება. ერთი გამგე თავის თანაშემწით და ერთი კანცელარია თანამშრომლებით შემცირდება, შემცირდება აგრეთვე საკანცელარიო ხარჯებიც, საქმე კი ბევრად წინ წაიწევს და ალაგი არ ექნება ერთ ოთახიდან მეორე ოთახში ოფიციალური მიმოწერების წარმოებას.

ვფიქრობ, რომ საკონტროლო და საორგანიზაციო განყოფილებები უშუალოდ უნდა დაინტერესდნენ ამ საკითხით და რაც შეიძლება დააჩქარონ ამ ქვე-განყოფილებების შეერთება.

უქსის მეგობარი.

სახელმწიფო ქონება ნადგურდება

რკინის გზებზე ბევრ ადგილას შეხვდებით უპატრონოდ მიტოვებულ ისეთ მასალას რომლის გამოყენება არამც თუ შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა.

მაგალითად, სადგ. ბაქოს სამასალო საწყობში, რამოდენიმე წელიწადია უყურადღებოდ გდია ას ცხენის ძალიანი მანქანა „ფენიქსი". ეს მანქანა მოვიდა ლენინგრადიდან და გადმოტვირთული იქნა ერთ-ერთ პატარა სადგურზე. შემდეგ კი გადაიტანეს საწყობში, დღემდე გაუხსნელი გდია.

მანქანას აკლია ზოგიერთი ნაწილები, მაგრამ რა ნაწილები აკლია, ეს არავინ იცის და არც არავინ თავს იწუხებს მანქანის გასახსნელად და გასასინჯათ.

თბილისის მთავარ სახელოსნოებში სრულიად უსარგებლოდ და უყურადღებოდ გდია გაზგენერატორი, რომელიც თავის დროზე საუცხოვოდ მუშაობდა. სახელოსნოების უფროსი ამჟამად აღარაფრისთვის არ იყენებს ამ მანქანას.

ასეთივე მდგომარეობაშია ადგილებზე წვრილი იარაღის აღრიცხვა ხშირად შეხვდებით ახალ და რიგიანი იარაღებს, რომლებიც უყურადღებოდ ნადგურდება ღია ცის ქვეშ.

დროა მოწესრიგებული იქნეს ინვენტარის აღრიცხვის საქმე. საჭიროა გამოირკვეს ყველა უყურადღებოდ მიტოვებული მანქანების და დაზგების რაოდენობა და გამოყენებულ იქნეს წარმოებისათვის.

მუშკორი ს. სტრიშკო.

ნაყოფიერი კრება

სამშაბათს, 27 სექტემბერს შესდგა ლენინის უბნის ახალგაზრდა მუშების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იყო: 1. მოხსენება წარმოებებში მომუშავე ახალგაზრდა მუშების მდგომარეობის შესახებ და 2. დელეგ. არჩევა თბილისის უბნის უპარტიო ახალგაზრდა მუშების კონფერენციაზე დასასწრებლად.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. თოფურიძემ, მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ახალგაზრდობის მდგომარეობა წარმოებებში და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები ახალგაზრდათა შორის მუშაობაში.

მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო ოცზე მეტ ახალგაზრდა მუშამ. მოკამათენი უმთავრესად ეხებოდნენ ახალგაზრდობის კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობას წარმოებებში, სანიტარულ პირობებს, მოწაფეთათვის სამუშაო დაზგების ნაკლებლობას და სხვა. ორატორების სიტყვით, აღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა ხელს უშლის მოწაფეების სწავლას.

დასასრულ კრებამ თბილისის უბნის უპარტიო ახალგაზრდათა კონფერენციაზე დასასწრებლად აირჩია 52 დელეგატი.

ფ. მესხი.

ელექტრო-ტეხნიკური სახელოსნო

რკინისგზის მთავარ ელექტრო-ტეხნიკური სახელოსნოში მზადდება ელემენტები, კვერთხები, ტელეგრაფის აპარატები და სხვა ისეთი საკავშირო იარაღები. სახელოსნოში არსებობს შემდეგი საამქროები: მექანიკური, საზეინკლო, სადურგლო, სამღებრო, სამჭედლო და სხვა.

სახელოსნოს მუშები რიცხვი უდრის 105 კაცს, აქედან 12 კაცი ახალგაზრდა მოწაფეები არიან.

სახელოსნოს უფროსი ამხ. თაქთაქიშვილი და მისი თანაშემწე ამხ. კალაძე საკმაო ენერგიას იჩენენ სახელოსნოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მუშაობის პირობების გასაადვილებლად.

შრომის დისციპლინა საერთოდ სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, მაგრამ მაინც აქვს ადგილი სიმულიაციას, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივმა კომიტეტმა. სიმულიაციას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სტაბელო დაფა ყოველთვის ღიაა, სიმულიანტ მუშას როცა მოეპრიანება მაშინ დაკიდებს და მოხსნის ხოლმე თავის მარკას.

სახელოსნოს ეზოში აშენებულია აბანო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ მუშებს. აბანო მხოლოდ შაბათობით ცხელდება, რის გამო აბანოს შენობა ვერ იტევს ყველა მუშებს ერთად. საჭიროა კვირაში სამჯერ მაინც გაცხელდეს აბანო, რომ ყველამ შესძლოს ბანაობა.

კულტურული მუშაობა მუშებში დამაკმაყოფილებელია. მუშების 70 პროც. არიან ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის წევრები. ზოგი მათგანი ჩაბმულია საკლუბო მუშაობაში. გაზეთებს თითქმის ყველანი იწერენ.

საერთოდ პროფმუშაობა დამაკმაყოფილებელია, რაც უნდა მიეწეროს ადგილკომის თავმჯდომარის მუყაით მუშაობას.

მუშკორი შ—ელი.

ექსკურსია რევოლუციონურ მუზეუმში

კვირას, 25 სექტემბერს, ლენინის რაიონის რემდასის ბიუროს ხელმძღვანელობით, მოეწყო რკ. გზელ მუშების ფართე ექსკურსია რევოლუციონურ მუზეუმში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის საქონლის სადგურის მუშებმაც.

მუზეუმის ხელმძღვანელმა გულმოდგინეთ და ხალისიანად მოგვცა ახსნა-განმარტება სხვადასხვა რევოლუციონური სურათების შესახებ და მოკლეთ გაგვაცნეს საქართველოში რევოლუციონურ მოძრაობის ისტორია. განსაკუთრებული ყურადღება დასტოვა ექსკურსანტებზე ბაქოს 26 კომისარის დახვრეტის სურათმა.

ექსკურსანტები დიდის ყურადღებით უსმენდნენ ლექტორს და აძლევდნენ მრავალ შეკითხვებს, რაზეც დამაკმაყოფილებელ პასუხს ღებულობდნენ.

მუშები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ასეთ ნაყოფიერ ექსკურსიის მოწყობის გამო.

საჭიროა ამგვარი ექსკურსიები ხშირად ეწყობოდეს.

—მუშკორი დანდუროვ.

საყურადღებო წვრილმანები

სარედ. კოლეგიას სძინავს

(წერილი ნიგოითიდან)

ორი თვის წინად სადგ. ნიგოითის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა გამოუშვას ორკვირეული კედლის გაზეთი. ამ მიზნით კრებამ გამოჰყო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დაევალა ამ საქმის მოგვარება.

სარედაქციო კოლეგიამ წერილებისათვის სადგურში ჩამოკიდა ყუთი, მაგრამ ყუთიდან ჯერაც არ ამოუღიათ წერილები. გაზეთის გამოსაცემად ხომ სარედაქციო კოლეგია ყურსაც არ იბერტყავს.

საჭიროა ახალი და საქმიანი კოლეგიის არჩევა.

გ. წულაძე.

გაანთავისუფლეთ ბინა

სასამართლოს ქუჩაზე, ყოფ. ინჟ. შახბუდაგოვის სახლებში მოთავსებულია პირველი საცდელ-საჩვენებელი საბავშვო ბაღი.

ბაღის საქმიანობა საუცხოვოდ არის დაყენებული. ბავშვი აქ ღებულობს როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ განვითარებასაც.

ბაღი გახსნილი იყო 40 ბავშვისათვის, მაგრამ ამჟამად აქ ირიცხება 120 ბავშვი. მოთხოვნილება კიდევ უფრო მეტია.

მაგრამ ბაღის მუშაობას დიდათ აბრკოლებს ბინის უქონლობა. ბაღის შენობის ნახევარი (ოთხი ოთახი) უჭირავს სახლების ყოფილ პატრონს მოქ. შახბუდაგოვს. ბაღს კი იმდენი ბინა არა აქვს, რომ წვიმა-ავდრის დროს შეიძლებოდეს მეცადინეობა. მალე აცივდება. ბავშვები ბაღიდან სახლში უნდა შევიდნენ სამეცადინოთ. 120 ბავშვის მოთავსება ბაღის ეხლანდელ ბინაზე კი შეუძლებელია.

განათლების განყოფილებამ უნდა გამონახოს რაიმე საშუალება მოქ. შახბუდაგოვისათვის ბინის გამოსანახად და ნაციონალიზაციაქმნილი სახლი კი სავსებით გადასცეს საბავშვო ბაღს.

მშობელი.

საქ. ცაკში

— **დახმარება გლეხკომებს.** სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხკომებში და გლეხების სახლებში მუშაობის გასაცხოველებლად დახმარებათ მისცა სიღნაღის გლეხკომს — ხუთასი მანეთი, ცხინვალის გლეხკომს ხუთასი მანეთი და დამატებით ახალ-ქალაქის გლეხკომს—250 მანეთი.

— **ინსტრუქტორის გაგზავნა.** გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების მუშაობა — საქმიანობის გამოსაკვლევათ, სრ. საქ. აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ქუთაისის მაზრაში გაგზავნა ინსტრუქტორი.

— **დახმარება კლუბ - სამკითხველოს.** კულაშის კლუბ - სამკითხველოს საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის სპეციალურ საშუალებებიდან დახმარებათ მისცა 230 მანეთი.

— **ახალი ნადები.** საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ამ დღეებში დაამტკიცა წესდებები და ნება დართო ინვალიდებს მოაწყონ თბილისში სავაჭრო - საწარმოო ნადი „ინვალიდი", ქუთაისში „წყარო" და საჩხერეში (შორაპნის მაზრაში) „ცისკარი".

— **ინვალიდების ნადების ურთიერთდამხმარე სალარო.** საქართველოს ცაკის უზრუნველყოფის განყოფილებასთან მოწყობილია ინვალიდთა ნადების ურთიერთდამხმარე სალარო. ამ სალაროში ამჟამად ინვალიდების ნადებს საწევრო გამოსაღების სახით საბრუნავით და ერთმანეთისთვის ხელის მოსაცვლელად დაგროვებული აქვთ 5.800 მანეთი.

— **სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად.** სრ. საქ. აღმასრულებელმა კომიტეტმა იმ თანხების გარდა, რომელიც წინათ ჰქონდა დახმარებათ გაცემული სურებ - ჩოხატაურის გზის გაყვანის საქმეზე მოსახმარათ, კიდევ მისცა ამ დღეებში დახმარებათ აღნიშნულ გზის სააღმშენებლო კომიტეტს 2.600 მან.

— **დახმარება პოეტ ბაჩანას.** სრ. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ სექტემბერში ავადმყოფობის გამო პენსიის გარეშე დახმარებათ მისცა პოეტ ბაჩანას 50 მან.

უმწეო ბავშვთა დასახმარებლად

საქ. ცაკში, ამხ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის ჯანმრთელობის და განათლების კომისარიატების, ა.-კ. ცენტრ. აღმასკომის და სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა უპატრონო ბავშვთა მოვლის საკითხი და შეადგინა გეგმა ბავშვთა კომისიის მუშაობის შესახებ. უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიას მიეცა წინადადება გამოარკვიოს და განამტკიცოს დამოკიდებულება სახელმწიფო - საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ უმწეო ბავშვთა დახმარებას.

თათბირმა დაადგინა გამოარკვიოს ბავშვთა კომისიის ნამდვილი შემოსავალი და დაუყონებლივ შეადგინოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

თათბირის გადაწყვეტილებით, უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია ახლო მომავალში შეუდგება ადგილებზე მომუშავე ბავშვთა კომისიების და უპატრონო ბავშვების მეგობართა საზ-ბის ძირითადი ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევას. კომისია აგრეთვე მოიწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციების თათბირს მომავალ მუშაობის გეგმის შესადგენად და საქმიანობის გასაფართოებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაევალა შეადგინოს ბავშვთა კომისიის წესდება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიენდო გამოიკვლიოს მცხეთაში საბავშვო ახალშენის მდგომარეობა.

ჩაი

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" თანახმად გამომუშავებულ გეგმისა, ახალ სამეურნეო წლისათვის გადაწყვეტილი აქვს ჩაის პლანტაციის სივრცის გაფართოება როგორც აჭარისტანის, ისე გურიის ჩაის მეურნეობის რაიონებში. პირველ რიგში მიზანშეწონილად არის ცნობილი ჩაის პლატაციების სივრცე გადიდებულ იქნეს იმ რაიონებში, რომლენიც ჩაის ფაბრიკების ახლო მდებარეობენ. ამგვარად ახალ საოპერაციო წლის განმავლობაში ქობულეთის რაიონში გაშენებული იქნება 125 დესეტინა ჩაის პლანტაცია ჩაქვის რაიონში—125 დესეტ., ბათომის რაიონში—75 დესეტ., ჭოროხის გაღმა რაიონში—25 დესეტ. მთელს აჭარისტანში ახალ სამეურნეო წლის განმავლობაში გაშენებული იქნება 350 დესეტ.

უმთავრესად ჩაის პლანტაციები გაშენდება გლეხების მიწებზე. წელს იმ მეურნეთა რიცხვი, რომელთა მიწებზე მომავალ წელს უნდა გაშენდეს ჩაის პლანტაცია, ვარაუდით მიაღ-

აგრი-კულტ. მუშაობა

საქართველოს აგრიკულტურულ მუშაობას აწარმოებენ შემდეგი დაწესებულებები: მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი", „თერგის ხევი", „ბირლიკი". მუშ. მთლიანი კოოპ. კურორტთა სამმართველო, „საქართველოს ჩაი", საბამბო კომიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ბანკი, წყალთა მეურნეობის სამმართველო, თამბაქოს ტრესტი და სხ. ეს ორგანიზაციები დღემდე აგრიკულტურულ მუშაობას აწარმოებდენ მიწათმოქმედების კომისარიატთან დამოუკიდებლად, რაც ხშირად ქმნიდა გაუგებრობას და აფერხებდა მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ დასახულ აგროკულტურულ გეგმის განხორციელების საქმეს.

საგეგმო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და შეიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებები და დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს ცაკს. ამ ღონისძიებებით ყველა ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან თავიანთი მოქმედება აგრიკულტურულ დარგში წინასწარ შეუთანხმონ მიწათმოქმედების კომისარიატს და საცდელ-საჩვენებელი მუშაობა აწარმოონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობით. აგრეთვე დანარჩენ ორგანიზაციებიც, რომელნიც აპირებენ ან უკვე ეწევიან აგრიკულტურულ მუშაობას, ვალდებულნი არიან თავიანთი მუშაობის გეგმა დასამტკიცებლად წარუდგინონ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს.

გლეხკომები გურიაში

ამჟამად გურიაში არსებობს ერთი სამაზრო და 34 სათემო გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტი, რომელთაც ჰყავთ 7.415 წევრი (გასულ წელს იყო 6.015). მათ შორის 586 ქალია. მიმდინარე წელს ფულადი დახმარება 1542 მანეთის რაოდენობით მიეცა 206 ღარიბ მეურნეობას. ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის და მეწველ საქონლის შესაძენად. უპროცენტო სესხის სახით გაცემულია 4.184 მანეთი. გლეხკომების ხარჯზე, მომხმარებელი კოოპერაციის წევრებად ჩარიცხულია 100-მდე ღარიბი გლეხი. გლეხკომის წევრებად მიღ-ლია 7 მოჯამაგირე და 1510 ღარიბი მეურნე. სხვადასხვა სოფლების ხიდების, სასკოლო შენობების, სამკითხველოების და სხვა კულტურულ დაწესებულებების აგების დროს დახმარებად მიეცათ 1571 მანეთი.

გლეხებს საწევრო გადასახადი გადახდილი აქვს თითქმის სრული 100 პროც.

გლეხობამ ჩაატარა თხილის დამზადების კამპანია თბილისის ვაჭრობის შეკვეთის თანახმად. მიმდინარე შემოდგომაზე გურიის გლეხკომებს განზრახული აქვს ჩაატარონ ხილის დამზადების კამპანია.

მელიორაცია

სარწყავი ქსელი აჭარისტანში

ამჟამად აჭარისტანის სარწყავი ქსელის სიგრძე უდრის 129 კილომეტრს. ეს ქსელი, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი აქვს, რწყავს 520 დესეტინა სახნავ-სათეს მიწას.

მომავალი წლისათვის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს 30 პროც. გააფართოოს მორწყვის არსებული სისტემა.

ნაგომარის ველის მორწყვა

მომავალ წლიდან დაიწყება მუშაობა ნაგომარის სარწყავი არხის გასაყვანად, წინასწარი კვლევა-ძიებითი მუშაობა უკვე დამთავრდა. გადაწყვეტილია არხი გამოყვანილ იქნეს მდ. გუბაზეულიდან. არხი გაივლის სოფელ ხიდისთავსა, ზასილეთსა, ქვენობანსა, ზემო-ბუკნარსა, დაბლა ბუკნარსა და ნაგომარში. არხი მორწყავს დაახლოებით 1622 ჰექტარ მიწას.

ნაგომარის არხის გაყვანას დიდი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს გურიის მოსახლეობისათვის. ამჟამად კარტოფილის მოსავალი მოურწყავ მიწის თვითეულ დესეტინაზე არ აღემატება 300 ფუთს, მორწყული მიწა კი იძლევა 1000 ფუთს, სიმინდი მოურწყავ მიწაზე მოდის მხოლოდ 80 ფუთი, მორწყულზე—120 ფ. თივა მოურწყავზე 150 ფუთი, მორწყულზე—250 ფ. განზრახულია აგრეთვე ნაგომარის არხის გაყვანის დროს აგებული იქნეს პატარა ჰიდრო-ელსადგური—1000 ცხენის ძალისა, სადგურის ასაგებად მოხერხებულ ადგილს წარმოადგენს სოფ. ხიდისთავი, სადაც არხს ექნება [illegible]. არხის გაყვანა ამცირებს აგრეთვე რაიონის დაჭაობიანებას, რომელიც ამჟამად მალარიის გამავრცელებელ ბუდეს წარმოადგენს.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისათვის

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულმა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩამტარებელმა კომისიამ შეიმუშავა დღესასწაულში მონაწილეობის გეგმა, რომელიც დამტკიცა საქ. ცაკთან არსებულმა დღესასწაულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ.

გეგმის მიხედვით: ოქტომბრის დღესასწაულის კამპანიის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ: აგროპუნქტები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, სასოფლო-სასოფლო-სამეურნეო გამოფენები მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

მიმდინარე წელს მოსავლის დღესასწაული შეუფარდდება ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულს.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად მოეწყობა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, შესაფერ რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენები მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

მიეცემა პრემიები კოლექტიურ და გლეხურ მეურნეობათა წარმატებით მწარმოებელთ.

მოეწყობა მარულა სიღნაღის, სენაკის, ზუგდიდის, სართიჭალის, ერწოს, თიანეთის და ახალქალაქის რაიონებში.

ქ. თბილისში გლეხთა ექსკურსიები მოეწყობა ორთაჭალის მამულში მებაღეობა-მებოსტნეობის, მესაქონლეობა-მერძეობის და მეფრინველეობის დარგების დასათვალიერებლად, ახსნა-განმარტებას მისცემენ აგრონომები: გ. ჯაფარიძე, მ. გაბაშვილი და შანიძე.

ასეთივე ექსკურსიები მოეწყობა შემდეგ დაწესებულებებში: 1) ცენტრ. სარდაფში, სადაც ახსნა-განმარტებას მისცემს ც. კანდელაკი, ბ) ცხენთ-საშენში, ცხენის მოშენების და ჯიშის გაუმჯობესების შესახებ ექსკურსიებს [illegible] და ახსნა-განმარტებას მისცემს [illegible].

გ) საბრეშუმო სადგურში,—განმარტებებს მისცემენ: ივანოვი, ყანჩაველი, წერეთელი და ხაჭაპურიძე.

დ) სასოფლო - სამეურნეო მუზეუმში—ექსკურსებს განმარტებებს მისცემს—ქომეთიანი. ე) ბოტანიკური ბაღში—ექსკურსიებს უხელმძღვანელებენ—სასნოვსკი, ტროიცკი, აბესაძე და ცაგარელი.

მაზრებში ექსკურსიები ეწყობა გლეხობისათვის ყველა აგროპუნქტების, საცდელ დაწესებულებათა და სახალხო მამულების დასათვალიერებლად. აქ ადგილობრივი აგროპერსონალი აძლევს ახსნა-განმარტებას ექსკურსანტებს და აწარმოებს მათთან საუბრებს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

ქ. თბილისში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობით, მოეწყობა მოძრავი სასოფ.-სამეურნეო გამოფენა, მაზრებიდან ჩამოსულ გლეხობის მონაწილეობით, სოფლის მეურნეობის ყველა დარგების და სასოფლო - სამეურნეო ფრონტზე მიღწევების დასახასიათებლად.

დღესასწაულს შეუფარდდება აგრეთვე ზოოტეხნიკურ სადგურის და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელ სადგურის საზეიმო გახსნა. ამავე დღეს მოხდება უდაბნოს მეცხვარეობის სახალხო მამულის (თბილისის მაზრა), საზეიმო გახსნა, ხოლო მიწსახკომის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. პატარა-ლილოში (თბილისის მაზრა)—წყალსადენის გახსნა.

დღესასწაულისთვის გამოიცემა ჟურნალი „სოფლის მეურნე"-ს საგანგებო საზეიმო ნომერი.

დამცველთა კოლეგიის გაუქმება

დამცველთა კოლეგიის გაუქმების და ახალ წევრების მიღების შესახებ დამცველთა კოლეგიის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. კორინთელმა** შემდეგი განაცხადა:

თანახმად სსს რესპუბლიკის ცაკისა და სახკომსაბჭოს ა-წ. 5 სექტემბრის № 80 დადგენილებისა და ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის ინსტრუქციისა, შემდგარია დამცველთა კოლეგიის წევრთა მიმღები რესპუბლიკანური კომისია, რომელიც დაიწყებს თავის მუშაობას ა-წ. 12 ოქტომბრიდან. მუშაობა იწარმოებს შემდეგი წესით:

დღიდან დამცველთა კოლეგიის წევრთა დაშლისა დამცველთა კოლეგიაში შესვლის მსურველთ შეაქვთ კომისიის სახელზე განცხადება და შევსებული ანკეტა რეკომენდაციით.

ყველა განცხადებები საბუთებით წარმოდგენილი უნდა იქნეს კომისიაში აღმოსავლეთ საქართველოდან არა უგვიანეს 12 ოქტომბრისა, ხოლო დასავლეთ საქართველოდან—20 ოქტომბრისა.

ქალ. თბილისში დამცველთა კოლეგიაში წევრთა მისაღები პირთა განცხადებებს კომისია განიხილავს 12 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრამდე გამოქვეყნებულ სიის მიხედვით, (სია იქნება გამოქვეყნებული უზენაეს სასამართლოს კანცელარიაში).

თბილისის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრების განცხადებებს განიხილავენ 24 ოქტომბერს. გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების — 25 ოქტომბერს, სიღნაღის და თელავის მაზრების 26 ოქტომბერს. ქალ. ქუთაისის განცხადებებს — 27—29 ოქტომბერს, შორაპნის, ლეჩხუმის, რაჭის და ქუთაისის მაზრის — 31 ოქტომბერს, სენაკის ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრების და ქალ. ფოთის — 1 ნოემბერს.

კომისიის დადგენილება დამცველთა კოლეგიის წევრად მიღების შესახებ, ეცნობებათ მათ სათანადო სიის გამოქვეყნებით ადგილობრივად.

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოება

თანახმად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებისა, საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა საქართველოს მრეწველობის პროდუქციის გასაღების გაძლიერების მიზნით, საქ. ს. მ. უ. ს. ტრესტებთან, დასდო გენერალური ხელშეკრულება, რომლის ძალით სახელმწიფო ვაჭრობა კისრულობს ტრესტების პროდუქციის გასაღებას მთელ საბჭოთა კავშირში. ასეთივე ხელშეკრულებაა დადებული ბორჯომის წყალთან, აჭარისტანის მრეწველობასა, აფხაზეთის სახელმწიფო-სამრეწველო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომელთა პროდუქციის მთავარი გამსაღებელი მომავალი საოპერაციო წლიდან იქნება საქართველოს ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა.

საქ. სახ. ვაჭრობის მიერ მიწოდებული საქონლის გასასაღებლად პროვინციებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გამოყენებულ იქნება ადგილობრივი აღმასკომების აპარატები, რის შესახებაც დადებულია სათანადო ხელშეკრულებები. ამ მიზნით ზოგიერთ ადგილებში მოწყობილი იქნება საქონლისა და საბაზისო საწყობები. მომავალი საოპერაციო წლისათვის საქართველოს სახ. ვაჭრობის საბრუნავი თანხა გადიდებულია სამჯერ. 1926-27 წელს იყო 7 მილიონი. მომავალ წელს კი იქნება 20 მილიონ მანეთზე მეტი.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა

გასაწვევთა შორის

ახალგაზრდობის ასეთი ერთსულოვნად გამოცხადება გაწვევაზე ჯერ არ ახსოვს გამწვევ კომისიას. გასული წლების გაწვევას ჰქონდა მრავალი უარყოფითი მხარეები. წრეულს კი სულ სხვა სურათია: ახალგაზრდობა მოდის გაწვევაზე, როგორც ერთი კაცი. ყველას აქვს სურვილი იმსახუროს წითელი ჯარის რიგებში. როგორც განაცხადეს გაწვევის ხელმძღვანელებმა, ჯერ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა დეზერტირობის, სამსახურის თავიდან აცილების ცდის და სიმულიაციის, რაც მოწმობს გასაწვევ ახალგაზრდობის მიერ თავისი მოვალეობის სრულ შეგნებას.

სოფლის ახალგაზრდობაც მომზადებული შეხვდა გაწვევას. გასაწვევთა გაცილება ჩატარდა ზეიმით. ბევრ ადგილას მთელმა სოფელმა მიაცილა სიმღერით და წითელი დროშებით ახალგაზრდობა გასაწვევ პუნქტამდის. მოხუცებულნი არიგებდნენ ახალგაზრდებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გაწვევაზე და როგორ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა.

გასაწვევ ახალგაზრდობას მეტ წილად აქვს სურვილი იმსახუროს არტილერიაში და ცხენოსან ნაწილებში. მათ არ აშინებთ ცხენის მოვლა და არტილერისტის მძიმე სამსახური.

„სრულიადაც არ გამიჭირდება სამსახური. წვევამდე მზადების დროს ძალიან კარგათ შევისწავლე ზარბაზნის მოვლა" — ამბობს ერთი გასაწვევი, რომელიც მოხვდა არტილერიაში.

„ძალიან მინდოდა ცხენოსან ნაწილში სამსახური, მაგრამ ზომაში არ მოვედი" — იძახის გულდაწყვეტილი დაბალი ტანის ახალგაზრდა.

ავიაქიმ რაზმები გაწვევაზე

ის ახალგაზრდები, დაბადებულნი 1905 წელში, რომლებმაც გაიარეს ავიაქიმიური კურსები და ჩააბარეს სათანადო გამოცდები, გასაწვევთა განაწილების დროს სამსახურის გასავლელად გაიგზავნებიან ავიაქიმიურ ნაწილებში.

ამავე ნაწილებში დაინიშნებიან სამსახურის გასავლელად თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების წევრები, რომლებიც მუშაობდნენ ავიაქიმიურ რაზმებში.

გაწვეულთა გადაგზავნა ნაწილებში

გაწვეულთა დანიშვნის შემდეგ ამა თუ იმ ნაწილში სამსახურის გასავლელად, ისინი გაიშვებიან მოკლევადიან შვებულებაში შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად.

გაწვეულთა გადაგზავნა საცხოვრებელ ადგილიდან სამსახურის ადგილამდე შვებულების შემდეგ, როგორც განმარტავს სამხ. საზღვ. საქმეთა კომისარი, იწარმოებს სამხედრო უწყების ხარჯზე.

სამოსწავლო წელი აჭარისტანში

გასულ სამოსწავლო წელში აჭარისტანში გაიხსნა იმდენი სკოლა, რომ სავსებით დააკმაყოფილა მოთხოვნილება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სკოლაში შესვლის მსურველი სკოლის გარეთ დარჩენილიყოს.

უკვე დაწყებულ ახალ სამოსწავლო წლისათვის სასკოლო ქსელს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. გაიხსნა რამოდენიმე პირველი საფეხურის სკოლა და ორი გლეხური ახალგაზრდობის სასწავლებელი.

ზაფხულის პერიოდში ჩატარდა მასწავლებელთა გადამზადება. 5 მასწავლებელი გაიგზავნა თბილისის კურსებზე, ერთი ახალციხის კურსებზე, ორი აზერბეიჯანში, სამი ბერძენი მასწავლებელი ანაპის კურსებზე. სწავლის განახლებამდე დამთავრდა სასკოლო შენობების შეკეთება. გასულ წელთან შედარებით სასკოლო შენობათა მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ერთი კვირით ადრე სწავლის განახლებამდე მოეწყო სამაზრო სკოლების მასწავლებელთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 160-მდე მასწავლებელი.

თათბირმა დაავალა სოფლის სკოლების მასწავლებლებს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებები, რომ არც ერთი სკოლის ჰასაკს მიღწეულ ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე, მიიღონ ზომები ბავშვების მიერ გაკვეთილების გაცდენის აღმოსაფხვრელად და აგრეთვე აწარმოონ მუშაობა მშობლებს შორის, რომ მომავალში ადგილი არ ექნეს ბავშვების სკოლიდან გაყვანას სასწავლებლის სრული კურსის დამთავრებამდე.

1927—28 სამოსწავლო წლისათვის აჭ. განათლების სახალხო კომისარიატის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აჭარისტანის სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალისათვის ჯამაგირების მომატება.

ინფორმაციული მუშაობა საბჭოთა ორგანოებში

დღემდის საბჭოთა აღმასრულებელ ორგანოებში (მაზრაღმასკომები) ინფორმაციულ მუშაობას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საინფორმაციო აპარატმა ზოგ მაზრაღმასკომებში მიიღო არსებობის იურიდიული უფლება. ფაქტიურად ყველგან არ არის შექმნილი ასეთი აპარატი და თუ სადმე შექმნილია, იქაც არ არის დაწყებული ნამდვილი ინფორმაციული მუშაობა. ზოგს წრე თავისი მუშაობისა განუსაზღვრავს. ერთი მხრით ოქმების და სხვა საინფორმაციო მასალების ცენტრში გაგზავნით და მეორე მხრით ადგილებიდან მიღებული მასალების საქმეში ჩაკერებით. ამას გარდა, ხშირ შემთხვევაში, აპარატი იტვირთება სხვა სამუშაოებით (ზოგჯერ სხვადასხვა განყოფილებისა) რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ინფორმუშაობასთან. ნამდვილი ინფორმაციული მუშაობა—აღრიცხვა მუშაობის და ინფორმაციის გაკეთება მაღლა, ქვემდგომ ორგანოებისათვის—არ წარმოებს.

საინფორმაციო დარგში გამოცდილების უქონლობა, თვით აპარატის სიახლოვე და, რაც მთავარია, ინფორმაციის წინაშე მდგარი ამოცანების ნათლად წარმოუდგენლობა—აი მიზეზი, რამაც არ მისცა საშუალება ადგილებს გაეღრმავებიათ მუშაობა და გადასცილებოდენ მასალების ტეხნიკურ ჩაკერებისა, ცენტრში გადაგზავნისა და მუშაობის პრიმიტიულ „აღრიცხვის" საზღვარს, მაგრამ ცხოვრება, საბჭოთა დემოკრატიის გატარებასთან და საბჭოთა ორგანოების მუშაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, მოითხოვს ამ საქმის სათანადო დონეზე დაყენებას. „სოციალიზმი—პირველად ყოვლისა აღრიცხვაა", ამბობს ლენინი. საინფორმაციო აპარატს მოეთხოვება, რომ ის ყველაფერს ხედავდეს რაც ხდება (როგორ ტარდება ამა თუ იმ მაღლა-მდგომ ორგანოს დირექტივა, ან როგორი პრაქტიკული მდგომარეობაშია ესა თუ ის საკითხი და სხვა) მის სამოქმედო რაიონის მასშტაბით. ეს აპარატი, შემჩნეულის შესახებ ინფორმაციას უნდა უკეთებ. მაღლა და ქვემდგომ დაინტერესებულ ორგანოებს და მათი ხელმძღვანელებს.

ასეთი მუშაობის გვერდის ახვევით ინფორმაცია საბჭოთა აპარატში ვერ დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მას უნდა ეკავოს, განა ინფორმაცია შესძლებს მის წინაშე დასმულ ამა თუ იმ საკითხზე გასცეს პასუხი და აღნიშნოს „ის გზები, რომლებიც აღრიცხვის ობიექტს მისცემენ არსებულ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას უფრო სასურველ მდგომარეობაში" („ვლასტ სოვეტოვ", № 11—12)? ეს მისთვის შეუძლებელი იქნება თუ მუშაობა აღმასკომისა მის მიერ არ იქნა აღრიცხული, თავმოყრილი და სისტემაში ჩამოყალიბებული, თუ აღრიცხვა არ სწარმოებს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები შეუმჩნეველი ხდება ხელმძღვანელ ორგანოებისათვის. მათ არ შეეძლებათ მისცენ მიმართულება ცხოვრების განვითარებას, ვინაიდან არ ექნებათ მასალები, რომლებზედაც შეიძლება დაყრდნობა. სწორი პოლიტიკის წარმოებისათვის გამოცდილების გამოყენებას აქვს უაღრესი მნიშვნელობა. მაგრამ გამოცდილება მიტომ ითვლება გამოცდილებათ, რომ ის შეიცავს მუშაობის ყოველმხრივ აღრიცხვას. ასეთი აღრიცხვის გარეშე გამოცდილება, არ არსებობს, ის იკარგება უნაყოფოდ ჩვენი ყოველდღიურ პრაქტიკაში.

აღმასკომების მუშაობის გართულებასთან ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება კარგად მოწესრიგებული ინფორმუშაობისა. ზოგიერთ მაზრაღმასკომებმა ეს მოთხოვნილება უკვე იგრძნეს და შეუდგნენ ამ მუშაობას. შეიძლება, ზოგს კი ჯერაც არ ეგრძნოს, მიუხედავად სპეციალური აპარატის დაარსებისა, მაგრამ ისინი ამას აუცილებლივ შეიგნებენ შემდეგ. მხოლოდ მაშინ უკვე გვიან იქნება, ვინაიდან ინფორმაციის მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენება ერთ დღეს, ერთი დაკვრით შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა პირველად ყოვლისა დრო, განუწყვეტლად საჭირო მასალების შემოსვლის უზრუნველყოფა და დაინტერესებული მუშაობა აღმასკომების მომუშავეების საერთოდ და განსაკუთრებით კი ინფორმაციის აპარატის.

საინფორმაციო მუშაობის დარგში უნდა იქნას აღმოფხვრილი ზევით აღნიშნული ნაკლულოვანებები, ინფორმაცია უნდა გახდეს ყოვლის მხედველი და მსმენელი და გაუსწორდეს აღმასკომის საერთო მუშაობას, ინფორმაცია უნდა გახდეს საწყობათ, სადაც რიგში და სუფთად დალაგებულია ყველა წინანდელი გამოცდილება, რომლებიც უცდიან დღითი-დღე გამოყენებას.

ეს მუშაობა საბჭოთა ორგანოებში ახალია და ამიტომ ძნელია, მას კიდევ ექნება დეფექტები, მაგრამ ეს დეფექტები მოსპობილი იქნება ადგილების დაინტერესებით და ცენტრიდან ხელმძღვანელობით.

ნ. ქაჯაია

აჭარისტანში*)

დაღრღნილი მთა

ხაკომსაბჭოში ჩვენ უკვე დაგვხვდა მანქანა გამყოლით. ოთხადგილიან ფიატს ეკადრებია ჩვენი წაყვანა. საჩქაროდ დავემშვიდობეთ ამხ. ბრეგაძეს, მადლობა გადაუხადეთ მას თავაზიანობისათვის და „აჭარგესის" სააღმშენებლო კომიტეტის მიერ გამოგზავნილი მანქანით გავხწიეთ მახუნცეთისაკენ. ხუთიოდე წუთის შემდეგ გავსცილდით ბათომის ფარგლებს. მივდივართ იმ სადგურის სანახავად, რომელსაც დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჰიდროსადგურების მშენებლობით დაინტერესებული პირები.

— თითქმის მუდამ დღე მოდის ვინმე, მუდამ დღე გვიხდება სადგურის ჩვენება და მუშაობათა ახსნა - განმარტება, ამბობს ჩვენი თანამგზავრი ინჟ. მინიუხინი, ზორბა ტანადი და წმინდა რუსული, კეთილი გაშლილი გაღიმებით დამშვიდებული ქერა კაცი. ინჟენერები ხომ ყველაზე მეტი მოდიან. თუ კი ვინმეს ჩამოუცდა აქეთკენ ფეხი, უთუოდ გვეწვევა. საინტერესო კია ძლიერ ახალი აღმშენებლობა. თქვენ ეს იქიდან შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ მე ამ სადგურის აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვედი. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ მე ერთ ადგილას დიდხანს როდი ვიცდი, აქ კი ისე დამაინტერესა საქმემ, რომ უკვე რამოდენიმე წელია ვარ და, სანამ აგებას არ დავამთავრებთ, ვერ მოვშორდები. ძალიან გვიტაცებს ხოლმე მუშაობა, რაღა ბევრი გელაპარაკოთ, მოხვალთ და თითონ ნახავთ.

ჩვენი მანქანა მღვრია ჭოროხს მისდევს სათავისაკენ. ჭოროხი საკმაოდ დიდი და ამასთან ერთად, როგორც ყველა მთის მდინარე, გადარეულია. ჩანს, მთებში წვიმა უნდა ყოფილიყო, რომ ის ყვითელ სამოსელშია გამოწყობილი. გზა ბათომიდან კახაბერამდე რიგიანია, შემდეგ კი საათში 20 კილომეტრის სისწრაფეს ძლივს ანვითარებს მანქანა. დიდი მოძრაობა დაწყებულა ამ გზაზე მას შემდეგ, რაც ჰიდროსადგურის აგება დაიწყეს. ყურადღება სჭირია მას, თორემ სადგური რომ აშენდა, მისავალი გზა გაფუჭებული იქნება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ გზას აჭარისტანისთვის სტრატეგიული მნიშვნელობაც დიდი აქვს. ის აერთებს მას ახალციხე - ახალქალაქთან.

მდინარეს ორთავე მხარეს მთები აჭკიდებიან. გადაბმულან ერთი მეორეზე, მკლავი მკლავზე ჩამოუდვიათ და თავაღერილი დაჰყურებენ მუდამ მუქარით და გამოუცნობ იდუმალებით კალაპოტში გამომწყვდეულ მდინარეს. ალაგალაგ მთები ისე არიან ორივე მხრიდან ძირ მობჯენილი, რომ ასე გგონია, ვაჟკაცები შეჯიბრებულან, ფეხი ფეხზე მიუბჯენიათ და კუნთების გამძლეობას ამოწმებენ: ვინ ვის მოერევა, ვინ ვის ააცდენს ადგილიდანო. „პატიოსნათ" მირბის გზის შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენი მანქანა. ჩანს, გამოცდილი ინტელიგენტი შოფერი ხელმძღვანელობს მას (როგორც შემდეგ გავიგეთ, მექანიკოსი ყოფილა). შოფერობა უმუშევრობის დროს დაუწყია და შემდეგ ისე შეჩვევია ამ ხელობას, რომ თავს არ ანებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ჭოროხისაკენ „გაუსერნებია" თავის მანქანით ათი საჟენის სიმაღლიდან და გვერდის ორი ძვალი აღარ აქვს. ამიტომ არის ალბათ, რომ ეხლა ფრთხილად მიჰყავს მანქანა და ხანგამოშვებით მიგვითითებს იმ ადგილებზე, სადაც რამე „სენსაცია" მომხდარა: ავტო გადავარდნილა, ქვა დასცემია მგზავრს, ან მეწყერი ჩამოწოლილა. ჭალებს ვსტოვებთ და მთის ზურგზე გახსნულ გზას მოვყვებით. ჟრუანტელს მოგგვრის ადამიანს ზოგ ადგილას გავლა: გახვალ თუ არა. გზა ნათხარია, ნაკადიანი. დიდ სიმაღლიდან, ზოგჯერ დაბლაც („თავზე მოგაწვდება") ნათხარ ნატეხი სიპ-კედელია გაბზარულებით გადახერილი და ვეებერთელა ნატეხებით არა საიმედო დალაგებული. რომ წამოვიდეს ერთი მათგანი, ისე გასრესს მთელ მანქანას, რომ კვალიც არსად დარჩება. ნათხარიც ვერ ყოფილა ეს კედელი საინჟინერო ტეხნიკის მიხედვით სწორად, ფენები უწესრიგოთ უმტვრევიათ და, როგორც თანამგზავრმა ინჟინერმა სთქვა, ამის გამო ქვა შეიძლება ჩამოწყდეს.

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრია ამ გზაზე სახიფათო ადგილები, მოგზაურობა მაინც მშვიდობიანია. აგერ რამდენი ხანია დავდივართ ჩვენ და თითქმის არ მომხდარა არავითარი უბედური შემთხვევა.

— ამას წინად — ჩაერია შოფერი — მე მანქანით მოვდიოდი და ვეებერთელა ქვა თითქმის ცხვირის წინ ჩამომიწვა. ბეწვზე გადავრჩი.

ცა ამიზიზდა, ღრუბლის ჯოგები ცაში ცხვარსავით გაიფანტნენ ლურჯ კამარაზე. აჭარის მთამაც იუცხოვა სტუმრების მოსვლა, აიბუზა და ნისლის ჩრდილში გამოეხვია. ვისწრაფით, რადგან წვიმის გვეშინია. მთა მთას მისდევს, ჩვენ კი მათ ზურგზე აკიდულ გზას. ჭოროხი უარს გვიცხადებს თანამგზავრობაზე, მარცხნივ უხვევს, სცილდება ძმად გაფიცულ აჭარის წყალს და ართვინისაკენ უდგება გზას. ერთხანს კვლავ გვესმის მისი ხრიალი. საინტერესო სანახავია დღეს აჭარის წყლის და ჭოროხის შენაკედება. წვიმა ართვინისკენ ყოფილა მთებში. ყვითელ სამოსში ამის გამო მხოლოდ ჭოროხია გამოწყობილი. აჭარის წყალი კი ისევ ანკარა მორბის და შესართავთან უკადრისობს თავის გამღვრეულ ძმასთან შეერთებას. ერთხანს გაბუტულივით მისდევს გვერდით, მაგრამ ძმას სად წაუვა, ანკარა წყალი ღვრიას ერევა, ყვითელი მოლურჯო აჭარის წყალს იკრავს გულში.

გზა და გზა სოფლებია გაშენებული. შორი შეხედვით ისინი არაფრით განირჩევიან გურიის სოფლებისაგან. სახლების აგება კი სხვაგვარი სცოდნიათ. ორ სართულიან თითქმის უფანჯრო დახურულ სახლის ზედა სართული საცხოვრებლადაა გამოყენებული, ქვედა სართული კი საქონლისათვის არის მიჩენილი. საკმაო გზა გავიარეთ, მაგრამ ქალები არ შეგვხვედრია.

— ერთი რომ იშვიათად დადიან — სთქვა ჩვენმა მექანიკოს - შოფერმა, მეორეც ის, რომ გაიგონებენ თუ არა მანქანის ხმას, თუ ვინმე მართლაც არის გზაში, გარბის და იმალება. უკან დაბრუნებისას ჩვენ შეგვხვდა ქალი, რომელსაც ზურგზე გოდორი ეკიდა. მოხვეულიდან გამოვედით. უცბად წავადექით თავს და ალბათ დამალვა ვერ მოასწრო. მიბრუნდა ზურგით პირზე სასწრაფოდ ჩამოაფარა და ისე იდგა, სანამ არ გავსცილდით. გზა და გზა სოფლებში ახალი სახლების შენება სწარმოებს. ახალ სახლის წინ უთუოდ გამოკიდებულია ცხენის ქალა და ნალი.

— ეს იმიტომ, რომ არავინ გათვალოს მშენებელი და სახლის პატრონი, ავი თვალით არავინ შეხედოს — გვიპასუხა ერთმა ბებერმა აჭარელმა, რომელიც ჰიდრო-სადგურზე ვნახეთ.

წინ მიდის განათლების და კულტურის გზაზე აჭარისტანი. გიგანტიური ნაბიჯებით მიდის, მაგრამ რამდენი გზა აქვს გასავლელი ჯერ კიდევ!

ცხენის ქალა და ჰიდრო სადგური, „ავი თვალი" და სახლში ელნათურები ვერ მოეწყობიან. ელნათურა განდევნის „ავ თვალს" და ცხენის ქალასაც. ელნათურა ჯადოქარი ბევრ ახალს შეიტანს იქ, სადაც ძველი ჯერ კიდევ ბუნაგობს ტრადიციების და ჩვეულებათა გავლენით.

მახუნცეთსაც მივაღწიეთ, ამიერიდან სახელგანთქმულ მახუნცეთს. ჯერ კიდევ სამიოდე ვერსის მოშორებით სჩანს ის მთა, რომელიც გვირაბებით დაღრღნილი, გულ გამოგრილი, აჭარის წყალს გაატარებს თავის სხეულში და ტურბინებში გადაისროლის. ამ მთის ფერდზედაც შორიდანვე მოსჩანს წითელი რაღაც და სვეტი, რომელზედაც დღე-ღამიანათ ოთხი ელნათურა არის ანთებული.

— ეს ტრაგიკულად დაღუპულ კალაშნიკოვის და კიდევ სამის საფლავია, ამბობს ინჟ. მინიუხინი, და ამ პირმცინარე ვაჟკაცის სახეზე სევდის ღრუბლები ჩამოწვენ.

შემდეგ, როდესაც ჩვენ მთელი აღმშენებლობა ვნახეთ და ბევრ მუშასაც ვესაუბრე, გავიგეთ მინიუხინის სევდის მიზეზი. ინჟ. კალაშნიკოვი, თავდადებული და ერთგული მუშაკი, ჰიდრო-სადგურის აგების პროექტის ერთ-ერთი მეთაურთაგანი და აღმშენებლობის უშუალო ხელმძღვანელი, საერთო სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით სარგებლობდა თურმე მუშებში და ტეხნიკურ პერსონალში.

—ისეთი სიყვარულით აკეთებდა საქმეს, ისე თავ გამოდებით, რომ ჩვენც გვახალისებდა და მასთან ერთად ჩვენც ერთგულად ვმუშაობდით,— განაცხადა ერთ-ერთმა ტეხნიკოსმა.

— იყო ასეთი შემთხვევა. ზამთარში აქ იმოდენა თოვლი ჩამოწვა, რომ ყოველგვარი მოძრაობა შეწყდა. თითქმის საჟენი თოვლი იდო. საჭირო იყო ბათომში ჩასვლა, სააღმშენებლო კომიტეტში, მაგრამ როგორ? ასეთ თოვლში, მოუვლელ გზაზე ვინ წავიდოდა. მსურველი რომ არავინ აღმოჩნდა, ისევ კალაშნიკოვმა აიღო ჯოხი, გაიკეთა თხილამურები და ფეხით ჩავიდ-ამოვიდა.

საუკეთესო ამხანაგი, ენერგიული და საქმის ზედმიწევნით მცოდნე ინჟენერი, ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — აი ვინ იყო ინჟ. კალაშნიკოვი. მისი სახით სადგურის აღმშენებლობამ დიდი სასარგებლო ძალა დაკარგა. ასე ამბობს ყველა ინჟ. კალაშნიკოვზე, მუშაა ის თუ მოსამსახურე. ეს იშვიათი ადამიანი და მასთან ერთად კიდევ ინჟენერი სტალნოვი (გვირაბების სპეციალისტი), მუშა ბურმისტენკო და პოლონსკი გაჭნიხა ჩამოწოლილმა ზვავმა.

* * *

იქ, სადაც შორიდან გამოქცეულ აჭარის წყალს მღვრიებათ წამოსული მთები დასწვდიან, მიუხლთებიათ და გამოსახრჩობათ ყელში წაუჭერიათ ხელი, იქ, სადაც აჭარისწყალი ფეხაკრეფით მიიპარება ორივე გვერდით აღმართულ დევებს შუა, — უნდა ამოვიდეს ახალი მზე და გაანათოს საბჭოების აჭარისტანი. აჭარისტანმა უნდა შესცვალოს თავის სვლა-გეზი, ვიწრო გვირაბში უნდა შეჰყოს თავი და ტურბინებს დაამძგეროს მთებში დაგროვილი ძალა და ღონე. იქ, სადაც წინეთ მხოლოდ დაღლილი მგზავრი შეჩერდებოდა დასასვენებლად, სადაც ბუნების მყუდროებას ისევ ბუნების მრისხანება თუ დაარღვევდა, დღეს პიროკსელინი აკვნესებს მთებს და ნაგლეჯად უქცევს კლდოვან სხეულს. და აქედან სპილენძის ძარღვით ბათომისაკენ, აჭარისტანის სოფლებისაკენ წავა სინათლე, — აღორძინება და აყვავება. ძლიერ მაინტერესებს ამ მომავალ ჯადოქარის ნახვა. ინჟ. მინიუხინის თავაზიანობით ვსარგებლობთ და, როცა ავტომ შესწყვიტა ქშენა ახლად გაშენებულ პატარა ქალაქის ქუჩაზე, მისი თანხლებით მივემგზავრებით სადგურის დასათვალიერებლად.

ჩვენთან ერთად ერთი სტუმარი კიდევ არის, მოსკოველი ინჟენერი.

— გზათ მოვდიოდი ახლოს (თბილისიდან ჩამოსულა) და ვისარგებლე შემთხვევით, მინდა ვნახო ეს სადგური, — სთქვა მან.

— „ახლოს ვიყავი" — თბილისშიო.

გასაკვირი ხალხია, მაგრამ ამაზე ფიქრისათვის სადღა გვცალია. ამხ. მინიუხინი უკვე მიგვათრევს პატარა ჰიდროსადგურისაკენ, რომელიც სახელდახელოდ აუგიათ მუშაობის მექანიზაციისათვის. წარმოიდგინეთ მომაღლო მთა — 160 მეტრის სიმაღლის. ამ მთის თავზე კიდევ ჩანჩქერი. დაუშვით, რომ ეს ჩანჩქერი რკინის მილებში მოამწყვდიეს, 160 მეტრზე დაბლა ჩამოაცურეს ამ მილებით და ელექტრო-მანქანები აამუშავებინეს. ეს პატარა სადგური 210 ცხენის ძალისაა, ეხლა კიდევ მეორე მილით გამოჰყავთ წყალი და 70 ცხენის ძალა მოემატება მას. ამ სადგურის დახმარებითაა, რომ მთელი მუშაობა სადგურზე მექანიზაცია ქმნილია (მანქანები 4.000 კაცის საქმეს აკეთებენ).

აჭარელსადგური შემდეგნაირად არის დაწყებული. ორ მთას შუა, რომელიც მახუნცეთთან საკმაოდ ახლო მისდგომიან ერთი მეორეს, აუვანილი იქნება მაღალი ჯებირი, რომელიც შეაგუბებს ორ მილიონ კუბიკურ მეტრ წყალს და უზარმაზარ ტბას დააყენებს. ამ ჯებირის ასაგები მუშაობა უკვე დაწყებულია. 30 მეტრის სიმაღლეზე აჭარისწყალის კალაპოტში ამოთხრილია მიწა და ამოყვანილია (მდინარის კალაპოტის სიფართის ნახევარზე ჯერ-ჯერობით) ბეტონ - ცემენტის ზღუდე. ეს იმისათვის, რომ ზედა კედელი იქნეს უფრო მკვიდრი და წყალი ქვეშ არ გავიდეს. გათხრილია მთაში ორი გვირაბი. ერთი ძირის (სიგრძით 70 საჟენი), რომელიც უკვე მუშაობს. მასში გაყვანილია აჭარისწყალი. მდინარე ეხლა ძველი კალაპოტით არ მიდის, არამედ ამ გვირაბით. ეს იმიტომაა საჭირო, რომ ძველ კალაპოტში აშენდეს შემკავებელი ჯებირი. ძირის გვირაბს ზევით მეორეა გაყვანილი (ჯერ არ არის დამთავრებული), ეგრედ წოდებული წყლის გამყვანი გვირაბი. ამ გვირაბით გაივლის წყალი, რომელმაც ტურბინები უნდა აამუშაოს. ის გამოსავალთან სამ არხათ გაიყოფა და სამ ტურბინასთან მიიყვანს წყალს. დაბლა კი, გვირაბის გამოსავალთან, მდინარის ძველ კალაპოტის პირზე აგებული იქნება ელსადგურის შენობა. ასეთია მარტივად სადგურის გეგმა.

მთავარ გვირაბში (წყლის მოსაყვანი) შევყავით თავი. ის გათხრილია. ამჟამად სწარმოებს კედლების ამოცემენტება და ხვრელის გაფართოება. ელნათურები მხოლოდ შესავალთან ბჟუტავენ (იქით გაყვანა ვერ მოუსწრიათ). მოშორებით კი 220 საჟენის სიგრძეზე გვირაბი სიბნელით არის ჯერ კიდევ მოცული. ხელის სანათით მივდივართ მიწის ქვეშ. თავზე უზარმაზარი მთა გვადგას თავის სიმძიმით. ირგვლივ სიბნელე შემოგვეხვია. მთა რომ ჩამოწვეს, ცოცხლებს დაგვმარხავს. მინიუხინი ლაპარაკობს, რაღაცას გვიხსნის, მაგრამ ჩვენ არ გვესმის, რადგან მილებით გამოყვანილი შეკუმშული ჰაერი ბურღს დასჭიდებია და საცოდავად აჭყივლებს, ქვას - სიპს აღრინებს კბილებით. მთავარ გვირაბში თავიდან აღებულ მიმართულებას სცვლიან 10 საჟენზე დასაწყისიდან, რადგან, ნიადაგი მეტად რბილი და ფხვიერი აღმოჩნდა. — საშიში იყო, ძნელი იყო მისი გამაგრება, და ეხლა ახალ მიმართულებას ვეძებთ — გვითხრა ჩვენმა მოსაუბრემ, როცა ბნელიდან გამოვყავით თავი და ისევ მზის სინათლე დავინახეთ. ეხლა უკვე გვირაბის მეორე მხარეზე. ჯოჯოხეთია გვირაბში მუშაობა. მტვრათ ქცეული ქვით დატენილია ჰაერი. მართალია, შეკუმშული ჰაერი შემოჰყავთ, მაგრამ მტვერი იმდენია, რომ ბევრად ვერ სწმენდს მაინც და ოთხი კაცი (მეტი გვირაბში ვერ ეტევა ერთად) დღე და ღამ (რა თქმა უნდა შეცვლით) ბურღავს, ღრღნის და არღვევს უზარმაზარ მთას თხუნელასავით.

— რა არ შეუძლია მუშა კაცის ხელს, რას არ დასძლევს ის, რას არ მოთურგნავს. აქ, ამ გვირაბში, ვეებერთელა მთის გულში შემძვრალი თხუნელა - ადამიანი გრძნობს მთელს ძლიერებას. მთავარი გვირაბი ჩქარა იქნება. შემდეგ, ჯებირიც, ელსადგურის შენობასაც მოათავებენ. ეხლა უკვე სამუშაოთა 50 პროც. გაკეთებულია, 600—700 კაცის ხელი მუდამ დღე ტრიალებს აქ. ბევრია მათ შორის აჭარელი. 30—40 ვერსით დატოვებულ სოფლებიდანაც მოდიან აქ სამუშაოდ. 4.000—5.000 კაცის ხელს მექანიკური მოწყობილობანი (შეკუმშული ჰაერი, ელექტრონი, დიდი სიმაღლიდან წამოსული წყლის ძალა) ცვლის. მუშებისათვის პატარა ქალაქი აშენებულია. რიგიან ბინებში არიან ისინი მოთავსებული. აქვთ კლუბი, მაგრამ კულტმუშაობის რა მოგახსენოთ. მაინც და მაინც არაფერია. არის სასადილო, სადაც იაფად რიგიან კერძებს აძლევენ მუშებს. კოოპერატივიდან კრედიტიც აქვთ. ხელზე მარკები მიუღიათ და ამ მარკებით გამოაქვთ თუ რამ სჭირიათ.

გახვალთ თუ არა მთავარ გვირაბს, აჭარისწყალს გადაადგებით ისევ თავზე მეორე მხრიდან. 10 მაისს მდინარისათვის ლაგამი ამოუდვიათ: დროებით ჯებირით გადაუღობიათ მისთვის გზა და ეხლა ის, თუმცა კბილების ღრჭენით, მაგრამ მაინც მიდის ამოცემენტებულ გვირაბში, ეს გვირაბი, როგორც ზევით ვსთქვით, უკვე მზადაა, დამთავრებულია. — ნუ თუ, ვიკითხეთ: მთავარ ჯებირის გაყვანის შემდეგ უნდა დაიხშოს ეს გვირაბი. — როგორ შეიძლება. ეს გვირაბი ძლიერ საჭიროა. ტბამ ნალექები იცის. თუ არ გაიწმინდა, ამოივსება და ამდენი შენობა უქმად ჩაივლის. ეს გვირაბი ჩვეულებრივ დაკეტილი იქნება. მაგრამ როცა გაწმენდა დარჩება საჭირო, გავაღებთ მას, 2 მილიონი კუბიკური ფუტი წყალი მოაწვება მთელი სიმძიმით და ნალექსაც გაიტანს. ან ვსთქვათ, დიდი წყალდიდობა დარჩა, — ზედმეტ წყალს ამ გვირაბითაც გაუშვებთ. ისე კი — წყალდიდობის შემთხვევისათვის, ზედმეტი წყალის გადასაშვებათ ჩვენ ღია არხი გვგაყავს. ან ზევით მესამე გვირაბის გაკეთება დაგვჭირდება. ჯერ ეს არ ვიცით, — სწარმოებს გამოანგარიშება. რაც უფრო იაფი იქნება ის გაკეთდება. მთელი მთა დაქსელილია ელექტრონის ქსელით, შეგუბულ ჰაერისა და წყალის მილებით. წყალი 160 მეტრის სიმაღლიდან ჩამოყვანილი, ჩანჩქერის წყალია, უკან მილებათ გაყვანილი. აქ დიდ სამუშაოს აკეთებს. დიდი სიმაღლიდან მოწოლილი წყალი საოცარი ძალით მოქმედობს ხოლმე.

— ჩვენ ზოგჯერ მთის ფერდოზე წყალს ვათხრევინებთ მიწას, მაგარი ძალის ჩქერით ვრეცხთ, სანამ ხიდს მივადგებითო,—ჩაგვილაპარაკა ამხ. მიუნიხინმა.

საერთოდ აქ ყოველგვარი მექანიკური საშუალება და მოწყობილობა გამოყენებული. ეს გარემოებაა, ინჟენერების თქმით, ამ სადგურის აგებას რომ აიაფებს. თუ როგორ არის დაცული ეკონომია, ეს შემდეგი მაგალითიდან სჩანს. მდინარეზე, მეორე ნაპირს წყალის და შეკუმშულ ჰაერის მილებია გაყვანილი. ამ მილებით უსარგებლიათ ზედ ფიცრები გაუდვიათ და დაკიდებულ ხიდათ უქცევიათ. ამ ხიდით დიდი სიმძიმეები გადააქვთ ხოლმე.

სამი საათი მოუნდით სამუშაოთა დავლას. და ქანცული ვბრუნდებით უკან. სტუმარ - მოყვარე ადმინისტრაციას ჩვენთვის სადილი შეუნახავს. საჩქაროდ ვიპურებთ კუჭს. გზა და გზა ამბებს ვკითხულობთ.

— როდის გათავდება სადგური?

— თუ ფული გვექნა, 1928 წლის ოქტომბრისთვის.

— რამდენი ჯდება?

— ხარჯთაღრიცხვით ოთხი მილიონი 900 ათასი მანეთია ნავარაუდევი.

— გეყოფათ კი?

— უთუოდ გვეყოფა, ძნელი მუშაობა შევასრულეთ. აწი არა გვიშავს. თუ რაიმე სტიქიური მოულოდნელი შემთხვევა არ დაგვატყდა თავს, გვეყოფა.

— არის კიდევ ასეთი სადგური სადმე?

— საბჭოთა კავშირში ასეთი მოწყობილობის, წმინდა მის ტიპის, გვირაბებიანი სადგური არ არის. ამიტომ არის, რომ ასე ბლომად გვაწყდებიან მნახველები.

კუჭი რომ დავიპურეთ, მუშების ჯგუფისაკენ გავსწიე და შრომის პირობებზე დაუწყე საუბარი. რას ამბობენ? კვება კარგია, მოპყრობაც, ბინაც დამაკმაყოფილებელი. გვირაბებში ექვს საათს მუშაობენ, სხვები რვას. ხელფასიც არ არის მცირე. ვერ ღებულობენ ოღონდ დროზე. ჩვენი იქ ყოფნისას ორი თვის ჰქონდათ მიუღებელი (ოთხ აგვისტოს). ინჟენერმა მაევსკიმ, სადგურის აღმშენებელმა, საუბარში დაადასტურა ეს ფაქტი, მაგრამ დასძინა, რომ მუშებს კრედიტი აქვთ გახსნილი და ამიტომ, სანამ თავს არ ანებებენ, თითონაც არ უნდათ ფულის მიღებაო. ვინც თავს ანებებს იმათ ბათომის კანტორა მყისვე უსწორებს ანგარიშსო. ხელფასის დაგვიანების მიზეზი ის არის, რომ 200.000 მან. გვაქვს მისაღები და ვერ მივიღეთო. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

უკვე საღამო ხანი იყო, როცა ჩვენ ბათომისკენ გამოვბრუნდით და დავსტოვეთ მახუნცეთი. გაივლის ცოტა ხანი და აჭარის წყალის 7.500 (შემდეგ მეტიც) ცხენის ძალიან ქცეული ენერგია გარდაქმნის და ააყვავებს ბათომს, აჭარისტანს. აჭარისტანის მთებში მუშის მაგარი ხელი ბურღავს და ასაფეთქებელ მასალას უწყობს ბნელეთს და საფუძველს უყრის ახალს, ელექტრონით განათლებულს და განათებულ აჭარისტანს.

ვლ. ბერაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 215.

ქრონიკა

მისალმება საქ. ცაკს

საქართველოს ცაკმა ზუგდიდის მაზრის საბჭოების დეპუტატ-ქალთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

ზუგდიდის მაზრის საბჭოების დეპუტატ ქალთა პირველი ყრილობა მხურვალეთ მოგესალმებათ თქვენ მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლთ და გისურვებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და საბჭოთა აღმშენებლობის დარგში აღებულ კურსის წარმატებით დაგვირგვინებას.

თბილისის ალმასკომში

◆ **პლეხანოვის პროსპექტის** მოსაკირწყლავად და კეთილმოსაწყობად, ალმასკომმა გადასდო 13,378 მანეთი.

◆ **ჯარში ახალწვეულთა შესაკრებ პუნქტის** შესაკეთებლად (სადგურის ქუჩაზე) გადაიდო 1.300 მანეთი.

◆ **ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმს** უფასოდ გადაეცა პატარა ძალის ერთი ელექტრო-მანქანა.

◆ **აგურის ქარხანა** მდებარე ორთაჭალაში, გადაეცა საპატიმრო ადგილების სამმართველოს იჯარით. ქარხანაში იმუშავებენ ტუსაღები.

◆ **უსინათლოთა საზ-ბას** შელავათიან პირობებში გადაეცა ღვინის აღმართზე მდებარე ერთი დარაბა.

◆ **ოქტომბრის 10 წლის თავისათვის** ალმასკომის მიღწევების ანგარიშის შესადგენად გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია **გავაშელის, სიხარულიძის** და **თხილავას** შემადგენლობით.

◆ **ტრამვაის მუშათა კლუბის შეკეთება.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა დაჩქარებით შეაკეთოს ტრამვაის მუშათა კლუბი და სავსებით მოაწყოს ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

◆ **ადგილობრივ მრეწველობის** განყოფილებას მუშათა ხელფასის დავალიანების გასასტუმრებლად დამატებით გადაეცა 2.505 მანეთი.

კონფერენცია სუბტროპიკული კულტურის შესახებ

საქართველოს მიწათმოქმ. სახკომმა რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიმართა წინადადებით, რომ 1927 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ბათომში მოწვეულ იქნეს სრულიად საკავშირო კონფერენცია სუბტროპიკული კულტურის შესახებ.

სხვადასხვა

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებაში** ორშაბათს, ოქტომბრის სამს, საღამოს შვიდ საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება საზოგადოების პრეზიდიუმის ოცი წლისთავის აღსანიშნავად. კრების საგანი: 1) **ს. გორგაძის** მოხსენება: „საზოგადოების საქმიანობის მოკლე მიმოხილვა განვლილი პერიოდში“ (და 2) პროფ. **აკ. შანიძის** „წინასწარი მოხსენება შუხუთისეული ხანმეტი ხელთნაწერის შესახებ“. კრება საჯაროა.

◆ **მთიელთა კრება.** კვირას, 2 ოქტომბერს მუშათა სასახლის მცირე დარბაზში ქართველ მთიელთა კულტურული საზ-ბა იწვევს თბილისში მცხოვრებ სვანების კრებას.

შეცდომის გასწორება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულთა სიაში შეცდომით გამოტოვებულია **ტარასი ჩამახძე გუნჯუა.**

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** ქურდობისათვის 29 სექტემბერს, შეიპყრეს ივანე ვასილის ძე ბუშკინი.

◆ **კინო „მინიონში“** მიხეილ ლეხათოვს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე.

◆ **ალმასკომის შენობაში** ალექსანდრე ზარიძეს სამალიარო მუშაობის დროს მოპარეს ტანისამოსი.

◆ **ახალ ბაზარში** ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ვასილ აბრამის ძე გელიაშვილი.

◆ **აბასაბადის მოედანზე** მანია ოსეფის ასულ მიქაელიანცს ხელიდან გამოაცალეს საფულე.

◆ **ტრამვაის რონოდაში ვიქტორ სამსონის** ძე ასათიანს მოპარეს 250 მან. ღირებული ოქროს საათი.

◆ **კოოპერატივ „მწყემსი“-ს** წინ სულთან რამაზ კარს მოპარეს ხურჯინი სავაჭრო ნივთებით.

◆ **ტრამვაიში** გაბო ვარაევს ჯიბიდან ამოაროვეს 164 მანეთი.

◆ **ქურდობა.** 26 სექტ. იზმაილოვის ქ. № 13, გაქურდეს იაკობ ბიტ-სარქისოვის ბინა.

◆ **ამავე დღეს,** პლეხ. გამზ. № 142, გაქურდეს ნიკო გოგოლაძეს ბინა.

ტრამვაის დაჯახება ეტლზე

29 სექტემბერს, ღამის პირველ საათზე, სადგურის ქუჩაზე, თამბაქოს ტრესტის მახლობლად, სადგურიდან მომავალ ეტლს დაეჯახა ტრამვაის ვაგონი № 101. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ეტლი გადავარდა სამი ფეხის ნაბიჯზე და დაიმტვრა. სამი მგზავრი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევის ადგილზე

უბედურების ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე **შ. მელაძე,** სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებული **ლ. ნადარეიშვილი,** მორიგე გამომძიებელი **ლ. ვაჩნაძე,** ტრამვაის სამმართველოს უფროსი ინჟენერი **ტერ-ხაჩატუროვი,** ტელასის მთავარი ინჟენერი **გ. მგელაძე** და მეთორმეტე კომისარიატის თანამშრომელი საჩქაროდ გამოწვეული იქნა სასწრაფო დახმარების ავტომობილი და დაჭრილნი გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

მარცხის მიზეზების გამოსარკვევად შესდგა სპეციალისტების კომისია, რომელშიაც შევიდენ პროკურატურის და ტრამვაის დირექციის წარმომადგენლები.

როგორ მოხდა მარცხი

ვატმანი **გიორგი ოგანეზოვს** ვაგონი სადგურიდან დიდი სისწრაფით მიჰყავდა. მან სადგურის ქუჩაზე შენიშნა წინ მიმავალი ეტლი, მაგრამ მეეტლეს არც გამაფრთხილებელი სიგნალი მისცა და არც მიიღო ზომები ვაგონის სისწრაფის შესანელებლად.

ამის გამო ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ეტლს. მარცხის შემდეგ ვატმანმა არ შეაჩერა ვაგონი. ს გუშაგ. მდგომმა მილიციელმა გასაჩერებელი სიგნალი მისცა ვატმანს, მაგრამ მან მაინც არ გააჩერა ვაგონი.

ვატმანმა ვაგონი გააჩერა ათი წუთის შემდეგ.

დაშავებულთა ვინაობა

ეტლში ისხდენ **ანნა დევდარიანი მისი ვაჟიშვილი ანატოლი** (12 წლისა) და ანა დევდარიანის და **სოფიო ზელენსკაია.**

აღნიშნული პირები აგარკიდან ბრუნდებოდენ თავიანთ ბინაზე (ელბაქიძის ქუჩა № 3).

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა: ანატოლი დევდარიანი და სოფიო ზელენსკაია, მსუბუქად დაშავდა ანნა დევდარიანი და მეეტლე **ილია ეგონინი.**

მარცხის მიზეზები

მარცხის მიზეზების გამომრკვევ კომისიამ, რომლებშიაც შედიოდენ ინჟ. ხაჩატუროვი და გ. მგელაძე გამოარკვია შემდეგი:

უბედური შემთხვევის შემდეგ ვაგონი ამოძრავებული იქნა. როგორც აღმართზე, ისე დაღმართზეც ვაგონის მოძრაობა წესიერად სწარმოებდა. გამოირკვა რომ ვაგონის მუხრუჭი დაზიანებული არ ყოფილა. მუხრუჭის ასამოძრავებელი სამი სახე, ელექტრიული, მექანიკური და „სარული“ ნორმალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ელექტრიული მუხრუჭისათვის ასამოძრავებელი ელექტრო-დენა საკმარისია.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ვატმანს ვაგონი მიჰყავდა დიდი სისწრაფით.

ექსპერტების დასკვნით, ვაგონის ტეხნიკურ მდგომარეობასა და გზის პირობებს არ შეძლო გამოეწვია მარცხი.

დაშავებულთა მდგომარეობა

ანატოლი დევდარიანს დაკარგული აქვს პირის სახე. მან იღრძო ორივე ფეხი. გუშინ მას ოპერაციის დროს მოსჭრეს მარჯვენა ფეხი. ოპერაციას საჭიროებს მეორე ფეხიც.

სოფიო ზელენსკაიას აქვს მთელი ტანის კონტუზია. დაზიანებული აქვს თავი. იგი უგრძნობ მდგომარეობაშია. მის სიცოცხლეს საფრთხე მოელის.

ანა დევდარიანს დაჟეჟილი აქვს მთელი სხეული. მისი ჯანმრთელობა უმჯობესდება.

მეეტლე ოგინინს დაშავებული აქვს ფეხები.

ნასვამი მეეტლე

დაშავებულთა თქმით, ვატმანი ოგანეზოვი ნასვამი **იყო.**

გამომძიებელმა ვაჩნაძემ ვატმანის სიმთვრალის შესამოწმებლად გამოიწვია მეთორმეტე რაიონის ექიმი **ჭეიშვილი,** მაგრამ მან უარი განაცხადა ვატმანის გასინჯვაზე. ამის გამო ოგანეზოვის გასინჯვა მოხდა სამი საათის დაგვიანებით.

სასამართლოს ექიმის **ჯაფარიძის** დასკვნით, ვატმანი ოგანეზოვი ნაშუადმის ოთხ საათზე ფხიზელი იყო, ხოლო მეეტლეს ემჩნეოდა სიმთვრალე.

მაგრამ თავის მოქმედებისათვის ანგარიშის გაწევა შეეძლო.

ვატმანის დაპატიმრება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ლ. ვაჩნაძემ დაჰკითხა საავადმყოფოში მოთავსებული პირები.

ვატმანი ოგანეზოვი დაპატიმრებულია.

გამოძიება გრძელდება.

ხელოვნება

ივანე ფალიაშვილის მეორე გასტროლი

ივანე ფალიაშვილის მეორე გასტროლი მიძღვნილი იყო მხოლოდ ჩაიკოვსკის მე-4 სიმფონიისადმი. ჩაიკოვსკის სიმფონიების ციკლიდან ყველაზე საუკეთესოდ ითვლება მე-6 პათეტიური, მაგრამ მე-4 სიმფონია, რომელიც ასურათებს რუსეთის დიდ ლირიკოს - პესიმისტის ჩაიკოვსკის ხასიათს, ჩაითვლება სიმფონიური მუსიკის ერთ - ერთ საუკეთესო ნიმუშად. ფალიაშვილმა სიმფონიის დეტალებში ალღო აუღო კომპოზიტორს. პესიმიზმი, მძიმე სულიერი განწყობილება პირველ ნაწილში (განსაკუთრებით შესავალი ფრაზა) იცვლება ლირიკით მეორე ნაწილში. მესამე ნაწილში მოცემული ნათელი განწყობილება (ვიოლინის პიჩიკატო, სადაც მელოდია სრულდება თითებით), გადადის მხნე განწყობილებაში მეოთხე ნაწილში (რუსული ხალხური მელოდია). აი სიმფონიის შინაარსი, რომელიც ფალიაშვილმა სწორად და მოფიქრებულად ასახა. ის იცავს კომპოზიტორის მითითებებს პარტიტურაში და მისდევს თავისებურ გაგებას, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი დირიჟორები. მიუხედავად ამისა სიმფონის მაინც ემჩნევა მოუმზადებლობა. სიმფონიის შესრულებას აკლდა მხატვრულობა, რომელის მიცემას შეუძლიან ჩვენს მშვენიერ ორკესტრს და როგორსაც ჩვენ მივეჩვიეთ ფალიაშვილისაგან (კლარნეტის უდროვო ჩარევა, ფლეიტის რეპლიკები, სიმებიან საკრავების ხმის დაფარვა ლითონის საკრავების ხმებით).

მეორე განყოფილება დაიწყო ლალინოვის ნაწარმოებთა შესრულებით. როგორც ერთხელ უკვე ავღნიშნეთ, ახალგაზრდა მუსიკოსს აქვს დიდი ნიჭი, რომელიც მოითხოვს ღრმა განვითარებას. კონცერტი დასრულდა მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით. მელიქ-ფაშაევმა გაიმეორა თავისი ნაწარმოები — ნაწყვეტები მისი ოპერა „სულამითიდან“. ამ ნაწარმოების ღირსებები და ნაკლი ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ემილ ზოლას** გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების აღსანიშნავად ახლო ხანში თბილისში გაიმართება საღამო.

◆ **სტეფან ცვეიგი საქართველოში.** შემოდგომის დამლევს საბჭოთა კავშირში ჩამოვა ცნობილი გერმანელი მწერალი **სტეფან ცვეიგი** რომელიც შემდეგ ისტუმრებს საქართველოს.

— **დამატებითი გამოცდები.** დამატებითი გამოცდები სახ. კონსერვატორიის საგუნდო-პედაგოგიურ კურსებზე დანიშნულია ორშაბათს, 3 სექტემბერს. საღ. 5 საათ.

— **ხელოვანთა სასახლეში** დღეს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის სხდომა.

— **ოქტომბრის დღესასწაულის** ჩასატარებლად მუშათა კლუბებთან დაარსდა კომისიები.

— **დრამატიულ სახელოსნოში** მეცადინეობა დაიწყება დღეიდან.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

ეს ამბავი მოხდა ა. წ. 25 აგვისტოს.

მოქ. შაქრო მარგებაძეს (27 წლისა) ძლიერ მოსწონდა თავისი მეზობელი რუსიკა გალუსტოვა (24 წლისა).

მარგებაძემ ქალს აუხსნა სიყვარული და აღუთქვა ცოლათ შერთვა.

ქალი ქმარიანი იყო და ამიტომ უარი უთხრა მას ცოლათ გაყოლაზე.

რა ზომებს არ მიმართა მარგებაძემ, მაგრამ ქალის თანაგრძნობა მაინც ვერ დაიმსახურა.

გაბრაზებული შაქრო ცდილობდა ძალით დაემორჩილებია რუსიკა და ეძებდა მოხერხებულ დროს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

მარგებაძე ქალის ქმრის სახლში არ ყოფნის დროს იხელთა დრო, მიუხვდა მას ხანჯლით შეიარაღებული და გააუპატიურა იგი.

მარგებაძე დააპატიმრეს, საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

დ. ჭეიშვილის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, გაირჩა დავით ჭეიშვილის საქმე.

ჭეიშვილი ირიცხებოდა მუშკოოპის მეოთხე საბაკალეინო მაღაზიის გამგეთ. იმის განკარგულებაში საკმაოდ მოიპოვებოდა საქონელი და კოოპერატიული ფული.

მას ბრალდებოდა 2.500 მანეთის გაფლანგვა.

ბრალს სდებდა პროკურორის თანაშემწე **კიკაბიძე,** ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **აჭირაგოვი.**

სასამართლომ ბრალდებულს მოხსნა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული ს. ს. კ. 116 მუხ. 2 ნაწილში და იგი დამნაშავედ სცნო 194 მუხლის მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია გაფლანგვა არა თანამდებობრივი პირობიდან. როგორც გამოირკვა ჭეიშვილი მუშაობდა პროცენტებზე და მუშკოოპთან მას ჰქონდა დადებული სათანადო ხელშეკრულება.

ბრალდებულ ჭეიშვილს მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მანვე უნდა გადაიხადოს მუშკოოპის სასარგებლოდ 2.554 მან.

შურისძიება სიმამრზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, დასრულდა ვასილ სიორიძის საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, სიორიძეს ბრალდებოდა სიმამრის ივანე ინაშვილის მოკვლის განზრახვა.

ბრალს სდებდა პროკურორი **ლ. ქელენტი,** იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **ს. დადიანი.**

სასამართლომ სიორიძეს მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულს დანაშაული ჩადენილი აქვს პირველად და მის მოქმედებას არ მოჰყოლია რაიმე შედეგი, სასჯელი შეუმცირა 1 ნახ. წლამდე.

რკინისგზეზე

საციებელი სადგურები

რკინის გზების მმართველობის აპარატის რეორგანიზაციის გამო, 1 ოქტომბრიდან გზების ეკონომიურ განყოფილებებთან არსებული საციებელი ნაწილი მთელი აპარატით, ყინულის დამამზადებელ ქარხნებით, წინასწარ საციებელი სადგურებით და სხვა გადადის მოძრაობის განყოფილების განკარგულებაში.

ხელფასის დარიგება ადგილობრივ

გზების მატერიალურ და სათბობ მასალის საწყობების მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის გამოწერა და დარიგება, 1 ოქტომბრიდან გადადის გზის ხაზებზე. ხელფასის გაცემა იწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის შვიდ უმთავრეს პუნქტში.

ხანძრის წინააღმდეგ

ხშირად ხანძარი რკინის გზებზე ჩდება იმის გამო, რომ არ არის დაცული ხანძრის საწინააღმდეგო-საამშენებლო წესები.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობამ და გამოსცა განკარგულება რომლის თანახმად, შენობების აგების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხანძრის საწინააღმდეგო წესების დაცვას.

ამასთანავე აკრძალულია ვაგონების კორპუსებზე დადგმა ბინებისა, საწყობებისა და სხვა ასეთ საჭიროებებისათვის, თუ ეს წინასწარ ნებადართული არ იქნება განყოფილებათა გამგეებისაგან და შეთანხმებული არ იქნება გზის სახანძრო ნაწილთან.

ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტი

გზათა კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს კომისიის დასკვნა

გზათა კომისარიატის ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს კომისიამ, ამავე სამმართველოს უფროსის ამხ. **იაკიმოვის** ხელმძღვანელობით დაამთავრა ამ.-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის გამოკვლევა. კომისიამ ამ მიზნით დაათვალიერა, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ყველა გზატკეცილები და შარა გზები. კომისიის მუშაობა გაგრძელდა დაახლოებით ორ კვირას.

კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოსთან შესდგა, რესპუბლიკანურ სამმართველოების პასუხისმგებელ მუშაკების თათბირი, რომელზედაც გაკეთდა ვრცელი მოხსენება ა.-კ. ადგილობრივი ტრანსპორტის გამოკვლევის შედეგების და საერთოდ საგზაო მშენებლობის პერსპექტივების შესახებ.

ა.-კ. ადგ. ტრანსპორტის მდგომარეობა და შემდგომი საგზაო მშენებლობის ფორმები

როგორც კომისიის დასკვნიდან სჩანს, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის გზათა შორის დაზიანება შეჩერებულია სომხეთში, სადაც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება გზების 70 პროცენტი. საქართველოში და აზერბეიჯანში სახელმწიფო მნიშვნელობის გზების 50 პროცენტი არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო რესპუბლიკანური მნიშვნელობის შარა-გზები, ჩამორჩება სახელმწიფო მნიშვნელობის გზებს.

კომისიის აზრით, საქართველოში და აზერბეიჯანში არსებულ გზების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭირო იქნება 5 წელზე მეტი, ხოლო სომხეთში — 3 წლამდე.

გზების შეკეთების საქმე თავის სიმაღლეზე სდგას.

გზის სატკეც მანქანების რიცხვი არ არის საკმაო და საჭიროებს გადიდებას.

ხელსაწყოებით გზები საკმაოდ არიან უზრუნველყოფილი.

კომისიას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია დამზადებულ მასალების გამოყენება.

შემდეგ კომისია აღნიშნავს, რომ გზებზე არ არსებობს გამაფრთხილებელი ნიშნები, რის გამო უზრუნველყოფილი არ არის თავისუფალი მგზავრობა.

ზოგიერთ ადგილებზე არ არის დაცული გზის ქანძილის კილომეტრული ნიშნების სტანდარტული სახე და თვით წარწერები მათზე სწორი არ არის.

აუცილებლად საჭიროა ზედმიწევნითი კაპიტალური შეკეთების გამოყენებაზე გადასვლა.

სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია მოძველებულ მეთოდების შეცვლა უფრო გაუმჯობესებულით.

ამასთანავე საჭიროა მუშაობის წარმოება კალენდარული გეგმების მიხედვით ისე, რომ წარმოებული სამუშაოები დამთავრებულ იქნეს უსათუოდ გეგმით გათვალისწინებულ დროისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა

უდღეურ ბავშვების გამოზრდა

უდღეურ ბავშვების გამოზრდა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს და დიდ გამოცდილებას მოითხოვს ასეთი ბავშვების დედებისაგან.

ასეთ ბავშვების მოვლის არცოდნა მთავარი მიზეზია იმის, რომ უდროოდ დაბადებულ ბავშვების დიდი ნაწილი იხოცება.

უდღეურ ბავშების გამოზრდის მეთოდი შემუშავებულია გერმანელ ექიმ **ოგეერის** მიერ.

უდროოდ დაბადებულ ბავშვს არ შეუძლია თავის სხეულს ტემპერატურის მოწესრიგება დამოუკიდებლად. ამიტომ, ბავშვის გაციების თავიდან ასაცილებლად მისი ტანი გახვეული უნდა იქნას ბამბაში, გვერდებზე უნდა დაელდოს თბილი წყალით სავსე ბოთლები ან საჭიროა სარგებლობა ორმაგ - კედლიანი ვანებით (კედლებს შუა ასხამენ თბილ წყალს) ან საწოლით, რომლის ქვეშ ანთებული იქნება ელექტრონის ლამპები.

უდღეური ბავშვის სუნთქვა არათანაბარია, რის გამო იგი ადვილად იღრჩობა. ასეთ შემთხვევებში კარგ შედეგებს იძლევა ლობელინის შეშხაპუნება კანს ქვეშ (0.001—0.003 გრამი). საუკეთესო საშუალებას კი წარმოადგენს მეაყრადის ჩასუნთქვა. უდღეური ბავშვის კვება სჯობს დედის რძით; თუ ბავშვს არ შეუძლია ძუძუს წოვა, მას ჰკვებენ ძროხის რძით (რომელიც შესაფერად უნდა იქნეს შეზავებული წყალით)

რათა უდღეური ბავშვი არ დასნეულდეს ისეთი ავადმყოფობით, როგორიც არის რახიტი, ტეტანია და სისხლნაკლულებობა, მის სხეულს მესამე თვიდან ანათებენ კვარცის ლამპით. ოცისასის და აგრეთვე თევზის ქონით კვება საკმაო, რომ ზემოხსენებულ სნეულებებით დაავადმყოფება აცილებული იქნეს.

ნარევი

ნავთი სპირტიდან

გერმანელ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა უკანასკნელ კონგრესზე ბერლინელმა პროფესორმა **ლინდნერმა** გააკეთა მეტად საინტერესო მოხსენება იმის შესახებ, თუ რატომ არის, რომ ბუნებაში ნავთთან ერთად ვერ პოულობენ სპირტის წყაროებს. მან აღნიშნა, რომ ბაქტერიებს აურაცხელი მასები, რომლებიც ბუნებაში მოიპოვება, ეჭვს გარეშეა, დიდძალ სპირტს წარმოშობენ მცენარეების შაქრის დაშლის დროს. წინაისტორიულ ხანაში ზღვებში იმყოფებოდა დიდძალი შლამი, რომელიც შაქარს შეიცავდა. ბაქტერიები ამ შაქარს აქცევდენ სპირტად.

ამრიგად ისმება კითხვა: რა იქნა სპირტის ეს უდიდესი რაოდენობა, რომელიც ბუნებაში მოიპოებოდა.

ლინდნერი მიუთითებს, რომ ჰაერის მჟავბადის ზეგავლენით ზოგიერთი მიკრობები ადვილათ აქცევენ სპირტს ცხიმებათ. წინათ ფიქრობდენ, რომ საღუებელი (**дрожжи**), რომელიც შაქარს აქცევს სპირტათ, თვითონ არ ხმარობს ამ თავის პროდუქტს. ლინდნერმა მთელ რიგ ცდებით დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის. რომ ჰინჰზე წაუსვათ ჩვეულებრივი ლუდის საღუებელი და დაკიდოთ იგი ოთახში, სადაც ალკოჰოლის ორთქლია დაგროვებული, რამოდენიმე დღის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ცხიმების რაოდენობა ორთქლში 3-დან 30-40 პროცენტამდე გაიზრდება. მაშასადამე, საღუებელი სპირტს აქცევს ცხიმებათ. ალბათ, ასეთსავე მოვლენებს ჰქონდა ადგილი ბუნებაში (სადაც მოიპოება სხვადასხვა სახის საღუებელი) წინაისტორიულ ხანაში. ეს საღუებლები ზღვის შლამს ეცინთავდენ ცხიმებით, რომლებიც შემდეგში წარმოადგენდენ მასალას ნავთისა და ნაწილობრივ, ქვანახშირის წარმოსაშობათ. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა ასეთი უძველესი საღუებლის ნაშთები.

ავიაქიმში

ქუთაისის ორგანიზაცია

ქუთაისის ორგანიზაციაში ითვლება 143 უჯრედი, რომლებიც აერთიანებენ 15.000 წევრს.

ორგანიზაცია აწარმოებს დიდ მუშაობას წევრთა შორის სამხედრო ცოდნის გავრცელების შიზნით. ორგანიზაციას აქვს საკუთარი კლუბი ცირი.

ქუთაისის კომუნათა შორის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება სისტემატიურად აწარმოებს მეცადინეობას მათ გასამხედროებისათვის.

მოსახლეობა ძალიან დაინტერესებულია სამხედრო ცოდნის შეძენით და თავდაცვის საშუალებების შესწავლით. ყოველდღიურათ საზოგადოებაში ეწერება 100-მდე ახალი წევრი.

მეთაურთა მოსამზადებელი კურსები

თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის ორგანიზაცია თბილისის ალმასკომთან ერთად აწყობს ავიაქიმიური რაზმებისათვის მეთაურთა მოსამზადებელ კურსებს.

კურსებზე უკვე ჩაწერილია 70 ახალგაზრდა, აქედან ჯერ-ჯერობით გაიარა სამანდატო კომისია და საექიმო შემოწმება 30 ახალგაზრდამ.

მეცადინეობა დაიწყება 25 ოქტომბერს და გასტანს თვენახევარს.

ფეხბურთი

განჯა - თბილისი

გუშინ, დინამოს სტადიონზე გაიმართა განჯის ნაკრები გუნდის და „დინამო - პირველი“-ს შეჯიბრი, რომელმაც მრავალი ხალხი მიიზიდა.

განჯის გუნდი საკმაოდ სუსტია. განსაკუთრებით სუსტია ხავბეკების და ფორვარდების შემადგენლობა. ცხადია, ასეთი გუნდი ვერ იქნებოდა თანაბარი დინამოსთვის, რომელიც წრეგანდელი მოგზაურობის (დონბასში) შემდეგ საგრძნობლად გაძლიერდა.

თამაშის პირველი განყოფილება დინამოელების აშკარა უპირატესობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. სტუმრები იშვიათად თუ გამოჩნდებოდენ დინამოს კარებთან. დინამო გააფთრებული იერიშებს აწარმოებდა მთელი ტაიმის განმავლობაში და ყოველი მისი შეტევა მეტწილად გამარჯვებით თავდებოდა.

ტაიმის საერთო შედეგია 6:1 დინამოს სასარგებლოდ (სტუმრებმა ეს ერთი გოლი „პენალტი“-დან გაიტანეს).

მეორე ტაიმში განჯელებმა ალღო აუღეს თბილისის მოთამაშეებს; მათ გადაჯგუფება მოახდინეს თავის რიგებში, რითაც გაამაგრეს მცველთა შემადგენლობა და შეასუსტეს თავდასხმელთა ფრონტი.

მეორე ტაიმში თამაშმა გაცილებით უფრო ცოცხალი და საინტერესო ხასიათი მიიღო. უპირატესობა თუმცა ისევ დინამოელების მხარეზე იყო, მაგრამ განჯელებიც მძლავრ შეტევას ანვითარებდენ დროგამოშვებით.

თამაშის მეორე განყოფილებაში დინამომ შესძლო კიდევ ერთი ბურთის გატარება განჯის კარებში, თავის ბადეში კი არ მიუღია არც ერთი ბურთი; თამაში თავდება 7:1 — დინამოს სასარგებლოდ.

მატჩს სჯიდა კრავჩენკო.

„საბჭოთა მუშაკები“ — „შტურმ“

ქალაქის პირველობის გათამაშება ფეხბურთში გრძელდება: კვირას, 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე პირველი კატეგორიის გუნდებიდან თამაშობენ „საბჭოთა მუშაკები“ და „შტურმი“ (ყოფ. „არსრაიონი — მეორე“).

ჭადრაკი

რკინისგზელთა ტურნირი

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბთან არსებული მოჭადრაკეთა სექცია აწყობს რკინისგზელ მოჭადრაკე ქალების ტურნირს.

ტურნირში მონაწილეობის მისაღებათ დაწყებულია მოჭადრაკე ქალების წინასწარი ჩაწერა.

ჯერ-ჯერობით ჩაწერილია ცხრა მოჭადრაკე რკინისგზელი ქალი.

ჩაწერა გრძელდება. ჩაწერას აწარმოებენ რკინისგზელთა ყველა კლუბების მოჭადრაკეთა ყველა სექციები და სამართველო.

მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება

მოსკოვი, 30 სექტემბერი. ჭადრაკის საკავშირო ჩემპიონატის მე-3 ტურნირის შემდეგ წინ არიან: **რომანოვსკი, ილინ-ჟენევსკი,** (+3), შემდეგ **მაკოგონოვი და ნენაროკოვი** (+2 ნახ.) **ბოგატირჩუკი, ვილნერი დუზ-ხოტიმარსკი** და **მოდელი** (+2). **რაბინოვიჩმა** მარცხით დაიწყო ტურნირი. პირველი ორი მან წააგო **ბოტვინოვ**-თან და **პერფილიევ**-თან. დღეს იგი შეხვდა მესამე ახალგაზრდა მოჭადრაკეს **მაკოწოვს. (ადს).**

იურიდიული დახმარება

ილიკო კოტიაშვილს

პასუხი

თუ თქვენ მამულთან არ გაგიწყვეტიათ კავშირი პირად თქვენ თქვენი ოჯახის წევრებით ამუშავებთ მას, მაშინ არავის არა აქვს უფლება მამული ჩამოგართვას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ დალაქი ხართ.

იასონ მურზაყანის ძე ჩიქოვანს.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხლი 24-ისა, გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას.

გლეხ ვლადიმერ კეცბაიშვილს

პასუხი

როგორც შეკითხვიდან სჩანს, თქვენ გაჭირვების გამო გივალებიათ 500 მან. დიდი პროცენტებით, რაზედაც მიგიციათ უბრალო ხელწერილი და სხ.

გირჩევთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი 33-ის წესებისამებრ და მოთხოვეთ აშკარად საზიანო და „კაბალური“ გარიგების გაბათილება. უკანონოდ გაცემული თანხის დაბრუნება სამოქ. სამართ. კოდ. მუხ. 149 თანახმად. გაქვთ აგრეთვე უფლება აღძრათ საჩივარი სისხლის სამართლის წესით—სისხ. სამ. კოდ. 193 თანახმად).

პატკულია დოლიძეს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს და თუ ასეთი თქვენ რაიონში არ არსებობს, მაშინ მიმართეთ სახალხო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას.

კომკავშირელი — გიორგი ლაზარეს ძე ნადირაშვილს

პასუხი

თქვენ პირად ქონებას ვისაც თქვენ გსურთ, მას გადასცემთ.

ზურაბ ტრიფონის ძე ახვლედიანს

პასუხი

მიმართეთ სახელმწიფო კინო-მრეწველობის სამმართველოს. იგი მოგცემს პასუხს, თუ რა პირობები არსებობს კინოკურსებზე შესასვლელად.

კითხვა

ჩემი ოჯახი შედგება რამოდენიმე წევრისაგან. გვაქვს საკუთარი სახლი და გვინდა გავყიდოთ. აღებული თანხა მსურს დაუნაწილო ყველა ჩემ ოჯახის წევრებს კანონიერად. რამდენ-რამდენი შეხვდებათ თვითეულს.

პ. მალალოვი.

პასუხი

აღებული ფული განაწილდება ყველა ოჯახის წევრზედ თანასწორად, თუ კი სახლის აგებაში ყველა წევრებს თანაბარი წვლილი აქვთ შეტანილი ან და პირადი შრომა თანასწორად გაუწევიათ.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. (ბ) ც. კ. ქალთა განყოფილება შაბათს 1 ოქტომბერს საღამოს ექვს საათზე იწვევს თათბირს, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. **შავერდოვი, მატკევიჩი, იმედაძე,** წარმომადგენელი პროფკავშირთა საბჭოსი და ა. ლ. კ. კ. ცეკასი, ბელიაევსკი და რაიკომების ქალთა განყ. გამგ.—**გეგეშიძე, მიხაილოვა, შალამიანი და ანდრიაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო განყოფილება 1 ოქტომბრის, დილის ათ საათისათვის იწვევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს:

მე 34 უჯრედიდან: თუმანოვი, იოსებ კაკაბაძე, მიხ. ჩოდრიშვილი, გრ. დენიაგა, სევ. მაღულარია, რ, ჯღამაძე.

მე-23 უჯრედიდან: სევ. ბახტაძე, რაჟდენ კალაძე, ვლ. ლეჟავა, ნინა მახარაძე, დავ. ნუცუბიძე, ვენ. ხალაძე, ნიკ. ღლონტი, აპოლონ ყიფიანი, მ. ცაგარეიშვილი, გერ. ძიგრაშვილი, ქსენია ცინცაძე, გრიგოლ ხევსურიანი.

საქართველოს ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 1 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე პარტკლუბის შენობაში (კახეთის ქუჩა № 1) გაიხსნება მესამე რაიონის უპარტიო ახალგაზრდათა კონფერენცია.

— **ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტში** შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში ჩარიცხვის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ; ვსთხოვ ყველას, ვისაც კი რამე საწინააღმდეგო აქვს მათ შესახებ 15 დღის განმავლობაში აცნობოთ საორგ. გან. ქ.-განყოფილებას.

მათი მიღების საკითხი გაირჩევა 15 ოქტომბერს.

მახარაძე ოლია ასლანის ასული, ნიჟარაძე შუშანიკა სიმონის ასული, ბაქრაძე ანგელინა კონსტანტინეს ასული, გიორგაძე მარიამი იპოლიტეს ასული, დევდარიანი ვარლამ აფრასიონის ძე, ნიკოლაიშვილი მელქისედეკ ოტიას ძე, ბეშკენაძე ვასილ კონსტანტინეს ძე, კახიძე ივანე ფარნაოზის ძე, ნემსაძე შალვა ალექსანდრეს ძე, მუქერია ფილიმონ ნიკოლოზის ძე, ნიკოლაიშვილი რაჟდენ სტეფანეს ძე, გეგეშიძე ვასილ ლავრენტის ძე და მიქაძე კალისტრატე ფარსადანის ძე.

ქ. ზესტაფონის 7 წლედის მასწავლებელნი და მოწაფენი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ძვირფასი და დაუვიწყარი მოწაფის და ამხანაგის

გრიგოლ (გრიშა) რაჟდენის-ძე
გურეშიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში წმ. ნინოს სასაფლაოზე, ნაშუადღევის 5 საათზე, დღით კვირას, 2 ოქტომბერს. 3979

საქართველოს ფინსახკომისარიატის თანამშრომელნი ამით აუწყებენ ყველა მეგობართ და ნაცნობებს, რომ ა. წ. 21 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი და საუკეთესო მუშაკი

ვალერიან (ვალიკო) ბაზაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ა. წ. 1 ოქტომბერს. 3976

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი სოლომონი, შვილები: გოგი, შოთა და თინა; დედა ქეთევანი, და ნინო, ძმა რაჟდენი, რძალი სოფიო, ძმისწულები: რუსუდანი, ქეთევანი და ზურაბი. ღეიდა ნატალია და ღეიდაშვილი ელისაბედი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 29 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, დაუვიწყარი და ძვირფასი

მარიამ სიმონის ასული
კაკანაძე-კასრაძისა

პანაშვიდი საღამოს 7 საათიდან ყოველდღე, გამოსვენება მოხდება კვირას, 2 ოქტომბერს ბინიდან, კრასნიგორის ქუჩა № 30, 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3982

სამუდამოთ გულმოკლულნი: მეუღლე დავით ვასილის-ძე ხიმშიაშვილი, ქალიშვილი პატარა ლენიკო, მშობლები: მაშიკო და აფრასიონ ქავთარაძეები, ძმა ალექსანდრე და მამამთილი ვასილ სიმონის-ძე ხიმშიაშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 2 ოქტომბერს სრულდება ექვსი თვე, რაც ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვაცალა ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნინა აფრასიონ ქავთარაძის ასული
ხიმშიაშვილისა

რომლის მოსაგონებლათ სოფელ კლდეეთში (შორაპნის მაზრა), წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა პანაშვიდი 12 საათზე. 3977

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ პავლეს ასული უკლებაისი აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის

ალექსანდრე ერემიას ძე
უკლებას

ტრაღიკულად გარდაცვალების 40 დღის პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 3984

ყოფ. ბონების დამმზადებელ ექსპედიციის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი: აკ. სირაძე, შალ. ტყავაძე, ანდრო ჭაჭიაშვილი, ბ. ქელბაქიანი, ივ. ტატიშვილი, დავ. ცქიტიშვილი, დავ. მაჭავარიანი, ელ. ჩიხლაძე, ივ. ღოღობერიძე, გ. კაპანაძე და მიხ. ბურძენიძე გულწრფელი თანაგრძნობით ხვდება პატივსაცემ და დაუვიწყარ ამხანაგის საექიმო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის

ნადია ანანჩენკოს

გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების დღეს. პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ა | წ. 2 ოქტომბერს, დღის 12 საათზე. ნ. 1727

ივანე დავითისძე ზარდიაშვილი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი მე-15 შრომის სკოლის მე-8 ჯგ. მოწაფის

ელენე ზარდიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს სოფ. გურჯაანში 3980

ღრმად დამწუხრებული გიორგი ილიასძე ბეზარაშვილი, მეუღლე სოფიოთი და შვილებით: სოლომონ, სვიმონ და ნადია—ბეზარაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხუთშაბათს 29 ოქტომბერს სოფ. გურჯაანში ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა პირველის დისწული, მეორის მულისწული, ხოლო მესამეთა საყვარელი მამიდაშვილი

ელენე ივანეს ასული ზარდიაშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფ. გურჯაანში დღეს 1-ლ ოქტომბერს. 3981

ღრმად დამწუხრებული და გულმოკლული მეუღლე სტეფანე სოლომონისძე მამულოვი, მამა არტემ, დედა მარიამ, ძმები: მიშა და ვალოდია ჯიბუტები და თაქარა, სიძე პავლუშა ქორქოლიანი შვილით ჟულიეტათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უძვირფასესი და საყვარელი

ნადიკო არტემის ასული
ჯიბუტი—მამულოვის

უდროოდ დაკარგვის მეექვსე თვის აღსანიშნავად კვირას, 2 ოქტომბერს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი პირველ საათზე კუკიის სასაფლაოზე 3978

ღრმად დამწუხრებულნი ანა და გლახუა თავზარაშვილები თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ მამიდა

დოფინე დიმიტრის ასული
დავრიშაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს საკუთარ ბინიდან, სამოსწავლო შესახვევი № 6, დღის 3 ს. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტის ბაღში).

ყველამ უნდა ნახოს სეზონის საუკეთესო სურათი
„ქ ა რ ი“
შეფერის დადგმ. მთ. როლ. პოდლესნაია და სალტიკოვი

იშვიათი წარმატება დადგმის მე-2 კვირა
„სამი ეპოქა“
მთავარ როლში—ბესტერ კეიტონი

პირველად თბილისში
„ვოლგის მხარის უდაბური“
ა ნ ო ნ ს ი: სამშაბათიდან „ა ნ ი ა“

საზაფხულო სეზონის დახურვა საზღვარგარეთის საუკეთესო სურათი
„ლ ი უ ს ე ტ ა“

0—17 ნ. 1388

ა ნ ო ნ ს ი: სამშაბათიდან, 4 ოქტომბრიდან „ამოკი“ ქ. მარჯანიშვილის დადგმა

„კომუნისტი“

გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

სასამართლოს აღმასრულებელი დუშეთის მაზრისა

გიორგი კოგიაშვილი

ამით აცხადებს, რომ 4 ღვინობისთვეს იქნება **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს დაბა ქვიშეთში კუთვნილი სოფიო პეტრიაშვილისა, ივანე და ნატალია გულაშვილებისა, რომელი ქონებაც შესდგება ორი სახლისაგან, აშენებული ქვიტკირით, ერთი დაუმთავრებელი ორსართულიანი და მეორე ერთ სართულიანი დახურული მიწით სულ ცხრა ოთახით თავის ეზოთი, თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა დუშეთის უბნის სახალხო მოსამართლის, წარსულ 4 სექტემბრიდან №№ 1727 და 1728, თედო და გლახა წამალაიძეების ვალში ორას თუმანში თავის გაწეული ხარჯებით. 3985

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 3 ოქტომბ. 1927 წ. დღის 1-ლ საათ. სახლში № 53 პლეხანოვის გამზ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მიკირტიჩ თათეოზიანის მოძრავ ქონებას: ქფილს სასწორებს, ქაროვნებს, ფორმებს და აგრეთვე ოჯახის ნივთებს შირმას, სკამებს, შკაფს და სხვას შეფასებულს 120 მან., მუშა ზეითუნ ბაგდასაროვის და ადგილკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 14 სექტემბ. 1927 წ. თარიღით, № 3295 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1728

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში. (გაგრძელება № 34).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოს მეპატრონე	მისამართი	წარმოების საგანი	ძირითადი თანხა	საწ. სარ. მოწმ. ხარ.
923	19 სექ. 27 წ.	ისააკიანი ა. და ამხ.	ქ. თბილისი სიონის ქ. № 13	საგალანტერეიო	9000 მ.	მე-4
924	„	ფარავჯანოვი მიხეილ სოლომონის-ძე	ქ. თბ. კახეთის ქ. № 58	სასადილო	600 მ.	„
925	„	არონიძე გრიგოლ ლაზარის-ძე	ქ. ფოთი ნიკოლაძის ქ. № 65	„	600 მ.	„
926	„	ხერხაძე დავით საყვარელის-ძე	ქ. ფოთი პლეხანოვის ქ. 3	„	500 მ.	„
927	„	პაპკაროვა ანტონ ერასტის-ძე	ქ. ფოთი ნიკოლოზის ქ.	ფქვილით სავაჭრო	1500 მ.	„
928	„	შელეიძე სვიმონ გიორგის-ძე	ქ. ფოთი ნავთსადგური	ბუფეტი	500 მ.	„
929	„	გოგოლაძე ვლადიმერ პორფირეს-ძე	ქ. ფოთი რუსთაველის ქ.	სასადილო	3000 მ.	„
930	„	კილურაძე იაგორ სპირიდონის-ძე	ქ. ფოთი რკ. გზის სადგური	ბუფეტი	1000 მ.	„
931	„	სალაია ეკიფანე გიორგის-ძე	ქ. ფოთი ნიკოლოზის ქ. 60	სასადილო	500 მ.	„
932	„	კიწურაშვილი ივანე ფარ.-ძე	„	„	500 მ.	„
933	„	მიკირტუმოვი მიკირტუმ ოსკანის-ძე	ქ. თბილისი ხითაროვის პასაჟი № 41	„	5000 მ.	„
934	„	მეჩიტოვი და მონ.	ქ. თბილისი ხითაროვის პასაჟი № 49	„	5000 მ.	„
935	„	მოსტორგი	ქ. თბილისი თავისუფლების მოედანი № 13	თბილისის განყოფილება ოქრო-ვერცხლის ვაჭრობა.	—	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მზალოგლიშვილი.**
სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ნ. 1726.

იყიდება

სახლის ნივთები: სასადილო მაგიდა, 12 მუხის სკამი, სასტუმრო ოთახის გარნიტური, ოტომანკა, საწოლები, საწერი მაგიდა, ინგლისური კალიასკა ბავშვისათვის და სხვ. ნივთები. ენგელსის ქუჩა (ყ. ბებუთოვის) № 34, იკითხეთ მე-9 ბინა. 3961

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი **გ. ნ. ონანოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

მედიცინის დოქტორი **ა. ა. მონსე**
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი **ბ. ი. მირიანაშვილი**
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10 ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02. 13—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ. მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ. ტელ. 4—82 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25 | 1

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება რუსთაველის პროს. № 12.
13—1 3846

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდ და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

დავკარგე ახალ მუშათა კლუბის საწევრო წიგნაკი გიორგი დალაქიანის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე დამსწავლე სალაროს წიგნაკი № 2, გიორგი ბალახაძის სახელზე, ჩ. გ. 3980

დავკარგე ვინაობის წიგნაკი № 1527 პოლოს ადეიანის სახელზე, ჩ. გ. 3975

დავკარგე მატრიკული № 179 გაცემული თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტიდან ნოე ნესტორის-ძე შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. 3986

დაკარგულია მედსანშრომის პროფკავშირის წიგნაკი № 5705 ევგენია თავართქილაძის სახელზე, ჩ. გ. 3987